

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გურგენ კალაშიანი

საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები
საქართველოს მაგალითზე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ - ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნადეჟდა კვატაშიძე

თბილისი

2017

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. საწარმოთა გაერთიანების არსი და მისი იდენტიფიცირების მიდგომები.....	10
1.1 საწარმოთა გაერთიანების სახეები და მათი შექმნის ეკონომიკური მოტივაცია.....	10
1.2 საწარმოს/ბიზნესის განსაზღვრა და საწარმოთა გაერთიანებების იდენტიფიცირების მიდგომები.....	15
1.3 სხვა ოპერაციები, რომლებიც აღირიცხება როგორც საწარმოთა გაერთიანება.....	29
თავი II. საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის შექმნის მეთოდი.....	33
2.1 მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირება.....	33
2.2 შექმნის თარიღის განსაზღვრა.....	42
2.3 შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივების და აღებული ვალდებულებების აღიარების და შეფასების საკითხები.....	42
2.4 არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება.....	65
2.5 გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარება და შეფასება.....	71
2.6 განმარტებითი შენიშვნები.....	86
თავი III. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარებისა და შეფასების პრობლემები.....	90
3.1 საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარება.....	90
3.2 იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების სახეები.....	98
3.3 არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება.....	121
თავი IV. საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები საქართველოს მაგალითზე.....	136
4.1 BGEO Group-ის მიერ სს “Privat Bank”-ის შექმნა.....	136
4.2 TBC Bank Group-ის მიერ სს “ბანკი კონსტანტას” შექმნა.....	151
4.3 Wissol Petroleum Georgia-ს მიერ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს შექმნა.....	158
4.4 Georgia Healthcare Group-ის მიერ განხორციელებული შექმნები.....	161

4.5 ჩატარებული ანალიზის შედეგები.....	173
დასკვნა.....	176
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	184

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საწარმოთა გაერთიანებები მრავლად არის წარმოდგენილი მთელ მსოფლიოში, რაც განპირობებულია ორი ან მეტი სუბიექტის გაერთიანების ეკონომიკური უპირატესობებით, როგორცაა სინერჯიის ეფექტის მიღწევა, ბაზრის წილის ზრდა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება და სხვ.

საქართველოში საწარმოთა გაერთიანებები ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ და ძირითადად მსხვილი ჰოლდინგებით არიან წარმოდგენილი. მათი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საკმაოდ დიდია. ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს, საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, იხდიან დიდი ოდენობით გადასახადებს და ავსებენ ქვეყნის ბიუჯეტს, ახორციელებენ ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელ, სტრატეგიული მნიშვნელობის საინვესტიციო პროექტებს.

საწარმოთა გაერთიანებების სრულყოფილი ფინანსური აღრიცხვა და ამის საფუძველზე მომზადებული და წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საშუალებას მისცემს ქართულ ჰოლდინგებს შეუსაბამონ თავიანთი აღრიცხვა და ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც აუცილებელია სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისგან და სხვა ინვესტორებისგან მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად დაფინანსების მოსაპოვებლად და ასევე, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებების სრულყოფისთვის, მისი შესადარისობის და საიმედოობის ამაღლებისთვის.

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოთა გაერთიანებების უმრავლესობა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ვალდებული იქნება არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრისა, თავისი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (კანონით მოთხოვნილ დანარჩენ ანგარიშგებებთან ერთად) წარუდგინოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. ამავე კანონის თანახმად, საქართველოს საწარმოები ვალდებული არიან აღრიცხვის და ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის

მიზნებისთვის გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს-ი) და მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ები (მეოთხე კატეგორიის საწარმოების გარდა). გამომდინარე აქედან, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საწარმოებმა სრულყოთ თავიანთი აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება და შეუსაბამონ ისინი ფასს-ს.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის, მათი შექმნის ეკონომიკური უპირატესობების საკითხები შესწავლილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ: ნ. კვატაშიძე; ა. გაბელაია; ხ. ბარბაქაძე; რ. კაკულია; ლ. ბახტაძე; გ. თუთბერიძე; ა. ჩუთლაშვილი; დ. გადელია; თ. გამსახურდია; ი. მამალაძე; ზ. დუდუშაური; ლ. გვენეტაძე; Eugene F.Brigham; Michael C.Ehrhardt; Robert F.Bruner; James C.Van Horne, John M.Wachowics; Stephen A.Ross, Randolph W.Westerfield, Jeffrey Jaffe.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სამეწარმეო სუბიექტებს შორის ურთიერთობები სულ უფრო კომპლექსური ხდება. შესაბამისად, რთულდება სუბიექტებს შორის სამეურნეო ოპერაციების ფინანსური აღრიცხვა და მათი შეჯამება ფინანსურ ანგარიშგებაში. ყოველივე ეს წარმოშობს აუცილებლობას, რომ ფინანსურ აღრიცხვასა, ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში გამოყენებული სტანდარტები და მიდგომები იყოს მოქნილი და პასუხობდეს ბიზნესის უახლეს მოთხოვნებს და ამავედროულად, იყოს ცალსახა და არ აძლევდეს მომხმარებლებს მისი ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას. ამისათვის საჭიროა, რომ შესაბამისი დარგის მეცნიერები და პრაქტიკოსები იკვლევდნენ ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ფინანსური აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კუთხით არსებულ მდგომარეობას და შეიმუშავედნენ სრულყოფის გზებს ამ მიმართულებით. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფისთვის ჩატარებული კვლევები და სხვა აქტივობები ძალიან მწირია.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მარეგულირებელი სტანდარტების

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” და ფასს 10 “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების” სააღრიცხვო მიდგომების დეტალური ანალიზი;

- ზემოთ ხსენებული სტანდარტების სააღრიცხვო მიდგომების პრობლემური სფეროების გამოვლენა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შეთავაზება;
- საწარმოთა გაერთიანებების, მათი აღრიცხვის შესახებ ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომების შესწავლა;
- დიდ ოთხეულში შემავალი აუდიტორული კომპანიების პრაქტიკული მაგალითების განხილვა საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებით და ამ მაგალითების ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებით მიმდინარე აქტუალური პროექტების განხილვა და ამ პროექტების ფარგლებში განსახილველ საკითხებთან მიმართებით მოსაზრების გამოთქმა;
- საქართველოს საწარმოთა გაერთიანებების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მათ მიერ განხორციელებულ შექენებთან დაკავშირებით წარდგენილი ინფორმაციის დეტალური ანალიზი და პრობლემური სფეროების გამოვლენა;
- ჩატარებული ანალიზის საფუძველზე საქართველოს საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის სრულყოფა საქართველოს მაგალითზე. ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს საწარმოთა გაერთიანებების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და მათ მიერ განხორციელებულ შექენებთან დაკავშირებით ამ ანგარიშგებებში წარდგენილი ინფორმაციის სისრულე და შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, შესწავლილ იქნა შემდეგი შექენები: “BGEO Group”-ის მიერ სს “PrivatBank”-ის შექენა; “TBC Bank Group”-ის მიერ სს “ბანკი კონსტანტას” შექენა; “Wissol Petroleum Georgia”-ს მიერ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს ყიდვა; “Georgia Healthcare Group”-ის განხორციელებული სამი შექენა – შპს “დეკას”, შპს “კატასტროფული მედიცინის პედიატრიული ცენტრის” და კომპანია “GNC”-ს ყიდვა.

აგრეთვე, კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფასს 3-ის და ფასს 10-ის სააღრიცხვო პრინციპები და ამ მიდგომების სრულყოფის შესაძლებლობები. ნაშრომში განხილულია დიდი ოთხეულის მიერ შემოთავაზებული, საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის პრაქტიკული რეკომენდაციები. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ასევე საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის აქტუალური საკითხების და ამ თემატიკასთან დაკავშირებით ფასს-ის საბჭოს მიერ უკვე ჩატარებული და მიმდინარე პროექტების ანალიზი და მათთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფასს-ები, საქართველოს კანონები, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული შრომები, ფასს-ის საბჭოს მიერ თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული კვლევების და სხვა პროექტების ანგარიშები. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა ანალიზი და სინთეზი; დედუქცია და ინდუქცია; ანალოგია; აბსტრაქტიზაცია; სისტემური მიდგომა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფისთვის ჩატარებული კვლევები და სხვა აქტივობები ძალიან მწირია. სადისერტაციო კვლევის შედეგად დეტალურად შესწავლილია საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის კუთხით არსებული მდგომარეობა, განხორციელდა პრობლემური საკითხების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. საწარმოთა გაერთიანებების პროცესის აღრიცხვა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხასიათდება სპეციფიურობით, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების და პრაქტიკოსების მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ამ მიმართულებით კვლევას.

ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის მარეგულირებელი სტანდარტის – ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” პრობლემური და ორაზროვანი დებულებების სრულყოფასთან დაკავშირებით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევით ნაწილთან ერთად, ნაშრომს გააჩნია მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება, რადგან ის შეიცავს საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სახელმძღვანელო მითითებებს ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” მიხედვით, დიდ ოთხეულში შემავალი აუდიტორული კომპანიების

პრაქტიკულ რეკომენდაციებს საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებით. დისერტაცია პრაქტიკოსებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ ის განხორციელებული შექმნის ხარისხიანი და სწორი ფინანსური აღრიცხვისთვის, ფასს-ის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი და საიმედო ინფორმაციის წარდგენას.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის 2017 წლის 24 ივლისის სხდომის №12-8 ოქმით. სადისერტაციო კვლევის ფარგლებში გამოქვეყნებულ იქნა სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო კონფერენციის მასალებში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლისგან, ოთხი თავისგან, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

პირველ თავში განხილულია საწარმოთა გაერთიანებების სახეები და მათი შექმნის ეკონომიკური მოტივაცია. შესწავლილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები ამ თემატიკაზე და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. გარდა ამისა, გაანალიზებულია საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის მარეგულირებელი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის – ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” სააღრიცხვო მიდგომები და სახელმძღვანელო მითითებები ბიზნესის და საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. ანალიზის შედეგად გამოვლენილ იქნა ამ კუთხით სტანდარტში არსებული პრობლემური სფეროები და გაკეთდა შესაბამისი რეკომენდაციები ფასს 3-ის სრულყოფისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის ძირითადი პრინციპებისა და მიდგომების დეტალურ ანალიზს. თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” და ფასს 10 “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება” და კერძოდ, ფასს-ით დაშვებული საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის ერთადერთი მეთოდი – შექმნის მეთოდი. ყურადღება გამახვილებულია აღრიცხვის პრობლემურ სფეროებზე და შესაბამისი თეორიული საფუძვლების, ანალიზის და არსებული პრაქტიკული გამოცდილების საშუალებით შეთავაზებულია ამ პრობლემური სფეროების დარეგულირების გზები.

პარალელურად, მოყვანილია დიდ ოთხეულში შემაჯავლი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების პრაქტიკული მაგალითები.

მესამე თავში გამოკვლეულია საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და მნიშვნელოვანი ასპექტი – შექნილი არამატერიალური აქტივების აღიარების და შეფასების სირთულეები. გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დასრულებული და ამჟამად მიმდინარე პროექტების ანგარიშები თემასთან დაკავშირებით, აუდიტორული კომპანიების პრაქტიკული სახელმძღვანელოები, შესაბამისი ფასს-ები. ანალიზის და ბასს-ის საბჭოს პროექტებში მონაწილე რესპონდენტების კომენტარების საფუძველზე, გამოიკვეთა საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექნილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვის და შეფასების პრობლემები და შემუშავდა გადაჭრის გზები.

ნაშრომის მეოთხე თავში გამოკვლეულ იქნა საქართველოში სათავო კომპანიების მიერ, თავიანთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული შექნების შესახებ წარდგენილი ინფორმაცია. შეფასების კრიტერიუმების სახით გამოყენებულ იქნა ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანებაში“ წარმოდგენილი მოთხოვნები საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებით და ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ მოთხოვნები სათავო კომპანიების მიერ მომზადებულ და წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში. ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის პრობლემები და გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც უზრუნველყოფს საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფას და შესაბამისობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

თავი I. საწარმოთა გაერთიანების არსი და მისი იდენტიფიცირების მიდგომები

1.1 საწარმოთა გაერთიანების სახეები და მათი შექმნის ეკონომიკური მოტივაცია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 (ფასს 3) საწარმოთა გაერთიანებას განმარტავს როგორც სამეურნეო ოპერაციას ან სხვა მოვლენას, რომლის შედეგადაც მყიდველი საწარმო იღებს კონტროლს ერთ ან რამდენიმე საწარმოზე. იურიდიული, საგადასახადო თუ სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, საწარმოთა გაერთიანება შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა გზით, მაგალითად, კომერციული საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სუბიექტი შეიძლება გახდეს მყიდველის შვილობილი საწარმო (შექმნა) და ასევე შესაძლებელია, რომ ერთი ან რამდენიმე სამეურნეო სუბიექტი მიუერთდეს სხვა საწარმოს (შერწყმა).

საწარმოთა გაერთიანებები განსხვავდება ერთმანეთისგან გაერთიანების მიზნებიდან, მათი შემადგენელი სუბიექტების სამეურნეო ურთიერთობებიდან და დამოუკიდებლობის ხარისხიდან გამომდინარე. ესენია: ჰოლდინგები, კონცერნები, კარტელები, კონსორციუმები, ასოციაციები, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები.

ჰოლდინგი წარმოადგენს სათავო კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს ერთიან სტრუქტურაში გაერთიანებული საწარმოების მართვას და მათ საქმიანობაზე კონტროლს. სათავო კომპანია ფლობს შვილობილი საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტს. ჰოლდინგები წარმოადგენენ კომპლექსურ გაერთიანებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო და კაპიტალური რესურსების გაერთიანებას და ქმნიან მსხვილ საწარმოებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან უახლესი ტექნიკური სიახლეების შემუშავებასა და დანერგვაზე და სხვადასხვა საინვესტიციო პროგრამების რეალიზებაზე.

კონცერნი არის დამოუკიდებელ საწარმოთა გაერთიანება. ეს საწარმოები დაკავშირებულია ერთმანეთთან მონაწილეობის სისტემის მეშვეობით, საპატენტო და სალიცენზიო შეთანხმებებით, დაფინანსებით და საწარმოო თანამშრომლობით. როგორც წესი, კონცერნი არის საწარმოო ხასიათის გაერთიანება, რომელშიც შედიან სხვადასხვა დარგების საწარმოები. აქედან გამომდინარე, კონცერნი შეიძლება იყოს

ვერტიკალური ან ჰორიზონტალური გაერთიანება. ვერტიკალური გაერთიანება მოიცავს სხვადასხვა დარგების საწარმოებს, რომელთა საწარმოო პროცესი ურთიერთდაკავშირებულია (მაგალითად, სამთომომპოვებელი, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოები). ხოლო ჰორიზონტალური გაერთიანებები გულისხმობს სხვადასხვა დარგების საწარმოებს, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული. კონცერნში გაერთიანებული საწარმოები ინარჩუნებენ იურიდიულ სტატუსს, მაგრამ ჰყავთ საერთო მმართველობა, რომელიც ხორციელდება სათავო კომპანიის მიერ.

კარტელი ბაზრის მონოპოლიზების ერთ-ერთი ძირითადი შეთანხმების ფორმაა. კონცერნებისგან განსხვავებით, ის არ ზღუდავს მასში შემავალი სუბიექტების კომერციულ და საწარმოო დამოუკიდებლობას. კარტელის ფარგლებში ხდება ბაზრის მონოპოლიზება და წილების განაწილება, მასში შემავალი სუბიექტები ინაწილებენ წარმოების და რეალიზაციის მოცულობებს, თანხმდებიან სამუშაო ძალის დაქირავებასა და წარმოებული პროდუქციის რეალიზებაზე. კარტელის შექმნის მიზანია კონკურენციის შეზღუდვა, წარმოების და რეალიზაციის მონოპოლიზება, წარმოებულ პროდუქციაზე შეთანხმებული ფასის დაწესება და საშუალოზე მაღალი მოგების მიღება. კარტელში შემავალი სუბიექტები ინარჩუნებენ თავიანთ საწარმოებზე საკუთრების უფლებას, ასევე იურიდიულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას.

კონსორციუმი არის საწარმოთა გაერთიანების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტების დროებით, ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება კონკრეტული ამოცანების და პრობლემების გადასაჭრელად, მსხვილი საინვესტიციო, სამეცნიერო, სოციალური და ეკოლოგიური პროექტების განსახორციელებლად. კონსორციუმში გაერთიანება შეუძლიათ როგორც მსხვილ, ასევე მცირე ზომის კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული სამეწარმეო იდეის განხორციელების სურვილი, მაგრამ არ აქვთ ამის დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობა. კონსორციუმი არის საკადრო, მატერიალური და ფინანსური რესურსების დროებითი გაერთიანების ეფექტური მეთოდი.

ასოციაცია არის იურიდიული ან ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება ერთობლივი თანამშრომლობის მიზნით. ამასთან, მასში შემაჯავლი სუბიექტები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას.

ფრანშიზა (Franchise) გაერთიანებაა, რომლის მიხედვითაც მსხვილი კორპორაცია იღებს მცირე კომპანიის საკუთარი საქონლით, სარეკლამო მომსახურებით, ტექნოლოგიებით მომარაგების ვალდებულებას.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი არის საწარმოთა გაერთიანება, რომლის სათავეშიც დგება ერთი ან რამდენიმე ბანკი, რომელიც მართავს ამ კომპანიების კაპიტალს და აკონტროლებს მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. ასეთ ჯგუფში შემაჯავლი სუბიექტები არ კარგავენ თავიანთ ეკონომიკურ და იურიდიულ დამოუკიდებლობას.

საწარმოთა გაერთიანების მოტივების გამოვლენა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რატომ არის ორი გაერთიანებული კომპანიის ღირებულება უფრო მეტი, ვიდრე თითოეული ცალკე აღებული კომპანიის ღირებულებების ჯამი (სინერჯის პრინციპი). საწარმოთა გაერთიანებების მთავარი მიზანი კი არის გაერთიანებული კომპანიის ღირებულების ზრდა. ნებისმიერი ბიზნესისთვის დამახასიათებელია საქმიანობის გაფართოებისკენ სწრაფვა, მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი გაფართოება მოხდეს საწარმოთა გაერთიანების გზით, საჭიროა, რომ ეს მეთოდი იყოს უფრო იაფი სხვა ალტერნატივებთან შედარებით, მაგალითად სარეკლამო კამპანიის მეშვეობით გაყიდვების მოცულობის ზრდასთან შედარებით. საწარმოთა გაერთიანებებს საფუძვლად უდევს რამდენიმე მოტივი:

- **მასშტაბის ეკონომია.** მიიღწევა მაშინ, როდესაც პროდუქციის ერთეულის დანახარჯები იკლებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდასთან ერთად;
- **დივერსიფიცირება.** ამცირებს ოპერაციების რისკს და უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავალს;
- **კონკურენტებზე ზეწოლა.** მსხვილ კომპანიებს გააჩნიათ კონკურენტული უპირატესობა, რადგან ფლობენ ბაზრის მეტ წილს;

- **ბიზნეს-პროცესების და მართვის ეფექტურობა.** შექმნილ კომპანიაზე ვრცელდება მყიდველი კომპანიის ხარისხიანი მენეჯმენტი და თანამედროვე ტექნოლოგიები;
- **საგადასახადო შეღავათები.** კომპანიას, რომლის საგადასახადო ტვირთიც ძალიან მაღალია, შეუძლია შეიძინოს საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე კომპანია;
- **სხვაობა კომპანიის საბაზრო ღირებულებასა და მისი ჩანაცვლების ღირებულებას შორის.** ხშირად ინვესტორისთვის უფრო ხელსაყრელია არსებული საწარმოს შესყიდვა, ვიდრე ახლის აშენება;
- **მონოპოლიური მოტივი.** კონკურენციიდან გამომდინარე, ფასები პროდუქციაზე შეიძლება იმდენად შემცირებული იყოს, რომ მწარმოებლის მოგება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, შესაბამისად ბევრი კომპანიისთვის ეს ხდება მოტივი, რომ სხვა კონკურენტი კომპანიები შეისყიდოს. აღსანიშნავია, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა კრძალავს ისეთ საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს ფასების მომატებას. საქართველოს კანონში კონკურენციის შესახებ აღნიშნულია, რომ ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, დაუშვებელია. ეკონომიკური აგენტების შერწყმის/გაერთიანების რეგისტრაციისთვის აუცილებელია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა მოსალოდნელი შერწყმის/გაერთიანების კონკურენციული ეფექტის თაობაზე. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

ბუნებრივია, რომ შერწყმის ან გაერთიანების შედეგად, კომპანიები მოელიან გარკვეულ სარგებელს, რომელიც გამოიხატება კაპიტალის ზრდაში. ასეთი ზრდა კი აისხნება სინერგიის ეფექტით, რომელიც წარმოიშობა ინტეგრაციის შედეგად და შემდგომი ერთობლივი საქმიანობისას. მოცემულ კონტექსტში, სინერგია არის ორი ან რამოდენიმე ობიექტის ერთობლივი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება

დამატებითი ეფექტი, რომელიც მეტია, ვიდრე მათი ცალ-ცალკე საქმიანობით წარმოშობილი სარგებელი. სხვა სიტყვებით, როდესაც ორი ან რამოდენიმე საწარმო ერთიანდება, მათ აქტივებს, როგორც წესი, მეტი უკუგება მოაქვს, ვიდრე ისინი მოიტანდნენ, ცალ-ცალკე სუბიექტების ბალანსზე რომ ყოფილიყვნენ. საქმე ისაა, რომ შერწყმის/გაერთიანების შედეგად ინტეგრირებული სუბიექტი სარგებლობს მთელი რიგი უპირატესობებით. ხდება გამოცდილების და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლა, დანახარჯების შემცირება და ა.შ. სწორედ ამიტომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ბევრმა ცნობილმა კომპანიამ მიმართა შერწყმას ან გაერთიანებას.

იმისათვის, რომ შერწყმა/გაერთიანება წარმატებით განხორციელდეს, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები:

- გარიგების ორგანიზაციული ფორმის სწორად შერჩევა;
- გარიგების შესაბამისობის უზრუნველყოფა ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან;
- გაერთიანებისთვის საკმარისი რესურსების მობილიზება;
- მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერების ჩართვა შერწყმის ან გაერთიანების პროცესში.

კომპანიების შერწყმა ამაღლებს საქმიანობის ეფექტურობას, მაგრამ ასევე შესაძლებელია საქმიანობის შედეგების გაუარესება და ბიუროკრატიული პროცედურების მატება კომპანიაში. ძალიან რთულია შერწყმის/გაერთიანების შედეგად გამოწვეული ცვლილებების წინასწარ განსაზღვრა. ექსპერტები გამოყოფენ შერწყმის/გაერთიანების წარუმატებლობის სამ ძირითად მიზეზს:

- ბაზრის მიმზიდველობის და შესაძენი კომპანიის კონკურენტული პოზიციის არასწორი შეფასება;
- შერწყმის ან გაერთიანების გარიგების განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციის მოცულობის არასათანადოდ შეფასება;
- ტექნიკური შეცდომები.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ადგილი აქვს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს კომბინაციებს, რომელთაგანაც ერთ-ერთია საწარმოთა გაერთიანება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ აღნიშნულია, რომ თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე.

1.2 საწარმოს/ბიზნესის განსაზღვრა და საწარმოთა გაერთიანებების იდენტიფიცირების მიდგომები

ყველა ტრანზაქცია, რომლის შედეგადაც საწარმო ერთი ან რამოდენიმე საწარმოს მაკონტროლებელი ხდება, კვალიფიცირდება როგორც საწარმოთა გაერთიანება. საწარმომ უნდა განსაზღვროს, სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა, არის თუ არა საწარმოთა გაერთიანება ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ თანახმად, რომელიც მოითხოვს, რომ შექენილმა აქტივებმა და აღებულმა ვალდებულებებმა დააფუძნოს საწარმო. თუ შექენილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს, ანგარიშვალდებულმა სუბიექტმა სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა უნდა ასახოს, როგორც აქტივის შექენა.

იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა შექენილი აქტივები ან აღებული ვალდებულებები საწარმოს, უმეტეს შემთხვევებში არ არის რთული. მიუხედავად ამისა, საწარმოს იდენტიფიცირება ზოგ შემთხვევაში შეიძლება გართულდეს,

მაგალითად მაშინ, როდესაც შექმნილი ჯგუფის რეალური ღირებულება კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ ან რამდენიმე აქტივში ან როდესაც შექმნილი საწარმო გამოიმუშავებს დაბალ მოგებას ან საერთოდ არ აქვს მოგება.

იმისათვის, რომ შექმნილი სუბიექტი მიხნეულ იქნეს საწარმოდ, მას უნდა ჰქონდეს **რესურსები** და **პროცესები**, რომლებიც მას უკუგების ან ეკონომიკური სარგებლის გამოიმუშავების საშუალებას აძლევენ. ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, დივიდენდების, კაპიტალის ღირებულების ზრდის ან დანახარჯების შემცირების სახით.

საწარმოსთვის დამახასიათებელი სამი ელემენტი განიმარტება შემდეგნაირად¹:

- **რესურსები (Input).** ნებისმიერი ეკონომიკური რესურსი, რომელიც პროდუქციას ქმნის, ან გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი, როდესაც მასზე ჩატარდება ერთი ან მეტი პროცესი. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივები, ინტელექტუალური საკუთრება, აუცილებელი მასალების ან უფლებებისა და დაქირავებულ მომუშავეთა მოზიდვის უნარი;
- **პროცესი (Process).** ნებისმიერი სისტემა, სტანდარტი, პროტოკოლი, კონვენცია ან წესი, რომელიც რესურსის გამოყენებისას, ქმნის პროდუქციას ან გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი. მაგალითად: სტრატეგიული მართვის პროცესები, საექსპლუატაციო პროცესები და რესურსების მართვის პროცესები. ეს პროცესები, როგორც წესი, დოკუმენტურად არის შედგენილი. ბუღალტრული აღრიცხვა, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ადმინისტრაციული სისტემები, როგორც წესი, არ მიეკუთვნება პროდუქციის შესაქმნელად გამოყენებულ პროცესებს;
- **პროდუქცია (Output).** შედეგი, რომელიც მიიღება რესურსებისა და ამ რესურსების მიმართ ისეთი პროცესების გამოყენების შედეგად, რომელსაც მოაქვს შემოსავალი ან გააჩნია შემოსავლების შექმნის უნარი უშუალოდ ინვესტორების ან სხვა მესაკუთრეებისთვის, წევრების ან მონაწილეებისათვის, დივიდენდების, დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისგან, რომლებიც გამოიყენება ამ რესურსების პროდუქციად გარდასაქმნელად. მართალია,

¹ IFRS Foundation. IFRS 3 Business Combinations; Definition of a Business B7; A 158

საწარმოს, ჩვეულებრივ, პროდუქცია გააჩნია, მაგრამ ფასს 3-ში მოცემული განმარტების თანახმად, პროდუქცია არ მოითხოვება იმისათვის, რომ ინტეგრირებული კომპლექსი განიხილებოდეს როგორც საწარმო.

საწარმოები, რომლებსაც არ გააჩნიათ პროდუქცია, როგორც წესი, არიან განვითარების სტადიაზე მყოფი საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით, მომავალი პროდუქციისთვის გასაღების ბაზრების მოძიებით, პერსონალის შერჩევით. ასეთი საწარმოების შესყიდვა ინვესტორების მხრიდან სარისკო გადაწყვეტილება იქნება, რადგან არსებობს ისეთი სფეროები (მაგალითად, მაღალტექნოლოგიური სფეროები), სადაც საკმაოდ დიდი რისკია, რომ აქტივობები, რომლებსაც ახლადშექმნილი საწარმო ახორციელებს ბიზნესის დასაწყებად - განსაკუთრებით ეს ეხება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს - წარმატებით ვერ განხორციელდეს, ხოლო ახლადშექმნილ საწარმოს არ ჰქონდეს საკმარისი სახსრები სხვა იდეის განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, რომ სტანდარტში შევიდეს დამატებითი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც დადგინდება არის თუ არა ინტეგრირებული კომპლექსი საწარმო, როდესაც მას არ გააჩნია პროდუქცია (ანუ გააჩნია მხოლოდ რესურსები და პროცესები).

ასეთი კრიტერიუმები შესაძლოა იყოს:

- დარგის სპეციფიკის შესწავლა (ანუ რამდენად დიდია რისკი, რომ პროექტი “ჩავარდეს” და საწარმომ ვერ გამოუშვას პროდუქცია);
- ჩადებული ინვესტიციის საკმარისობის შესახებ მსჯელობა;
- რამდენად საკმარისია ის პროცესები, რასაც სუბიექტი ფლობს კვლევების წარმატებით ჩასატარებლად;
- აქვს თუ არა სუბიექტს ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგია პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

დასახული მიზნების მისაღწევად საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებულ კომპლექსს ესაჭიროება ორი მთავარი ელემენტი: რესურსები და ამ რესურსების მიმართ გამოსაყენებელი პროცესები, რომლებიც ერთობლივად გამოიყენება ან

გამოყენებული იქნება პროდუქციის შესაქმნელად. თუმცა, ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” მიხედვით, აუცილებელი არ არის, რომ საწარმო გაერთიანებდეს ყველა იმ რესურსსა და პროცესს, რასაც გამოყენებული იყენებდა მისი ფუნქციონირებისთვის, თუ ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ საწარმოს შექმნა და პროდუქციის წარმოების გაგრძელება, მაგალითად, საწარმოსთან თავიანთი საკუთარი რესურსებისა და პროცესების ინტეგრაციით. მოცემული დაშვება შეიცავს გარკვეულ რისკს იმისა, რომ ბაზრის მონაწილეების მიერ გამოყენებული რესურსები არ შეესაბამებოდეს მოთხოვნებს (მაგალითად, ნედლეული იყოს უხარისხო ან პერსონალი არაკვალიფიციური) ან პროცესები (საწარმოო ტექნოლოგიები) არ იყოს სათანადოდ გამართული.

საწარმოს ზემოაღნიშნული ელემენტების თავისებურებები განსხვავდება სამეურნეო ერთეულის საქმიანობის სფეროსა და მისი ოპერაციების სტრუქტურის მიხედვით, მათ შორის, სამეურნეო ერთეულის განვითარების სტადიის მიხედვით. დიდი ხნის დაფუძნებულ საწარმოს ხშირად მრავალი განსხვავებული სახეობის რესურსი, პროცესი და პროდუქცია გააჩნია, ხოლო ახლადშექმნილი საწარმო ხშირად მცირე რესურსსა და პროცესს ფლობს და ზოგჯერ მხოლოდ ერთი სახეობის პროდუქციას უშვებს.

მიიჩნევა, რომ თუ შექმნილ ჯგუფში არის გუდვილი, მაშინ ეს ჯგუფი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საწარმო. ასეთ შემთხვევაში, რომელიმე რესურსის ან პროცესის არარსებობა ნაკლებსავარაუდოა, რომ საწარმოს ინვესტორებს უკუგება არ მოუტანოს. მყიდველმა საწარმომ უნდა განსაზღვროს, რამდენად არის შექმნილ საწარმოში ყველა მატერიალური და არამატერიალური აქტივი იდენტიფიცირებული, აღიარებული და სწორად შეფასებული მანამდე, სანამ გუდვილის არსებობის საკითხს განიხილავს (გუდვილის არარსებობა შექმნილ საწარმოში არ ნიშნავს იმას, რომ ის არ წარმოადგენს საწარმოს).

როგორ განვასხვავოთ საწარმო და აქტივი/აქტივების ჯგუფი?

იმის განსაზღვრისას, ოპერაცია საწარმოს შექმნაა თუ აქტივების ჯგუფის, შესაძლოა, სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. სტანდარტი გვთავაზობს საფუძვლებს, რომლებიც დაგვეხმარება ამის დადგენაში, კერძოდ, საწარმომ უნდა:

- მოახდინოს შექმნილი ჯგუფის ელემენტების (რესურსების და პროცესების) იდენტიფიცირება;
- შეაფასოს შექმნილი ჯგუფის უნარი გამოუშვას პროდუქცია;
- შეაფასოს გავლენა, რომელსაც არარსებული ელემენტები იქონიებენ ბაზრის მონაწილეების გადაწყვეტილებაზე აწარმოონ პროდუქცია შექმნილი ჯგუფის მეშვეობით.

როგორც აღინიშნა, საწარმომ პირველ რიგში შექმნილი ჯგუფის ელემენტები უნდა დაადგინოს. თუ აქტივი ან აქტივების ჯგუფი (მატერიალური ან არამატერიალური) არ არის დაკავშირებული კონკრეტული პროცესებით, მაშინ შექმნილი საწარმო, დიდი ალბათობით, არის აქტივების ჯგუფი და არა საწარმო. თანმხლები რესურსების და დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირება, შესაძლოა რთული იყოს. მაგალითად, კომპანიამ, რომელმაც შეისყიდა სასტუმრო, შესაძლოა ჩათვალოს, რომ აქტივი შეიძინა. მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში, კომპანია იძენს ასევე სხვა რესურსებს (მაგალითად, თანამშრომლებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ავეჯს და უძრავ ქონებას) და პროცესებს (სარეზერვაციო სისტემებს, ოპერატიულ სისტემებს, პროცედურებს და პოლიტიკას). ასევე შესაძლებელია, რომ შექმნილი სასტუმრო დიდი ხანი ფუნქციონირებდეს ბაზარზე, ჰქონდეს ცნობილი ბრენდი და მუდმივი კლიენტები. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი მთლიანობაში ადასტურებს, რომ შესყიდული სასტუმრო არის საწარმო.

ამის შემდეგ, საწარმომ უნდა გააანალიზოს შექმნილი ჯგუფის უნარი გამოუშვას პროდუქცია, რომელიც, შემდგომ, ინვესტორებს უკუგებას მოუტანს. თუ დადგინდა, რომ შექმნილი ჯგუფი ვერ აწარმოებს პროდუქციას, საწარმომ უნდა განსაზღვროს ის ელემენტები, რომელთა არქონაც არ აძლევს საწარმოს პროდუქციის გამოშვების საშუალებას. იმის შემდეგ, რაც ეს ელემენტები გამოვლინდება, საწარმომ უნდა დაადგინოს, რამდენად შეუძლია ბაზრის სხვა მონაწილეებს ამ ელემენტების (რესურსების) უზრუნველყოფა. ბაზრის მონაწილემ შესაძლოა შეაფასოს არარსებული ელემენტები შექმნილი ჯგუფის ინტეგრირებით საკუთარ ოპერაციებში. არარსებული ელემენტები, რომელთა მიღებაც ადვილად შეიძლება, მიიჩნევა ბაზრის მონაწილეების მიერ ჩანაცვლებადად. თუ ბაზრის მონაწილეები ვერ ჩაანაცვლებენ არარსებულ რესურსებს, შექმნილი ჯგუფი საწარმოდ ვერ განიხილება.

ფასს-ის საბჭო განსაზღვრავს ბაზრის მონაწილეებს როგორც აქტიურ ბაზარზე აქტივის ან ვალდებულების მყიდველებს და გამყიდველებს, რომლებიც არიან დამოუკიდებლები, გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და სურვილი გარიგების განსახორციელებლად. თავის მხრივ, ფასს 13-ში „რეალური ღირებულების შეფასება“ აქტიური ბაზარი განიმარტება როგორც ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც მუდმივად ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა.

აუდიტორული კომპანია “Pricewaterhouse Coopers” გვთავაზობს შემდეგ მავალითს საწარმოს იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით: ²

აუთსორსინგის კომპანია (კომპანია A) ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთსორსინგს. კომპანია B ახდენს ელექტროენერჯის წარმოებას და მომარაგებას. კომპანია B-ს ბილინგის სისტემა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვა სისტემები მოითხოვს მნიშვნელოვან კომპიუტერულ და საკადრო რესურსს. კომპანია B იყენებს ამ სისტემებს სხვა, უფრო მცირე ზომის კომპანიებისთვის საბილინგო და საადრიცხვო მომსახურების გასაწევად. კომპანია A-მ და კომპანია B-მ დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც A 15 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს B-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისით. A იძენს B-ს კომპიუტერულ აღჭურვილობას, შენობებს და მესამე მხარეებთან დადებულ კონტრაქტებს. ყველა თანამშრომელი, რომელიც დასაქმებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებაში გააგრძელებს მუშაობას ახალ კომპანიაში, რომლის გეგმებში შედის ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისით ვაჭრობის გაგრძელება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციების დახვეწა ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით და, ასევე, თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება.

ანალიზი

კომპანია A-ს მიერ შეძენილი აქტივები და შესაბამისი ოპერაციები შეადგენენ საწარმოს. ელემენტები მოიცავს რესურსებს (შენობები, თანამშრომლები და

²Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ;

კომპიუტერული ტექნიკა), პროცესებს (კომპიუტერული სისტემები და საოპერაციო პროცესები) და პროდუქციას (სხვა კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები და კომპანია B-თან დადებული შეთანხმება სერვისით უზრუნველყოფის შესახებ). შესაბამისად, შეძენილ ჯგუფს აქვს უკუგების გამომუშავების უნარი. ამ შემთხვევაში, ბაზრის მონაწილეების იდენტიფიცირება არ არის აუცილებელი, რადგან შეძენილ ჯგუფში არ არის გამოტოვებული ელემენტები.

ამრიგად, მოცემულ მაგალითში ერთმა კომპანიამ შეისყიდა მეორე კომპანიისგან სამივე ელემენტი, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს საწარმოს შექმნასთან.

თავის მხრივ, აუდიტორული კომპანია “Deloitte&Touche” ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება აქტივების ერთი ჯგუფი, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს, მეორე კომპანიაში გადასვლისას შეიცვალოს კლასიფიკაცია და გახდეს საწარმო (ბიზნესი):

კომპანია C-მ გადაწყვიტა კომპანია D-სთვის აუტოსორსინგული მომსახურების შესრულება სატელეფონო ცენტრის მომსახურების შეთავაზებით. ამ გარიგების დადებამდე, მოცემული სატელეფონო ცენტრი C კომპანიაში ასრულებდა დანახარჯის ცენტრის ფუნქციას და არა ცალკე საწარმოსი (დამოუკიდებელი ქვედანაყოფის). კომპანია D, ამ აქტივების მიღების შემდეგ, შეძლებს გამოიყენოს ისინი თავის მფლობელობაში არსებული აქტივების კომბინაციაში ისე, რომ უკუგება გამომიშავოს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში აქტივები შესაძლოა განხილულ იქნეს საწარმოდ.

სხვა პრაქტიკული მაგალითები საწარმოს და აქტივის (აქტივების ჯგუფის) განსაზღვრისთვის

შეძენილი აქტივები და ოპერაციები გამოშვებული პროდუქციის გარეშე³

ვიდეო თამაშების შემქმნელი კომპანიის მიმდინარე საქმიანობა მოიცავს პირველი პროდუქტის შექმნასა და მასთან დაკავშირებულ კვლევით სამუშაოებს,

ასევე პროდუქტისთვის ბაზრის მოძიებას. კომპანიას ჯერ არ გამოუმუშავებია შემოსავალი და იღებს დაფინანსებას მესამე მხარეებისგან. კომპანიას გააჩნია ინჟინრებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ძალა, ასევე ფლობს ვიდეო თამაშების დაპროექტებისა და განვითარებისთვის აუცილებელ ინტელექტუალურ საკუთრებას, პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის ძირითად საშუალებებს. ერთ-ერთ მსხვილ საინვესტიციო ფონდს აქვს კომპანიის შექმნის სურვილი და გეგმავს ამ კომპანიის აქციების საფონდო ბირჟაზე გატანას.

ანალიზი

შესაძლებელია, რომ კომპანია განხილულ იქნეს საწარმოდ. ელემენტები მოიცავს როგორც რესურსებს, ასევე პროცესებს. რესურსები არის ინტელექტუალური საკუთრება, ძირითადი საშუალებები და თანამშრომლები, ხოლო პროცესები – სტრატეგიული და ოპერატიული სისტემები პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ შექმნილი ჯგუფი მოიცავს ყველა იმ რესურსსა და პროცესს, რომელიც აუცილებელია პროდუქციის შექმნისთვის. ამრიგად, ის ფაქტი, რომ კომპანია ამ მომენტში არ აწარმოებს პროდუქციას, არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი კომპანიის საწარმოდ განსახილველად.

ამრიგად, კომპანია “Pricewaterhouse Coopers”-ის მიდგომა, რომ რესურსების და პროცესების არსებობა საკმარისია ოპერაციის საწარმოდ კვალიფიცირებისთვის, სწორია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მაგალითში განხილული ვიდეო თამაშების შემქმნელი კომპანია მესამე მხარეებისგან იღებს დაფინანსებას, რაც მას ფინანსურად დამოკიდებულს ხდის და რისკ ფაქტორს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, სადავოა, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს საწარმოდ კვალიფიცირებისთვის აუცილებელი რესურსები და პროცესები საკმარისად საიმედოდ (იმისათვის, რომ საწარმოდ ჩაითვალოს), როდესაც მათი არსებობა დამოკიდებულია მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებაზე და ამასთან, დონორი კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე მაგალითში არაფერია ნათქვამი.

შექმნილი აქტივები და არარსებული ელემენტები⁴

კომპანია ყიდულობს მრავალ ქვეყანაში მომუშავე კონგლომერატის, კომპანია A-ს ორგანული კვების ოპერაციებს, რათა ეს ოპერაციები ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელ ქვედანაყოფად. კომპანია A ისეა შექმნილი, რომ ორგანული კვების ოპერაციები ზოგ ქვეყანაში ცალკე იურიდიულ საწარმოებს წარმოადგენს, ზოგში კი განცალკევებულ ქვედანაყოფს. მენეჯმენტი, თანამშრომლები, შეთანხმებები პროდუქციის დისტრიბუციაზე, ბრენდი, საავტორო უფლებები და საოპერაციო სისტემები არის ორგანული კვების ოპერაციების შემადგენელი ნაწილი. მაგრამ, გაყიდვების საოპერაციო სისტემა, რომელიც ყიდის კომპანიის პროდუქტს არ წარმოადგენს გარიგების შემადგენელ ნაწილს.

ანალიზი

შესაძლებელია, რომ ორგანული კვების ოპერაციები მიჩნეულ იქნეს საწარმოდ. შექმნის ელემენტები მოიცავს როგორც რესურსებს (შეთანხმებები პროდუქციის დისტრიბუციაზე, ბრენდი, მენეჯმენტი), ასევე პროცესებს (საოპერაციო სისტემები, პროცედურები და პროტოკოლები). ვინაიდან გაყიდვების საოპერაციო სისტემა არ არის შესყიდული, შექმნილი ჯგუფი არ შეიცავს ყველა რესურსსა და დაკავშირებულ პროცესს, რომელიც აუცილებელია პროდუქციის საწარმოებლად.

კომპანია ასკვნის, რომ ბაზრის მონაწილეების როლში, რომლებსაც შეუძლიათ შეავსონ შეუსყიდავი ელემენტი (გაყიდვების საოპერაციო სისტემა), გამოდიან სტრატეგიული მყიდველები, რომლებსაც გააჩნიათ გაყიდვების საოპერაციო სისტემები. ამრიგად, ელემენტი, რომელიც არ იქნა შესყიდული საწარმოთა გაერთიანების ოპერაციების შედეგად (არარსებული, გამოტოვებული ელემენტი), არ წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს შექმნილი საწარმოს მიერ პროდუქციის საწარმოებლად. შესაბამისად, შექმნილი ჯგუფი განიხილება საწარმოდ.

არსებობს უმნიშვნელო რისკი, რომ ბაზრის მონაწილეების გაყიდვების საოპერაციო სისტემები შეუთავსებელი იყოს შექმნილი კომპანიის პროცესებთან. თუ ეს რისკი გამართლდა, შექმნილ კომპანიას ვერ ვაღიარებთ საწარმოდ, რადგან სტანდარტი ითხოვს [IFRS 3 Business Combinations; Definition of a Business; B8], რომ

⁴Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ.; გვ. 54

ბაზრის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ საწარმოს შექმნა და პროდუქციის წარმოების გაგრძელება საკუთარი რესურსების და პროცესების **ინტეგრაციით**.

შექმნა სასტუმროს ინდუსტრიაში⁵

სასტუმროების საერთაშორისო ქსელი ყიდულობს A ქვეყანაში ფუნქციონირებადი ადგილობრივი სასტუმროების ჯგუფს, რომელიც A ქვეყანაში ფლობს და მართავს სასტუმროებს და სურს მოახდინოს თავისი ოპერაციების რეფოკუსირება, რათა ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან სასტუმროებზე. შესაბამისად, ადგილობრივი სასტუმროების ქსელი თანახმაა გარკვეული რაოდენობის არაძირითადი სასტუმროები მიყიდოს სასტუმროების საერთაშორისო ქსელს. ყველა შესყიდული სასტუმროს კლიენტების ბაზა, დასაქმებული თანამშრომლები, უძრავი ქონება და სხვა მოწყობილობები გადავა საერთაშორისო ქსელში. შეთანხმების გაფორმების თარიღში მოქმედი ყველა ჯავშანი გადმოვა მიყიდულზე. საერთაშორისო ქსელი მოახდენს სასტუმროების რებრენდინგს და სასტუმროებში მოქმედ სისტემებს გადაიყვანს საკუთარ სისტემებზე და პროცესებზე.

ანალიზი

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შექმნილი ჯგუფი არის საწარმო. შექმნილი ჯგუფი შეიცავს რესურსებს (უძრავი ქონება, სხვადასხვა მოწყობილობები, კლიენტების ბაზა და არსებული შეკვეთების წიგნი) და პროცესებს (მენეჯმენტი და საოპერაციო პროცესები). ჩამოთვლილი ელემენტები საშუალებას იძლევა, რომ შექმნილმა ჯგუფმა დაბრკოლებების გარეშე გამოუშვას პროდუქცია.

რადგან მაგალითში აღწერილია საერთაშორისო ქსელის შემთხვევა, რომელიც სხვა ქვეყანაში ყიდულობს ბიზნესს, გასათვალისწინებელი იქნება ამ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თავისებურებები, მაგალითად, ხომ არ არის რაიმე შეზღუდვები კონკურენციის შესახებ კანონში ან საგადასახადო კოდექსში.

⁵Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ.; გვ. 57

აქტივების შეძენა

განვიხილოთ აუდიტორული კომპანიების "Pricewaterhouse Coopers"-ის და "Deloitte & Touche"-ის მაგალითები აქტივების შეძენასთან დაკავშირებით:

- სატრანსპორტო და სასაწყობე კომპანია C მესამე მხარეებს სთავაზობს ტრანსპორტირების და ტვირთის შენახვის მომსახურებას. საცალოდ მოვაჭრე კომპანია გეგმავს კომპანია C-გან შეისყიდოს რამდენიმე საწყობი და მათი საშუალებით გააფართოვოს საქონლის სადისტრიბუციო სისტემა. შეძენილი ჯგუფი შედგება მხოლოდ მიწისა და საწყობებისგან. ის არ შეიცავს სასაწყობე კონტრაქტებს მესამე მხარეებთან, არც თანამშრომლებს, სასაწყობე დანადგარებს ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებს.

ანალიზი

შეძენილი ჯგუფი არ წარმოადგენს საწარმოს. მყიდველი ყიდულობს მხოლოდ რესურსებს და არ იძენს შესაბამის პროცესებს. შეძენილ ჯგუფში არ არის წარმოდგენილი რესურსების და პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა გარეშეც შეძენილი ჯგუფი ვერ დააკმაყოფილებს საწარმოს განმარტებას.

- ზოგი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მიღებულია, რომ ბუნებრივი რესურსების ძიებასთან და მოპოვებასთან დაკავშირებული უფლებები რეგისტრირებულია სხვადასხვა კომპანიებზე, ძიების ობიექტების მიხედვით. საძიებო და საშემფასებლო საქმიანობებთან დაკავშირებული კომპანიის მენეჯმენტი, დანადგარები და ტექნიკა, ასევე თანამშრომლები - ცენტრალიზებულია.

უმეტეს შემთხვევებში, როდესაც დგება ამა თუ იმ ლიცენზიის გადაცემის აუცილებლობა, ხდება მთლიანად იმ კომპანიის გადაცემა, რომელზეც რეგისტრირებულია ეს ლიცენზია.

ანალიზი

ის კომპანია, რომელიც იღებს ლიცენზიას, ამ ოპერაციას აღრიცხავს როგორც აქტივის შეძენას და არა როგორც საწარმოს შეძენას, რადგან ფაქტობრივად, ლიცენზიის გარდა (რესურსი) სხვა ელემენტის შესყიდვა არ მომხდარა.

შესაბამისად, ორივე მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ მოხდა კონკრეტული აქტივის შექმნა და ცალკე აღებული აქტივის შექმნა კი არ აკმაყოფილებს საწარმოს განმარტებას, რადგან სხვა რესურსებისა და თანმდევი პროცესების გარეშე ის ვერ მოუტანს კომპანიას უკუგებას.

საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიცირება

ფასს 3 საწარმოთა გაერთიანებას განსაზღვრავს, როგორც სამეურნეო ოპერაციას ან სხვა მოვლენას, რომლის დროსაც მყიდველი საწარმო იღებს კონტროლს ერთ ან მეტ საწარმოზე. ყველაზე გავრცელებული საწარმოთა გაერთიანება არის შესყიდვის ოპერაცია, რომლის შედეგადაც მყიდველი იძენს საწარმოს წმინდა აქტივებს ან კაპიტალის წილებს გარკვეული ოდენობის ფულადი სახსრების ან აქციების სანაცვლოდ.

ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ თანახმად, მყიდველმა საწარმომ შექმნილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება აიღოს სხვადასხვა გზით, მაგალითად:

- ფულადი სახსრების, ფულის ექვივალენტების ან სხვა აქტივების (მათ შორის, წმინდა აქტივების, რომლებიც აფუძნებს საწარმოს) გადაცემით;
- ვალდებულებების აღებით;
- აქციების ემისიით;
- ერთზე მეტი სახეობის კომპენსაციის გადაცემით;
- კომპენსაციის გადაცემის გარეშე, მათ შორის, გაერთიანება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოთა გაერთიანება შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გზით, იურიდიული, საგადასახადო და სხვა მიზნებიდან გამომდინარე, რაც მოიცავს ქვემოთ განხილულ მაგალითებს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით:

- ერთი ან მეტი საწარმო ხდება მყიდველის შვილობილი საწარმო, ან ერთი ან მეტი საწარმოს წმინდა აქტივები იურიდიულად ერწყმება მყიდველ საწარმოს;

- ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული გადასცემს თავის წმინდა აქტივებს, ან მისი მესაკუთრეები გადასცემენ თავიანთ სააქციო წილებს სხვა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულს ან მის მესაკუთრეებს;

- ყველა გაერთიანებული სამეურნეო ერთეული გადასცემს თავის წმინდა აქტივებს, ან ამ სამეურნეო ერთეულების მესაკუთრეები გადასცემენ თავიანთ სააქციო წილებს ახლად ფორმირებულ სამეურნეო ერთეულს;

- ერთ–ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ყოფილი მესაკუთრეთა ჯგუფი იღებს კონტროლს გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულზე.

შემდეგ მაგალითებში⁶ აღწერილია ოპერაციები, რომლებიც კვალიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად:

აქციების უკუშესყიდვა

კომპანია C (ინვესტორი) ფლობს აქციებს კომპანია D-ში. კომპანია D ახდენს სხვა კომპანიებისგან თავისი აქციების უკუშესყიდვას, რაც ზრდის C კომპანიის პროპორციულ წილს D-ს კაპიტალში და ხელს უწყობს მას აიღოს კონტროლი კომპანია D-ზე.

ანალიზი

მოცემული ოპერაცია განიხილება საწარმოთა გაერთიანებად და ინვესტორის მიერ მის აღსარიცხავად უნდა გამოყენებულ იქნეს შეძენის მეთოდი.

ცვლილება არამაკონტროლებელი წილების მფლობელების უფლებებში

კომპანია E ფლობს კომპანია F-ის ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას, მაგრამ ვერ ახორციელებს კონტროლს კომპანია F-ში, არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ სახელშეკრულებო უფლებების (მაგალითად, ვეტოს უფლება) ფლობის გამო.

⁶Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 60

ანალიზი

სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ კომპანია E მოიპოვებს კონტროლს F-ზე. ამის შემდეგ, ეს ოპერაცია დაკვალიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად და E-ს მიერ მის აღსარიცხავად გამოყენებულ იქნება შექმნის მეთოდი.

კონტრაქტები და სხვა შეთანხმებები

კომპანია A და კომპანია B დებენ შეთანხმებას თავიანთი ბიზნესის გასაერთიანებლად. კომპანია A-ს ექნება კომპანია B-ს ოპერაციებზე კონტროლის უფლება.

ანალიზი

კომპანია A იღებს კონტროლს კომპანია B-ზე. ეს ოპერაცია განიხილება საწარმოთა გაერთიანებად და მის აღსარიცხავად გამოყენებული იქნება შექმნის მეთოდი.

სამივე მაგალითში საკვანძო მომენტი ერთი საწარმოს მიერ მეორეზე კონტროლის აღება, რომელიც აუცილებელი პირობაა საწარმოთა გაერთიანების აღიარებისთვის. ფასს 10 “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების” თანახმად კი, ინვესტორი მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლის მიღებასთან ან გააჩნია ასეთი შემოსავლის მიღების უფლება.

ოპერაციები, რომლებიც არ შედის ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ მოქმედების სფეროში

ფასს 3 გამოიყენება სამეურნეო ოპერაციის ან სხვა მოვლენის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს საწარმოთა გაერთიანების განმარტებას. იგი არ ვრცელდება:

- ერთობლივ საქმიანობებზე (Joint Arrangement). განმარტების თანახმად, ასეთი ტიპის საწარმოებში არც ერთ მხარეს არ აქვს კონტროლი სხვა სუბიექტებზე. ერთობლივ საქმიანობაში შემავალი სუბიექტები ერთნაირი წილობრივი მონაწილეობით ერთობლივად აკონტროლებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს სტრატეგიულ და ოპერატიულ საკითხებში;

- აქტივის ან აქტივების ჯგუფის შექენაზე, რომელიც არ აფუძნებს საწარმოს. საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის პრინციპების თანახმად, აქტივების ან აქტივების ჯგუფის (რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს) შექენა არ უნდა აღიერიცხებოდეს როგორც საწარმოთა გაერთიანება;

- საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებზე ან საწარმოთა გაერთიანებებზე (Entities or Businesses under Common Control). ასეთი ტიპის საწარმოთა გაერთიანებაში ყველა გაერთიანებული სამეურნეო ერთეული ან საწარმო, საბოლოო ჯამში, ერთი და იმავე მხარის ან მხარეთა მიერ კონტროლდება საწარმოთა გაერთიანებამდეც და მის შემდეგაც და ასეთი კონტროლი გარდამავალი არ არის.

1.3 სხვა ოპერაციები, რომლებიც აღიერიცხება როგორც საწარმოთა გაერთიანება

მიმაგრებული ოპერაციები (Stapling Transactions) და ორმაგი კოტირების (Dual-Listed) კომპანიები

მიმაგრებული ოპერაციები და ორმაგი ლისტინგის კომპანიების ფორმირება ითვლება საწარმოთა გაერთიანებად და უნდა აღიერიცხოს შექენის მეთოდის გამოყენებით. ზემოხსენებული ოპერაციები იშვიათია და გვხვდება მხოლოდ გარკვეულ რეგიონებში.

მიმაგრებული ოპერაცია არის ორ იურიდიულ პირს შორის დადებული სახელშეკრულებო შეთანხმება, რომლის დროსაც ერთი იურიდიული პირი გამოსცემს წილობრივ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც დაკავშირებულია (მიმაგრებულია) მეორე იურიდიული პირის მიერ გამოცემულ ფასიან ქაღალდებთან. მიმაგრებული ფასიანი

ქაღალდები კოტირდება ერთიან ფასში და მათი განცალკევებულად გადაცემა ან ვაჭრობა დაუშვებელია.

ორმაგი კოტირების კომპანია (Dual-Listed Company) არის შეთანხმება ორ კოტირებულ იურიდიულ პირს შორის, რომლის ფარგლებშიც მათი საქმიანობა იმართება, როგორც ერთი სამეურნეო სუბიექტი. თითოეული გაერთიანებული კომპანიის სამართლებრივი დამოუკიდებლობა შენარჩუნებულია. ასევე, თითოეული კომპანიის ფასიანი ქაღალდები სხვადასხვა საფონდო ბირჟებზე დამოუკიდებლად კოტირდება, გადაიცემა და იყიდება. ამრიგად, არც ერთ კომპანიას არ გააჩნია საკუთრების უფლება მეორეზე და დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტების გაერთიანების მიზანს არ წარმოადგენს ახალი სამეურნეო სუბიექტის შექმნა. მიუხედავად ამისა, ფინანსური აღრიცხვის კუთხით ეს ოპერაცია კვალიფიცირდება როგორც საწარმოთა გაერთიანება.

„თანასწორთა შერწყმა“ (Merger of Equals) და ერთობლივი სამეურნეო ერთეულები (Mutual Enterprises)⁷

„თანასწორთა შერწყმა“ გულისხმობს ორი დაახლოებით ერთიდაიგივე ზომის სამეურნეო სუბიექტის გაერთიანებას და ერთობლივი კონტროლის დამყარებას გაერთიანებულ სამეურნეო სუბიექტზე. ასეთი გაერთიანება ექცევა ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ სფეროში. ეს ტერმინი გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ გარიგება წარმოადგენს არა შექმნას (როდესაც გარიგების ერთი მხარე წარმოადგენს მყიდველს და მეორე მხარე შექმნილ კომპანიას), არამედ ორი თანასწორი სუბიექტის შერწყმას.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება გასამახვილებელია ერთობლივ საქმიანობებზე (Joint Arrangement), რომლებიც ფასს 11 “ერთობლივ საქმიანობაში” განმარტებულია შემდეგნაირად: “საწარმოები, სადაც არც ერთ მხარეს არ აქვს კონტროლი სხვა სუბიექტებზე. მასში შემავალი სუბიექტები ერთნაირი წილობრივი მონაწილეობით აკონტროლებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს სტრატეგიულ და ოპერატიულ საკითხებში”. რადგან “თანასწორთა შერწყმის” და “ერთობლივი საქმიანობების” ფასს 3-ში და ფასს 11-ში მოყვანილი განმარტებები ერთმანეთის

⁷Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 61

მსგავსია, მიზანშეწონილი იქნება, თუ ორივე სტანდარტში გაკეთდება დამატებითი განმარტებები მათი სწორი იდენტიფიცირებისთვის. ეს დაეხმარება დარგის სპეციალისტებს არ დაუშვან შეცდომა შესაბამისი სამეურნეო ოპერაციის ამ ორიდან ერთ-ერთ კატეგორიაში მიკუთვნებისას, ვინაიდან თანასწორობა შერწყმა კლასიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, სადაც გაერთიანებულია სათავო საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ბალანსის მუხლები, საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები, ხოლო ერთობლივი საქმიანობის შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ სუბიექტთან, რომლებიც ცალ-ცალკე ამზადებენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს და თითოეული მათგანი ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებს და მათ შედეგებს ასახავს დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, ფასს 11 “ერთობლივი საქმიანობის” შესაბამისად.

რაც შეეხება ერთობლივ სამეურნეო ერთეულს, ფასს 3 განმარტავს მას როგორც სამეურნეო ერთეულს, რომელიც არ არის რომელიმე ინვესტორის საკუთრებაში მყოფი და უშუალოდ თავის მესაკუთრეებს, წევრებს ან მონაწილეებს უზრუნველყოფს დივიდენდებით, დაბალი დანახარჯებით ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლით. მაგალითად, ერთობლივი სადაზღვევო კომპანია, საკრედიტო კავშირი და კოოპერაციული სამეურნეო ერთეული – ყველა ერთობლივ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენს.

აქტივების გაცვლა კომპანიებს შორის

კომპანიებმა, რომლებიც ერთმანეთში არაფულად აქტივებს ცვლიან, უნდა გამოიყენონ შექმნის მეთოდი, თუ ამ ოპერაციების შედეგი არის საწარმოს შექმნა. მაგალითად, კომპანია A გადასცემს რადიო მაუწყებლობის ლიცენზიას კომპანია B-ს, რომლისგანაც სანაცვლოდ იღებს რადიო სადგურს. კომპანია A ასკვნის, რომ რადიო სადგური, რომელსაც ის იღებს არის საწარმო (ბიზნესი), მაშინ როცა კომპანია B-ს მიერ მიღებული მაუწყებლობის ლიცენზია არის აქტივი.

ამრიგად, კომპანია A-მ უნდა აღრიცხოს მიღებული რადიო სადგური როგორც საწარმოთა გაერთიანება, აღრიცხვის შექმნის მეთოდის გამოყენებით. კომპანია B კი

აღრიცხავს რადიო მაუწყებლობის ლიცენზიას როგორც აქტივს შესაბამისი ფასს–ის გამოყენებით.

ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან საწარმოთა გაერთიანებას

იურიდიული, საგადასახადო თუ სხვა მარეგულირებელი გარემოებები ხშირად გავლენას ახდენს საწარმოთა გაერთიანებების სტრუქტურაზე. ორი ბიზნესის გასაერთიანებლად სამეურნეო ერთეულებს შეუძლიათ მიმართონ რთულ ეკონომიკურ ხერხებს, ბევრი ოპერაციის გამოყენებით, რათა საწარმოთა გაერთიანება მაქსიმალურად ხელსაყრელად განხორციელდეს. საწარმოს შექმნის შეთანხმება, რიგი ერთმანეთთან დაკავშირებული ოპერაციების გამოყენებით, არის საწარმოთა გაერთიანება და უნდა იქნეს აღრიცხული შექმნის მეთოდის გამოყენებით. იმის დადგენა, არის თუ არა ოპერაციების ერთობლიობა ერთმანეთთან დაკავშირებული და უნდა მოხდეს თუ არა მათი გაერთიანება და ერთ შეთანხმებად განხილვა, უნდა ეფუძნებოდეს სპეციფიურ ფაქტებს და გარემოებებს.

მაგალითად, კომპანია C (საერთაშორისო მედია ჯგუფი) ყიდულობს კომპანია D-ს სატელევიზიო მაუწყებლობას და სამეურნეო ოპერაციებს. საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე (დაბეგვრისგან თავის აცილების მიზნით), C პირდაპირ არ ყიდულობს D-ს აქციებს. ამის მაგივრად, მაუწყებლობის უფლებას შეიძენს C კომპანიის ერთ–ერთი ფილიალი. ტექნიკური აღჭურვილობა და პერსონალი, რომელიც მდებარეობს სხვადასხვა ქვეყანაში, შექმნილი იქნება შესაბამის რეგიონებში ფუნქციონირებადი C კომპანიის ფილიალების მიერ. არც ერთი ოპერაცია არ დასრულდება მანამ, სანამ არ დასრულდება სხვა დანარჩენი ოპერაციები.

შესაბამისად, კომპანია D-ს სატელევიზიო მაუწყებლობის და სამეურნეო ოპერაციების შექმნის რამოდენიმე ოპერაციებად დაყოფა არ ცვლის შეთანხმების შინაარსს, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას.

აქტუალურია კითხვა, უნდა აღრიცხოს თუ არა როგორც საწარმოთა გაერთიანება ისეთი ოპერაცია, რომლის დროსაც ერთი სამეურნეო სუბიექტი იღებს დროებით კონტროლს მეორეზე? სტანდარტში არ არის დაშვებული რაიმე სახის გამონაკლისები ასეთი შემთხვევებისთვის, შესაბამისად, ოპერაცია, სადაც ერთი

საწარმო იღებს დროებით კონტროლს მეორე საწარმოზე, უნდა კვალიფიცირდეს საწარმოთა გაერთიანებად.

თავი II. საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის შექმნის მეთოდი

2.1 მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირება

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” მოითხოვს, რომ საწარმომ თითოეული საწარმოთა გაერთიანება აღრიცხოს შექმნის მეთოდით. შექმნის მეთოდის გამოყენება საჭიროებს:

- მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირებას;
- შექმნის თარიღის განსაზღვრას;
- შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის აღიარებასა და შეფასებას;
- გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარებასა და შეფასებას.

სტანდარტი მოითხოვს, რომ ყოველი საწარმოთა გაერთიანებისთვის ერთ–ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული უნდა განისაზღვროს როგორც მყიდველი. მყიდველის იდენტიფიცირების პროცესი იწყება იმ მხარის დადგენით, რომელიც კონტროლს იღებს მეორე სამეურნეო სუბიექტზე. ამისთვის უნდა გამოყენებულ იქნეს ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ სახელმძღვანელო მითითებები. ფასს 10-ის მიხედვით, ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან შემოსავლის მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან შემოსავლის მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

თუ საწარმოთა გაერთიანება განხორციელდა, მაგრამ ფასს 10-ის მითითებებიდან ნათლად არ ჩანს, გაერთიანებული სამეურნეო ერთეულებიდან რომელია მყიდველი, მყიდველი საწარმოს დასადგენად განიხილება დამატებითი ფაქტორები. მაგალითად, საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც, ძირითადად, ჩამოყალიბდა ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გადაცემით, ან ვალდებულებების წარმოშობით, მყიდველად ჩაითვლება ის სამეურნეო ერთეული, რომელიც გადასცემს ფულად სახსრებს ან სხვა აქტივებს, ან იღებს ვალდებულებებს.

ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც, ძირითადად, სააქციო წილების გაცვლით შეიქმნა, მყიდველად ჩვეულებრივ ჩაითვლება სამეურნეო ერთეული, რომელიც გამოუშვებს თავის აქციებს. თუმცა, ზოგიერთ საწარმოთა გაერთიანებაში, რომელსაც „უკუშესყიდვას“ უწოდებენ, ემიტენტი სამეურნეო ერთეული არის შექმნილი საწარმო. უკუშესყიდვას ზოგჯერ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კერძო სამეურნეო ერთეულს სურს გახდეს საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია, მაგრამ არ სურს თავისი აქციების დარეგისტრირება. ამის მისაღწევად, კერძო სამეურნეო ერთეული თავის აქციებს მიჰყიდის კოტირებულ სამეურნეო ერთეულს და სანაცვლოდ მიიღებს მის სააქციო წილს. ამრიგად, აღრიცხვის მიზნებისთვის კოტირებული სამეურნეო ერთეული იდენტიფიცირდება როგორც შექმნილი საწარმო (იურიდიულად მყიდველი საწარმო), ხოლო კერძო სამეურნეო ერთეული იდენტიფიცირდება როგორც მყიდველი აღრიცხვის მიზნებისთვის (იურიდიულად შექმნილი საწარმო).

მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირებისას ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც სააქციო წილების გაცვლით ჩამოყალიბდა, უნდა განხილულ იქნეს სხვა სათანადო ფაქტები და გარემოებები. ესენია:

1) ხმის უფლების შეფარდებითი რაოდენობა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში, საწარმოთა გაერთიანების შემდგომ - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება ის გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის მესაკუთრეები, როგორც ჯგუფი, ინარჩუნებენ ან იღებენ ხმის უფლების უდიდეს ნაწილს გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში. იმის დასადგენად, მესაკუთრეთა რომელი ჯგუფი ინარჩუნებს ან იღებს ხმის უფლების უდიდეს ნაწილს, სამეურნეო ერთეულმა უნდა განიხილოს ხმის

უფლების შესახებ არსებული ნებისმიერი განსაკუთრებული ან სპეციალური შეთანხმებები და ოფციონების, ვარანტებისა ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების არსებობა.

2) ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილის არსებობა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში, თუ არც ერთ სხვა მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ორგანიზებულ ჯგუფს არ გააჩნია ხმის უფლების მნიშვნელოვანი წილი - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის ერთადერთ მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ორგანიზებულ ჯგუფს გააჩნია ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილი გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში. მაგალითად, ახლად გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტის ერთ-ერთ მესაკუთრეს წარმოადგენს ინვესტორი, რომელიც ფლობს ხმის უფლების 40%-ს, მაშინ როდესაც დანარჩენი 60% გაფანტულია მრავალ სხვადასხვა ინვესტორებზე. ამრიგად, ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილის მფლობელად ითვლება 40%-ის მფლობელი ინვესტორი.

3) გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მმართველობითი ორგანოს შემადგენლობა - მყიდველი იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის მესაკუთრეებსაც აქვთ გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობის არჩევის, დანიშვნის ან მოხსნის უფლება. ყურადღება უნდა მიექცეს მმართველობითი ორგანოს თავდაპირველ ფორმირებას და იმას, თუ რამდენად შესაძლებელია მმართველობითი ორგანოს შემადგენლობის ცვლილება შექმნის თარიღის შემდგომ. ამ ფაქტორის მნიშვნელობის შეფასება, მყიდველის იდენტიფიცირების დროს, მოიცავს იმის გააზრებას, თუ გაერთიანებული სამეურნეო ერთეულებიდან რომელს შეუძლია მმართველობითი ორგანოს შემადგენლობის ფორმირებაზე გავლენის მოხდენა. ეს შესაძლებელია შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: მმართველობითი ორგანოს მოქმედი წევრების საქმიანობის პირობების განსაზღვრის შესაძლებლობა; მოქმედი წევრების შეცვლის პროცედურები; კომიტეტები ან ინდივიდები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მმართველობითი ორგანოს ახალი წევრების არჩევის ძალაუფლება.

4) გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ზედა რგოლების მენეჯერთა შემადგენლობა - მყიდველი, როგორც წესი, იქნება გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტი, რომლის ყოფილი ხელმძღვანელობაც დომინირებს გაერთიანებული

სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობაში. ყურადღება უნდა გამახვილდეს წამყვანი თანამდებობების რაოდენობაზე, თითოეულ თანამდებობასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე და პასუხისმგებლობაზე და ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულების პირობებზე.

5) სააქციო წილის გაცვლის პირობები - მყიდველი, როგორც წესი, იქნება გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტი, რომელიც იხდის პრემიალურ თანხას სხვა გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ან ერთეულების სააქციო წილების გაერთიანებამდელი რეალური ღირებულების ზემოთ.

სხვა ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია მყიდველი საწარმოს განსაზღვრისას, მოიცავს:

- მყიდველი, როგორც წესი, არის გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტი, რომლის სიდიდე მნიშვნელოვნად აღემატება სხვა გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტის ან სუბიექტების სიდიდეს;

- საწარმოთა გაერთიანებაში, რომელშიც ორზე მეტი სამეურნეო ერთეული შედის, მყიდველი საწარმოს დადგენისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომელმა გაერთიანებულმა სამეურნეო სუბიექტმა წამოიწყო გაერთიანება;

- საწარმოთა გაერთიანების შესაქმნელად ფორმირებული ახალი სამეურნეო სუბიექტი შეიძლება არ წარმოადგენდეს მყიდველს. თუ ახალი სამეურნეო ერთეული ფორმირებულია საწარმოთა გაერთიანების ასამოქმედებლად საჭირო სააქციო წილის გამოსაშვებად, ერთ-ერთი გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტი, რომელიც საწარმოთა გაერთიანებამდე არსებობდა, უნდა განისაზღვროს, როგორც მყიდველი.

საწარმოთა გაერთიანების შესაქმნელად ფორმირებული ახალი სამეურნეო სუბიექტი

კომპანიების მიერ საწარმოთა გაერთიანების შესაქმნელად ახალი სამეურნეო სუბიექტის (Newly Formed Entity) გამოყენება არ არის უჩვეულო მოვლენა. საწარმოთა გასაერთიანებლად ახალი სამეურნეო სუბიექტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურიდიული, საგადასახადო ან სხვა მიზნებისთვის.

ახალი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც შეიქმნა მხოლოდ სააქციო წილების გამოსაშვებად საწარმოთა გაერთიანების შექმნისთვის, როგორც წესი, არ არის დამოუკიდებელი და მყიდველის იდენტიფიცირების დროს არ განიხილება.

გარკვეულ შემთხვევებში, ახალი სამეურნეო სუბიექტი შესაძლოა განხილულ იქნეს მყიდველად, თუ ის ჩაითვლება დამოუკიდებლად. ახალი სამეურნეო სუბიექტის დამოუკიდებლობის განსაზღვრისას უნდა შესწავლილ იქნეს მისი ფორმირების პროცედურები, მესაკუთრეები და საქმიანობა საწარმოთა გაერთიანებამდე. მაგალითად, ახალი კომპანია, რომელსაც აქვს აქტივები, ვალდებულებები ან საოპერაციო საქმიანობა, შესაძლოა, განხილულ იქნეს დამოუკიდებლად. ვინაიდან სტანდარტი არ ითვალისწინებს მითითებებს ამის განსაზღვრისთვის, პრაქტიკაში ახალი სამეურნეო სუბიექტის დამოუკიდებლობის დადგენა სირთულეებთან არის დაკავშირებული და ბევრ კითხვას ბადებს.

განიხილოთ აუდიტორული კომპანია “Pricewaterhouse Coopers”-ის მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული მაგალითები ამ საკითხთან დაკავშირებით:

- ახალი კომპანია შექმნილია მრავალი დამოუკიდებელი ინვესტორის მიერ, საწარმოს შესყიდვის მიზნით. ახალი კომპანია ინვესტორებისთვის უშვებს აქციებს ფულად სახსრებზე გაცვლით. მიღებული ფულადი სახსრების მეშვეობით ახლად შექმნილი კომპანია ყიდულობს სხვა კომპანიის 100%-იან წილს.

ანალიზი

ახლად შექმნილი კომპანია განიხილება როგორც მყიდველი, აღრიცხვის მიზნებისთვის. თავისმხრივ, ახალმა კომპანიამ საწარმოზე კონტროლი აიღო და თავად არ კონტროლდება შექმნილი საწარმოს ყოფილი აქციონერების მიერ. ამასთან ერთად, ახალმა კომპანიამ დამოუკიდებლად მოიძია საჭირო სახსრები შექმნის

დასაფინანსებლად. ზემოხსენებულ ფაქტებზე დაყრდნობით, ახალი კომპანია განიხილება დამოუკიდებლად და აღრიცხვის მიზნებისთვის მიიჩნევა მყიდველად.

- ახალი სამეურნეო სუბიექტი შეიქმნა კომპანია A-ს მიერ, რათა მოხდეს კომპანია A-ს და კომპანია B-ს გაერთიანება. ახალი სამეურნეო სუბიექტი ყიდის თავისი სააქციო წილების 100%-ს გაერთიანებული კომპანიების მფლობელებზე, მათი სააქციო წილების სანაცვლოდ.

ანალიზი

მოცემული ოპერაცია, თავისი შინაარსით, არ განსხვავდება ოპერაციისგან, სადაც ერთ–ერთი გაერთიანებული საწარმო პირდაპირ ყიდულობს მეორეს. ამ შემთხვევაში, ახალი სამეურნეო სუბიექტი არ არის დამოუკიდებელი და სააღრიცხვო მიზნებისთვის ხდება მისი უგულებელყოფა. შესაბამისად, ახალი სამეურნეო სუბიექტი არ არის იდენტიფიცირებული როგორც მყიდველი. მყიდველად ჩაითვლება გაერთიანებული საწარმოთაგან ერთ–ერთი.

განხილული მაგალითებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახლად შექმნილი კომპანია ცალსახად იმ შემთხვევაში განიხილება დამოუკიდებლად, როდესაც მის მიერ შესყიდული საწარმოს მესაკუთრეებიდან არც ერთი არ წარმოადგენს ახლად შექმნილი კომპანიის მესაკუთრეს. ხოლო ახლად შექმნილი კომპანიის დამოუკიდებლად ცნობა იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მან დამოუკიდებლად მოიძია შეძენის დასაფინანსებლად საჭირო სახსრები, არ არის გამართლებული, რადგან, პირობის თანახმად, ახალი კომპანია შექმნილია იმ ინვესტორების მიერ, რომლებისგანაც მიღებულია დაფინანსება შეძენაზე და ასევე, მათ მიერ ახალი კომპანიის შექმნის მოტივი სწორედ სხვა საწარმოების შესყიდვაა (პირობის თანახმად).

აქედან გამომდინარე, სადავო მომენტების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, სტანდარტში შევიდეს განმარტებები ახლად შექმნილი საწარმოს დამოუკიდებლად ცნობის საკითხის დასარეგულირებლად.

სხვა გარემოებები, რომლებიც წარმოიქმნება მყიდველის განსაზღვრისას

სტანდარტი უზრუნველყოფს ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს მყიდველის იდენტიფიცირებისთვის. მაგრამ, არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გაართულონ მყიდველის განსაზღვრის პროცესი. ესენია, მაგალითად:

- შექმნა, რომელიც მოიცავს კომპანიებს საერთო აქციონერებით. გაერთიანებული კომპანიების აქციონერებში საერთო მონაწილეობის ეფექტი, მყიდველის დადგენისას, უნდა გათვალისწინებულ იქნეს. საერთო აქციონერების მქონე კომპანიების გაერთიანების დროს, ხმის უფლების ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს გაერთიანებული კომპანიების ყოფილ აქციონერთა ჯგუფს და არა ამ კომპანიებისთვის საერთო ინდივიდუალურ მესაკუთრეებს. ყოფილი აქციონერების ჯგუფი, რომელიც ინარჩუნებს ან იღებს გაერთიანებულ საწარმოში ხმის უფლებების უდიდეს წილს, იქნება მყიდველი.
- ოფციონები, ვარანტები და კონვერტირებადი ინსტრუმენტები. ოფციონები, ვარანტები და კონვერტირებადი ინსტრუმენტები, რომლებიც აღებულ იქნა ან გაიცვალა საწარმოთა გაერთიანების შედეგად, გათვალისწინებული იქნება მყიდველის განსაზღვრისას იმ შემთხვევაში, თუ ამ ინსტრუმენტების მფლობელები არსებითად მოისაზრებიან იგივე კონტექსტში, რაც საერთო აქციონერები. ოფციონები, ვარანტები და კონვერტირებადი ინსტრუმენტები, რომლებიც არიან თავისუფლად მიმოქცევადი, კონვერტირებადი და კოტირებადი, შესაძლებელია ჩაირთოს შეფარდებითი ხმის უფლების განსაზღვრაში გაერთიანებულ სამეურნეო სუბიექტში.
- კონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები. კონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები, რომლებმაც საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიიღეს საერთო აქციები, უნდა გათვალისწინებულ იქნენ მყიდველის იდენტიფიცირების პროცესში იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები არსებითად მოისაზრებიან იგივე კონტექსტში, რაც საერთო აქციონერები შექმნის პერიოდამდე. კონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც საწარმოთა გაერთიანების შედეგად აქციებზე გაიცვალა, შესაძლოა ჩაირთოს გაერთიანებულ სამეურნეო სუბიექტში შეფარდებითი ხმის უფლების განსაზღვრაში იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები არიან კონვერტირებადი და კოტირებადი.

აუდიტორული კომპანია “Pricewaterhouse Coopers”-ის მიერ შემოთავაზებული შემდეგი მაგალითები აღწერენ გავლენას, რომელიც ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელების მიერ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული საერთო აქციების მიღების ფაქტი შეფარდებითი ხმის უფლების განსაზღვრაზე:

- კომპანია A-მ საწარმოთა გაერთიანების შედეგად, აქციების გაცვლის გზით, შეიძინა კომპანია B. კომპანია B ფლობს არაკონვერტირებად სავალო ფასიან ქაღალდებს, რომელთა მიღების (ყიდვის) სურვილიც გაერთიანებულ საწარმოში A კომპანიას არ გააჩნია. კომპანია A დებს შეთანხმებას კომპანია B-ს არაკონვერტირებადი სავალო ფასიანი ქაღალდების მფლობელებთან, რომლის თანახმადაც კომპანია A ფარავს სავალო ფასიან ქაღალდებს თავისი საერთო აქციების სანაცვლოდ. არაკონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების მფლობელები კომპანია B-ში სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს არ ფლობენ.

ანალიზი

სავალო ფასიანი ქაღალდების აქციებით გამოსყიდვა არის საწარმოთა გაერთიანებისგან განცალკევებული ოპერაცია. ახალ გაერთიანებულ საწარმოში ხმის უფლების დათვლის დროს, კომპანია B-ს არაკონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელების მიერ ამ ინსტრუმენტების სანაცვლოდ მიღებული აქციების გათვალისწინება არ მოხდება. B კომპანიის არაკონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელების უფლებები განსხვავდება ამავე კომპანიის აქციონერების უფლებებისგან. აქციონერებისგან განსხვავებით, მათ არ აქვთ ხმის უფლება და ასევე, აქვთ განსხვავებული ეკონომიკური ინტერესი კომპანია B-ში.

- კომპანია A ყიდულობს კომპანია B-ს, საწარმოთა გაერთიანების შედეგად, აქციების გაცვლის გზით. კომპანია B ფლობს კონვერტირებად სავალო ვალდებულებას, რომელიც არის კონვერტირებადი და მისი რეალური ღირებულება პირდაპირ კავშირშია იმ აქციებთან, რომელზეც ეს სავალო ვალდებულება შესაძლოა გაიცვალოს. კომპანია A-ს არ სურს კონვერტირებადი სავალო ვალდებულების აღება შეძენის შედეგად. ამიტომ, კომპანია A, შეთანხმების შედეგად, ცვლის ამ სავალო ვალდებულებას თავის აქციებზე.

ანალიზი

გაერთიანებულ საწარმოში ხმის უფლების განსაზღვრისას, კომპანია B–ს კონვერტირებადი სავალო ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიერ სანაცვლოდ მიღებული სააქციო წილები, გათვალისწინებული იქნება. საწარმოთა გაერთიანებამდე, ამ სავალო ინსტრუმენტების მფლობელებს გააჩნდათ იგივე უფლებები, რაც საერთო აქციონერებს. სავალო ინსტრუმენტების მფლობელებს ჰქონდათ ხმის უფლება, რომელთა გამოყენებაც მათ შეეძლოთ სავალო ინსტრუმენტების აქციებზე გაცვლით, ასევე, სავალო ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, უმეტეს წილად, დამოკიდებულია ძირითად აქციებზე, რომლებზეც ისინი შეიძლება გაიცვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონვერტირებადი ინსტრუმენტების მფლობელებს, საწარმოთა გაერთიანებამდე, კომპანია B–ში გააჩნდათ იგივე ეკონომიკური ინტერესები, რაც ძირითად აქციონერებს.

ამრიგად, საწარმოთა გაერთიანებაში შეფარდებითი ხმის უფლების დადგენისას, კონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტები გაითვალისწინება, ხოლო არაკონვერტირებადი – არა.

2.2 შექმნის თარიღის განსაზღვრა

ფასს 3-ის თანახმად, მყიდველმა საწარმომ უნდა დაადგინოს შექმნის თარიღი, რომელიც არის თარიღი, როდესაც ის კონტროლს იღებს შექმნილ საწარმოზე. თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს შექმნილ საწარმოზე, საზოგადოდ, არის თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო იურიდიულად გადასცემს კომპენსაციას, იქნეს შექმნილი საწარმოს აქტივებს და იღებს მის ვალდებულებებს, ანუ გარიგების დახურვის თარიღი. თუმცა, მყიდველმა საწარმომ შეიძლება კონტროლი ისეთი თარიღისთვის აიღოს, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს გარიგების დახურვის თარიღს. მაგალითად, შექმნის თარიღი წინ უსწრებს გარიგების დახურვის თარიღს, თუ წერილობითი შეთანხმებით დაშვებულია, რომ მყიდველმა საწარმომ შექმნილ საწარმოზე კონტროლი აიღოს გარიგების დახურვის თარიღამდე. შექმნის თარიღის დადგენისას, მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და გარემოება.

მყიდველმა შექნილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება აიღოს გარკვეული მოვლენის ან ოპერაციის მეშვეობით, საკონტროლო წილის შესყიდვის გარეშე. ასეთი ტიპის საწარმოთა გაერთიანებებისთვის (საწარმოთა გაერთიანებები კომპენსაციის გადახდის გარეშე) შექნის თარიღად ჩაითვლება თარიღი, როდესაც მყიდველმა აიღო კონტროლი სხვა ოპერაციის ან მოვლენის (არა გადახდა) მეშვეობით. ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, როდესაც შექნილი საწარმო დებს შეთანხმებას კონკრეტულ ინვესტორებთან აქციების უკუშესყიდვაზე, რის შედეგადაც შექნილი საწარმოს კონტროლი იცვლება. ამ შემთხვევაში, შექნის თარიღი იქნება თარიღი, როდესაც მოხდა აქციების უკუშესყიდვა.

2.3 შექნილი იდენტიფიცირებადი აქტივების და აღებული ვალდებულებების აღიარების და შეფასების საკითხები

ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“ მოითხოვს, რომ მყიდველმა საწარმომ აღიაროს შექნილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და არამაკონტროლებელი წილი. შექნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები შექნის თარიღისათვის უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემულ აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებს, რათა შესაძლებელი იყოს მათი აღიარება შექნის მეთოდის გამოყენებისას. მაგალითად, დანახარჯები, რომლის გაწევასაც მყიდველი საწარმო მომავალში ვარაუდობს, მაგრამ ვალდებული არ არის ასე მოიქცეს, რათა განახორციელოს თავისი გეგმა და შეწყვიტოს შექნილი საწარმოს საქმიანობა ან შექნილი საწარმოს მომუშავეთა დასაქმება, ან გადაადგილოს მისი პერსონალი, შექნის თარიღისათვის არ წარმოადგენს ვალდებულებებს. ამიტომ, მყიდველი საწარმო ამ დანახარჯებს, როგორც შექნის მეთოდის ნაწილს, არ აღიარებს. აღნიშნული ხარჯები აღიარდება გაერთიანების შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა ფასს-ების შესაბამისად.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ შექნილმა იდენტიფიცირებადმა აქტივებმა და აღებულმა ვალდებულებებმა დააკმაყოფილოს აღიარების კრიტერიუმები, როგორც შექნის მეთოდის შემადგენელმა ნაწილმა, ეს აქტივები და ვალდებულებები უნდა

იყოს იმის ნაწილი, რაც მყიდველმა და შექმნილმა საწარმომ გაცვალებს საწარმოთა გაერთიანების გარიგების დროს და არა რომელიმე სხვა განცალკევებული სამეურნეო ოპერაციების შედეგი. გაერთიანებამდე დადებული გარიგება მყიდველი საწარმოს ან მისი სახელით, ან მყიდველი საწარმოს ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის სასარგებლოდ და არა შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ, მოსალოდნელია, რომ იქნება განცალკევებული ოპერაცია. ქვემოთ ჩამოთვლილია განცალკევებული ოპერაციების მაგალითები, რომელთა მიმართაც შექმნის მეთოდი არ უნდა იქნეს გამოყენებული:

- გარიგება, რომელიც, ფაქტობრივად არეგულირებს მყიდველ და შექმნილ საწარმოებს შორის გაერთიანებამდე არსებულ ურთიერთობებს;
- გარიგება, რომელიც შექმნილი საწარმოს დაქირავებულ მომუშავეებს ან ყოფილ მესაკუთრეებს უნაზღაურებს მომავალში გასაწევ მომსახურებას;
- გარიგება, რომელიც შექმნილ საწარმოს ან მის ყოფილ მესაკუთრეებს უნაზღაურებს მათ მიერ მყიდველი საწარმოს მაგივრად გადახდილ, შექმნასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მყიდველი საწარმოს მიერ აღიარების პრინციპისა და პირობების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ისეთი აქტივისა და ვალდებულების აღიარება, რომლებსაც შექმნილი საწარმო ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე არ აღიარებდა. მაგალითად, მყიდველი საწარმო აღიარებს შექმნილ იდენტიფიცირებად არამატერიალურ აქტივს, როგორცაა საფირმო ნიშანი, პატენტი ან კლიენტთან ურთიერთობა, რომელიც შექმნილმა საწარმომ არ აღიარა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც აქტივი, რადგან თვითონ შექმნა ისინი და შესაბამისი დანახარჯები ხარჯებს მიაკუთვნა.

რაც შეეხება შეფასებას, მყიდველმა საწარმომ შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით შექმნის თარიღისთვის. გარდა ამისა, შექმნის თარიღისთვის უნდა შეფასდეს არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში, რეალური ღირებულებით ან შექმნილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით. თავისმხრივ, რეალური ღირებულება ფასს-ში განმარტებულია როგორც

ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

აქტივები, რომელთა გამოყენებასაც მყიდველი საწარმო არ აპირებს

კონკურენციის ან სხვა მიზეზების გამო, მყიდველმა საწარმომ შეიძლება გადაწყვიტოს, აქტიურად არ გამოიყენოს შეძენილი აქტივი ან დროებით შეაჩეროს მისი გამოყენება, მომავალში მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების მიზნით. მაგალითად, ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც საწარმოს შეძენილი აქვს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა არამატერიალური აქტივი და მის გამოყენებას გეგმავს, როგორც გარკვეულ დამცავ საშუალებას, სხვებისთვის მის გამოყენებაში ხელისშეშლის მიზნით. მიუხედავად ამისა, მყიდველმა საწარმომ ამგვარი არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულება უნდა შეაფასოს აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების გათვალისწინებით, ბაზრის მონაწილეების პოზიციიდან, მოცემული აქტივისთვის მისაღები შეფასების წინაპირობის შესაბამისად – როგორც თავდაპირველად, რეალური ღირებულების შეფასებისას, ასევე შემდგომში, როდესაც გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის მოუწევს არაფინანსური აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასება.

აქტივების გადაფასების რეზერვი

შეძენის თარიღისათვის, მყიდველმა საწარმომ არ უნდა აღიაროს ცალკე გადაფასების რეზერვი საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილ იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, რადგან მომავალ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შედეგები უკვე გათვალისწინებულია რეალური ღირებულების განსაზღვრისას. მაგალითად, ვინაიდან სტანდარტი საწარმოსგან მოითხოვს, რომ მან შეძენილი მოთხოვნები, მათ შორის, გაცემული სესხები, შეაფასოს რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისთვის, მყიდველი საწარმო არ აღიარებს ცალკე ანარიცხებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისათვის, რომელიც ამ თარიღისათვის ითვლება, რომ არ იქნება ამოღებული.

კომპანიებს, შესაძლოა, დასჭირდეთ საკონტრაქტო მოთხოვნების და ნებისმიერი გადაფასების ზარალის გაკონტროლება იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ განმარტებითი შენიშვნების და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნები. მყიდველი ვალდებულია საწარმოთა გაერთიანების საანგარიშგებო პერიოდში გაამჟღავნოს შემდეგი სახის ინფორმაცია: შექმნილი დებიტორული დავალიანების რეალური ღირებულება; მისაღები საერთო სახელშეკრულებო თანხები და ამოუღებელი ფულადი ნაკადების შეფასება.

გადაფასების რეზერვის გამოყენება ნებადართულია იმ აქტივების მიმართ, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით შექმნის თარიღში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოების ან ნედლეულის სახით. ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” მოითხოვს, რომ საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით შექმნის თარიღისათვის. როგორც წესი, მყიდველის მიერ აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები რეალური ღირებულების თანხა აღემატება შექმნილი საწარმოს მიერ საწარმოთა გაერთიანებამდე აღიარებულ ანალოგიურ მაჩვენებელს.

კონტრაქტები

საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილმა კონტრაქტებმა (საიჯარო, გაყიდვების ან ნასყიდობის ხელშეკრულებები), შესაძლოა, წარმოშვან აქტივები ან ვალდებულებები. საკონტრაქტო პირობებისთვის, რომლებიც შესაძლოა მისაღები ან მიუღებელი იყოს მიმდინარე საბაზრო ოპერაციებთან შედარებით, დასაშვებია აღიარდეს არამატერიალური აქტივი ან ვალდებულება.

წამგებიანი კონტრაქტი (Loss Contract) არის კონტრაქტი, რომლის გარდაუვალი დანახარჯები აღემატება მომავალ მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ თუ შექმნილ საწარმოს წამგებიანი ოპერაციები გააჩნია, ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ შექმნილი ბიზნესის კონტრაქტები წამგებიანია.

წამგებიანი კონტრაქტი უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით როგორც ვალდებულება, თუ შექმნის თარიღისთვის კონტრაქტი არის წამგებიანი კონტრაქტი. იმ შემთხვევაში, თუ წამგებიანი კონტრაქტი ვალდებულებად აღიარდა, მყიდველ საწარმოს უნდა ჰქონდეს წვდომა ისეთ ინფორმაციაზე, როგორცაა საბაზრო ფასები და კონტრაქტის შესასრულებლად საჭირო გარდაუვალი დანახარჯები. მაგალითად, კომპანია A საწარმოთა გაერთიანების შედეგად ყიდულობს კომპანია B-ს ხელშეკრულების თანახმად, კომპანია B-ს აღებული აქვს ერთ-ერთი თავისი მყიდველისთვის გარკვეული ოდენობის კომპონენტების დამზადების ვალდებულება. კომპანია B-ს გარდაუვალი დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია კომპონენტების დასამზადებლად, აღემატება საკონტრაქტო გასაყიდ ფასებს. ამის შედეგად, კომპანია B ამ გარიგებას ასრულებს ზარალით, შესაბამისად, გაერთიანებული საწარმო მომავალში ასევე გააგრძელებს მის შესრულებას ზარალით. B კომპანიის კონტრაქტი ითვლება წამგებიანად, რომელიც A კომპანიამ (მყიდველმა) საწარმოთა გაერთიანების შედეგად აიღო.

წამგებიანი კონტრაქტის შეფასებისას მყიდველმა საწარმომ უნდა დაადგინოს, ასაღიარებელი თანხა დასაკორექტირებელია თუ არა არამატერიალური აქტივებით ან ვალდებულებებით, რომლებიც უკვე აღიარებულია კონტრაქტის პირობებით და რომლებიც შესაძლოა იყოს მისაღები ან მიუღებელი საბაზრო პირობებთან შედარებით. საწარმოთა გაერთიანების შედეგად აღებული კონტრაქტი, რომელიც მყიდველი საწარმოს ქმედებების ან განზრახვების შედეგად წამგებიანი ხდება, უნდა აღიარდეს მოგება-ზარალში ფასს-ების შესაბამისად.

ამრიგად, შექმნის თარიღისათვის შექმნილი საწარმოს კონტრაქტების შედეგად წარმოშობილი ზარალი ან სარგებელი, საწარმოთა გაერთიანებაში აღიარდება ვალდებულებად ან არამატერიალურ აქტივად შესაბამისად. თუ კონტრაქტი მყიდველის ქმედებების შედეგად გახდა ზარალიანი, ვალდებულება ან აქტივი არ აღიარდება და შესაბამისი თანხები აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი ყველა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივი უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით შექმნის თარიღში. იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები აღიარდება ცალკე, თუ

ისინი წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა კანონიერი უფლებიდან გამომდინარე ან თუ ეს არამატერიალური აქტივები განცალკევებადია.

გამოსყიდული უფლებები

შესაძლოა, რომ მყიდველმა საწარმომ შექმნილი საწარმოსგან გამოსყიდოს მის მიერ აღიარებული აქტივები, რომელიც მან შექმნილ საწარმოს მანამდე მიჰყიდა. ასეთი უფლების მაგალითს წარმოადგენს უფლება მყიდველის სავაჭრო ნიშნის გამოყენების შესახებ ფრანჩაიზინგის გამოყენებით ან უფლება მყიდველის ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ. ასეთი გამოსყიდული უფლებები, როგორც წესი, არის იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც მყიდველი გუდვილისგან დამოუკიდებლად აღიარებს. უკუშესყიდვა უნდა შეფასდეს განცალკევებულად, რათა დადგინდეს გადახდის შედეგად ასაღიარებელი შემოსულობა ან ზარალი.

თუ უფლების გამოსყიდვის სახელშეკრულებო პირობები მისაღებია ან მიუღებელი იმავე ან მსგავსი მუხლების შესახებ მიმდინარე საბაზრო გარიგებების პირობებთან შედარებით, მყიდველმა საწარმომ უნდა აღიაროს საანგარიშსწორებო შემოსულობა ან ზარალი. აღნიშნული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს ფასს 3-ით დადგენილი საწარმოთა გაერთიანებისას მყიდველი და შექმნილი საწარმოების ადრინდელი ურთიერთობის ფაქტობრივი დარეგულირების შესაბამისად, კერძოდ:

თუ ოპერაცია ფაქტობრივად არეგულირებს ადრინდელ ურთიერთობას, მყიდველი საწარმო აღიარებს შემოსულობას ან ზარალს, რომელიც შეფასებულია შემდეგნაირად⁸:

ა) არასახელშეკრულებო ადრინდელი ურთიერთობის შემთხვევაში – რეალური ღირებულებით;

ბ) სახელშეკრულებო ადრინდელი ურთიერთობის შემთხვევაში (i)-სა და (ii)-ს შორის უმცირესი თანხით:

⁸ IFRS Foundation; IFRS 3 Business Combinations; Effective Settlement of a Pre-existing Relationship Between the Acquirer and Acquiree in a Business Combination B52; A 169

(i) თანხა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება მისაღებია ან მიუღებელი მყიდველი საწარმოს პოზიციიდან, იმავე ან მსგავსი მუხლების მიმდინარე საბაზრო ოპერაციების პირობებთან შედარებით;

(ii) ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი საანგარიშსწორებო პირობების შესაბამისი თანხა, რომელიც ეხება ხელშეკრულების იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს ხელშეკრულება მიუღებელია.

თუ (ii) ნაკლებია (i)-ზე, სხვაობა აისახება, როგორც საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის ნაწილი.

გამოსყიდულ უფლებებთან ერთად, მყიდველმა საწარმომ შეიძლება შეიძინოს ასევე სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოსყიდული უფლებებისგან და გუდვილისგან განცალკევებით უნდა აღიარდეს. მაგალითად, კომპანია სამეურნეო სუბიექტს ანიჭებს ფრანჩაიზინგის უფლებას კონკრეტულ ქვეყანაში ბიზნესის საწარმოებლად. ფრანჩაიზინგის ხელშეკრულება მოიცავს უფლებას კომპანიის სავაჭრო ნიშნის და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. რამდენიმე წლის შემდეგ, კომპანიამ გადაწყვიტა საწარმოთა გაერთიანების შედეგად გამოსყიდოს ფრანჩაიზინგი მის რეალური ღირებულებაზე მეტი თანხით. ნამეტი თანხა მიგვანიშნებს იმაზე, რომ გამოსყიდულ უფლებებთან ერთად, კომპანიამ, შესაძლოა, შეისყიდა ასევე არამატერიალური აქტივები, როგორცაა, მაგალითად, მომხმარებლებთან ურთიერთობა, კონტრაქტები მყიდველებთან და დამატებითი ტექნოლოგიები.

გამოსყიდული უფლებები მიიჩნევა რეალური ღირებულებით შეფასების პრინციპის გამონაკლისად, რადგან გამოსყიდული უფლებების აღიარებული ღირებულება არ ეფუძნება ბაზრის მონაწილეების მოლოდინებს. მყიდველმა საწარმომ გამოსყიდული უფლება უნდა შეაფასოს შესაბამისი ხელშეკრულების დარჩენილი ვადის საფუძველზე, იმის მიუხედავად, გაითვალისწინებენ თუ არა ბაზრის მონაწილეები ხელშეკრულების განახლების შესაძლებლობას მისი რეალური ღირებულების შეფასებისას. ასეთი შეფასების მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გამოსყიდული უფლება აღარ არის ხელშეკრულება მესამე მხარესთან. მყიდველ საწარმოს, რომელიც გამოსყიდულ უფლებას აკონტროლებს, შეუძლია დაუშვას სახელშეკრულებო ვადის შეუზღუდავი განახლება, რითიც გამოსყიდულ უფლებას

პრაქტიკულად გადააქცევს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივად.

მყიდველმა საწარმომ, რომელიც გამოსყიდულ უფლებას შემდგომში მესამე მხარეს მიჰყიდის, გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება.

გარკვეულ შემთხვევებში, გამოსყიდული უფლების ხელშეკრულება შესაძლოა არ იყოს განახლებული და, შესაბამისად, დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა გაურკვეველი იყოს, მაგალითად, როგორც მუდმივი ფრანჩაიზინგის დროს. უნდა გაკეთდეს შეფასებები იმის თაობაზე, არის თუ არა გამოსყიდული უფლება არაამორტიზებადი არამატერიალური აქტივი, რომელიც პერიოდულად უნდა შეფასდეს გაუფასურებაზე.

შემდეგი პრაქტიკული მაგალითი ეხება საწარმოთა გაერთიანებაში გამოსყიდული უფლების აღიარებასა და შეფასებას:

კომპანია A ფლობს და ამუშავებს კაფეების ქსელს. კომპანია A აგრეთვე ახდენს მესამე მხარეებზე თავისი სავაჭრო ნიშნის ლიცენზირებას ფრანჩაიზინგის მეშვეობით, ხუთწლიანი განახლებადი პირობით. ფრანჩაიზინგის მფლობელები, ხელშეკრულების თანახმად, კომპანია A-ს უხდიან მიღებული შემოსავლებიდან გარკვეულ პროცენტს, სავაჭრო ნიშნის გამოყენების სანაცვლოდ.

კომპანია B არის ფრანჩაიზინგის მფლობელი კომპანია, A კომპანიის სავაჭრო ნიშნის გამოყენების ექსკლუზიური უფლებით და სპეციალიზირებულ ბაზარზე ეწევა კაფეების ბიზნესს. B კომპანია A-ს უხდის როიალტს შემოსავლის 6%-ის ოდენობით. კომპანია B-ს არ აქვს ფრანჩაიზინგის სხვა პირებზე გადაცემის უფლება A კომპანიის სპეციალური ნებართვის გარეშე.

კომპანია A ყიდულობს კომპანია B-ს, ფულადი სახსრების გადაცემის გზით. შექმნის თარიღისათვის ფრანჩაიზინგის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე (ხელშეკრულება ხუთწლიანია) დარჩენილია 3 წელი.

ანალიზი

შექმნის თარიღისათვის კომპანია A გამოსყიდულ ფრანჩაიზინგის უფლებას აღიარებს ცალკე არამატერიალურ აქტივად, რომელსაც ამორტიზაცია დარჩენილი 3 წლის პერიოდში დაერიცხება. გამოსყიდული უფლების შეფასებისას, როიალტის თანხები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. გამოსყიდული უფლების შეფასებისას მხედველობაში მიიღება კომპანია B-ს წმინდა ფულადი ნაკადები 6%-იანი როიალტის გადახდის შემდეგ.

ამრიგად, გამოსყიდული უფლებები წარმოადგენს გუდვილისგან განცალკევებულ, არამატერიალურ იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც რეალური ღირებულებით არ ფასდება. სტანდარტში აღნიშნულია, რომ მყიდველმა საწარმომ გამოსყიდული უფლებები უნდა შეაფასოს შესაბამისი ხელშეკრულების დარჩენილი ვადის საფუძველზე. მაგრამ, სხვა განმარტებები მათ შეფასებასთან დაკავშირებით (უნდა შეეაფასოთ თუ არა საბალანსო ღირებულებით ან სხვა ფასის მიდგომები გამოვიყენოთ) არ არის მოცემული. შესაბამისად, ამ საკითხში მეტი სიცხადის შესატანად მიზანშეწონილი იქნება, რომ ბასსს-მ დამატებითი მითითებები გააკეთოს.

მოგების გადასახადი

საწარმოთა გაერთიანებაში მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც აღიარების და რეალური ღირებულებით შეფასების პრინციპიდან გამონაკლისი. მყიდველმა საწარმომ, გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებებისგან, უნდა აღიაროს ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად. ასევე, მყიდველმა საწარმომ ბასს 12-ის შესაბამისად უნდა ასახოს დროებითი სხვაობების შესაძლო საგადასახადო ეფექტები და მომავალ პერიოდში გადასატანი, შექმნილი საწარმოს ის თანხები, რომლებიც შექმნის თარიღისთვის არსებობს, ან შექმნის შედეგად წარმოიშობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც წესი, შეფასებულია არადისკონტირებული თანხებით, ბასს 12-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ფასს-ის საბჭომ გადაწყვიტა, არ მოეთხოვა საწარმოთა გაერთიანებაში

შექმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება რეალური ღირებულებით, რადგან თუ ეს აქტივები და ვალდებულებები შეფასებული იქნებოდა შექმნის თარიღისთვის არსებული რეალური ღირებულებით, მათი შემდგომი შეფასება ბასს 12-ის შესაბამისად, გამოიწვევდა გაერთიანების შემდგომი შემოსულობის ან ზარალის აღრიცხვას ისეთ პერიოდში, რომელიც დაუყოვნებლივ მოჰყვება შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ეკონომიკური გარემოებები არ შეცვლილა. ეს სამართლიანად ვერ წარმოაჩენდა გაერთიანების შემდგომი პერიოდის შედეგებს და შეუსაბამო იქნებოდა იმასთან, რომ საწარმოთა გაერთიანებამ, რომელიც რეალური ღირებულების გაცვლას წარმოადგენს, არ უნდა განაპირობოს გაერთიანების შემდგომი შემოსულობის ან ზარალის დაუყოვნებლივი აღიარება.

მყიდველი საწარმო, აღიარებულ გადავადებულ საგადასახადო აქტივში ცვლილებას, საწარმოთა გაერთიანების პერიოდში, აღიარებს როგორც შემოსავალს ან ხარჯს (ან საკუთარ კაპიტალში ცვლილებას), როგორც მოითხოვება ბასს 12-ში.

რაც შეეხება შექმნილ გადავადებულ საგადასახადო სარგებელს, რომელსაც მყიდველი საწარმო იყენებს საწარმოთა გაერთიანების შემდეგ, ის უნდა აღიარდეს შემდეგნაირად:

ა) შეფასების პერიოდის განმავლობაში აღიარებული შექმნილი გადავადებული გადასახადი, რომელიც ეყრდნობა ახალ ინფორმაციას შექმნის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, გამოიყენება ამ შექმნასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად. თუ გუდვილის საბალანსო ღირებულება ნულია, მაშინ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს ნებისმიერი დარჩენილი გადავადებული საგადასახადო სარგებელი;

ბ) ყველა სხვა გამოყენებული შექმნილი გადავადებული საგადასახადო სარგებელი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში (ან, თუ სტანდარტი ასე მოითხოვს, მოგებისა და ზარალის გარეთ).

გასაყიდად გამიზნული აქტივების აღიარება

გასაყიდად გამიზნული აქტივები არის რეალური ღირებულებით შეფასების პრინციპიდან გამონაკლისი, რადგან მათი შეფასება ხდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. შექმნის თარიღისთვის, გრძელვადიანი

აქტივი ან აქტივთა ჯგუფი შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს გასაყიდად გამიზნულად, თუ კლასიფიცირების კრიტერიუმები, მყიდველის პოზიციიდან, აკმაყოფილებს ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ მოთხოვნებს.

ფასს 5 შეიცავს სპეციფიურ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მყიდველი ვალდებულია ახლად შექმნილი აქტივები აღიაროს როგორც გასაყიდად გამიზნული. მოთხოვნები მოიცავს გეგმას, რომლის მიხედვითაც საწარმო ერთი წლის განმავლობაში აპირებს აქტივების გაყიდვას და ასევე, უნდა იყოს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მყიდველი, შექმნის თარიღიდან მოკლე ვადაში (ძირითადად, სამ თვეში) დააკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების სხვა კრიტერიუმებს. სხვა კრიტერიუმები კი მოიცავს:

- მენეჯმენტს, რომელსაც გააჩნია აქტივების გასაყიდად მიმართული მოქმედებების დამტკიცების უფლებამოსილება;
- აქტივები ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივი გაყიდვისთვის მათ მიმდინარე მდგომარეობაში;
- დაწყებულია მყიდველების მოზიდვის და გაყიდვის დასრულებისთვის საჭირო მოქმედებების აქტიური პროგრამა;
- ტარდება აქტიური მარკეტინგი აქტივებთან დაკავშირებით;
- არ არის მოსალოდნელი, რომ აქტივების გაყიდვის გეგმა მოიხსნება ან მასში შევა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

თუ მოცემული კრიტერიუმების დაკმაყოფილება ვერ ხდება, აქტივები არ უნდა იქნეს კლასიფიცირებული გასაყიდად გამიზნულად.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

მყიდველმა საწარმომ ბასს 19-ის „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ შესაბამისად უნდა აღიაროს და შეაფასოს ვალდებულება, რომელიც უკავშირდება შექმნილი საწარმოს დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების შეთანხმებებს.

თუ საწარმოთა გაერთიანება შეიცავს დადგენილგადასახდელიან საპენსიო პროგრამას (Defined-Benefit Pension Plan) ან სხვა ანალოგიურ შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამას, მიუხედავად საწარმომ ამ პროგრამის წმინდა ვალდებულების ან აქტივის ასალიარებლად, მისი დეფიციტი ან პროფიციტი უნდა დაადგინოს. პროგრამის დეფიციტი ან პროფიციტი არის დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დისკონტირებულ ღირებულებას გამოკლებული პროგრამის აქტივების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალური ღირებულება. თუ ადგილი აქვს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის პროფიციტს, მიუხედავად საწარმომ პროგრამის წმინდა აქტივი უნდა შეაფასოს შემდეგი ორი სიდიდიდან უმცირესის მიხედვით:

- დადგენილგადასახდელიანი პროგრამის პროფიციტის თანხა;
- პროგრამის აქტივების ზღვრული სიდიდე, რომელიც არის იმ ეკონომიკური სარგებლის დისკონტირებული ღირებულება, რომელსაც საწარმო იღებს პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნების ფორმით, ან მომავალში პროგრამაში გადასარიცხი შენატანების შემცირების სახით.

გასამრჯელოების პროგრამის ვალდებულების შეფასების დროს, პროგრამის საბოლოო ანგარიშსწორება გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ანგარიშსწორებას უკვე ჰქონდა ადგილი შექმნის თარიღისთვის. საბოლოო ანგარიშსწორება წარმოადგენს ოპერაციას, რომელიც აუქმებს დადგენილგადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა გასამრჯელოს, ან გასამრჯელოების ნაწილის გადახდასთან დაკავშირებულ ყველა სხვა იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას. მაგალითად, პროგრამით გათვალისწინებული დამჭირავებლის მნიშვნელოვანი ვალდებულებების ერთჯერადი გადაცემა სადაზღვევო კომპანიისთვის, სადაზღვევო პოლისის ყიდვის მეშვეობით, მიიჩნევა პროგრამის საბოლოო ანგარიშსწორებად.

პრაქტიკული ქეისი №1⁹

შესაძლებელია თუ არა, რომ დადგენილგადასახდელიან საპენსიო პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ჩაითვალოს საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის ნაწილად,

⁹Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 91

თუ ეს ცვლილებები წარმოადგენს მყიდველი საწარმოს ვალდებულებას შეძენის ხელშეკრულებაში?

პასუხი

როგორც წესი, ფასს-ი მოითხოვს, რომ მომავალი პერიოდების თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები, საპენსიო ხარჯების ჩათვლით, აღიარებულ იქნეს შეძენის შემდგომი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. დადგენილგადასახდელიან საპენსიო პროგრამაში ცვლილებების შეტანა, ხშირ შემთხვევაში, ხდება მყიდველის სასარგებლოდ. ოპერაცია, რომელიც არის მყიდველისთვის სარგებლის მომტანი, მიიჩნევა საწარმოთა გაერთიანებისგან განცალკევებულ ოპერაციად.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები

შეძენილი საწარმოს ვალდებულებები, რომლებიც საწარმოთა გაერთიანების შედეგად მყიდველმა საწარმომ აიღო, უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით. კრედიტორული დავალიანება შესაძლებელია გადავიდეს საბალანსო ღირებულებით, თუ ის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება რეალური ღირებულებისგან. რაც შეეხება გრძელვადიან ვალდებულებებს, ისინი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რადგან ალბათობა იმისა, რომ მათი რეალური ღირებულება განსხვავებული იქნება საბალანსო ღირებულებისგან, დიდია.

პრაქტიკული ქეისი №2¹⁰

როგორ უნდა აღირიცხოს საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი საწარმოს არაამორტიზებული გადავადებული დაფინანსების დანახარჯი (Deferred Financing Costs)?

გადავადებული დაფინანსების დანახარჯი ან სესხის გამოშვების დანახარჯი (Debt Issuance Costs) არის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია სავალო ინსტრუმენტების გამოშვებასთან (სესხები, ობლიგაციები და ა.შ.), მაგალითად, სხვადასხვა საკომისიოები და მომსახურების საფასურები, რომლებიც გადახდილია საინვესტიციო ბანკებში, იურიდიულ და აუდიტორულ კომპანიებში, მარეგულირებელ

¹⁰Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 91

ორგანოებში და ა.შ. რადგან ასეთი ტიპის ხარჯებს მომავალში სარგებელი მოაქვს, ისინი აქტივის სახით აღირიცხება. ხდება მათი კაპიტალიზება და ბალანსში აქტივების მუხლში ასახვა, ამორტიზაცია ერიცხება შესაბამისი სავალო ინსტრუმენტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

პასუხი:

საწარმოთა გაერთიანების პროცესში მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალი უნდა აღირიცხოს რეალური ღირებულებით, ხოლო ნებისმიერი გადავადებული დაფინანსების დანახარჯი უნდა ელიმინირდეს.

პირობითი ვალდებულებები

ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ თანახმად, პირობითი ვალდებულება წარმოადგენს შესაძლო მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს ან მიმდინარე მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოდან რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა;
- შეუძლებელია ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება.

მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისათვის უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანებაში აღებული პირობითი ვალდებულება, თუ ეს არის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიშობა წარსული მოვლენების შედეგად და მისი რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ამრიგად, ბასს 37-ის საპირისპიროდ, მყიდველი საწარმო შეძენის თარიღით აღიარებს საწარმოთა გაერთიანებაში აღებულ პირობით ვალდებულებას მაშინაც კი, როდესაც მოსალოდნელი არ არის რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან ამ ვალდებულების დასაფარად.

პირობითი აქტივები და შესაძლო ვალდებულებები მყიდველის მიერ შექმნის თარიღისთვის არ აღიარდება.

საწყისი აღიარების შემდგომ, იმ პერიოდში, სანამ ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებაში აღიარებული პირობითი ვალდებულება უნდა შეაფასოს როგორც უდიდესი შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- თანხა, რომელიც აღიარებული იქნება ბასს 37-ის მიხედვით;
- თავდაპირველად აღიარებულ თანხას, გამოკლებული ბასს 18-ის „ამონაგები“ შესაბამისად აღიარებული დაგროვილი ამორტიზაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საგარანტიო აქტივები (Indemnification Assets)

საწარმოთა გაერთიანებაში გამყიდველმა შეიძლება მყიდველ საწარმოს ხელშეკრულებით მისცეს გარანტია იმ გაუთვალისწინებელი ან გაურკვეველი გარემოებების შედეგებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების, რომელიც დაკავშირებულია ყველა ან მხოლოდ რომელიმე კონკრეტული აქტივის ან ვალდებულების ნაწილთან. სხვა სიტყვებით, გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ მყიდველი საწარმოს ვალდებულება არ გადააჭარბებს წინასწარ დადგენილ თანხას. შედეგად, მყიდველი საწარმო იძენს საგარანტიო აქტივს. თუ გარანტია უკავშირდება შექმნის თარიღით აღიარებულ აქტივს ან ვალდებულებას, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით შექმნის თარიღისათვის, მყიდველმა საწარმომ საგარანტიო აქტივიც უნდა აღიაროს შექმნის თარიღში, შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულებით შეფასებული საგარანტიო აქტივისათვის, მომავალ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შედეგების და ანარიცხების ცალკე შეფასება საჭირო არ არის, რადგან მათი ამოღების შესაძლებლობა გათვალისწინებულია რეალური ღირებულების შეფასებაში.

ყოველი შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მყიდველმა საწარმომ შექმნის თარიღში აღიარებული საგარანტიო აქტივი უნდა შეაფასოს იმავე

საფუძვლით, როგორც აფასებს ვალდებულებას ან აქტივს, რომელიც რაიმე სახელშეკრულებო შეზღუდვას ექვემდებარება თანხასთან დაკავშირებით (საგარანტიო საგანი), ხოლო ის საგარანტიო აქტივი, რომელიც შემდგომში რეალური ღირებულებით არ არის შეფასებული - ხელმძღვანელების მიერ განსაზღვრული, საგარანტიო აქტივის ამოღების შესაძლებლობის შეფასების საფუძველზე. მყიდველმა საწარმომ, საგარანტიო აქტივის აღიარება უნდა შეწყვიტოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოიღებს აქტივს, გაყიდის ან რაიმე სხვა გზით დაკარგავს მასზე უფლებას.

მაგალითი¹¹

საწარმოთა გაერთიანების ჭრილში, გამყიდველი უზრუნველყოფს მყიდველს გარანტიით პოტენციური ზარალის შემთხვევაში შექენილი საწარმოს გარემოსდაცვით საკითხებში. მოცემული გარანტია არის შექენის შემადგენელი ნაწილი. საკონტრაქტო პირობების თანახმად, გამყიდველი აუნაზღაურებს მყიდველს ნებისმიერ ზარალს, რომელიც აღემატება 100 მილიონ ფულად ერთეულს. შექენის თარიღისთვის, მყიდველი საწარმოს მიერ აღიარებულია პირობითი ვალდებულება 110 მილიონი ფულადი ერთეულის ოდენობით. შემდეგი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის, უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით, პირობითმა ვალდებულებამ გარემოსდაცვით საკითხებში შეადგინა 115 მილიონი.

ანალიზი

გამყიდველის გარანტია უნდა მიჩნეულ იქნეს საგარანტიო აქტივად და უნდა აღიარდეს და შეფასდეს იგივე საფუძველზე, რითიც შეფასდა შესაბამისი გარემოს დაცვის პირობითი ვალდებულება. შექენის თარიღში უნდა აღიარდეს 10 მლნ. (110 მლნ. – 100 მლნ.) ოდენობის საგარანტიო აქტივი. შექენის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდისთვის, საგარანტიო აქტივი გაიზარდა 15 მლნ–მდე. სხვაობა 5 მლნ. შეამცირებს ხარჯს მოგება–ზარალში, რომელიც აღიარდა პირობითი ვალდებულების 5 მლნ–ით ზრდის შედეგად.

¹¹Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 98

ამრიგად, საგარანტიო აქტივის შეფასება დამოკიდებულია შესაბამისი ვალდებულების ან აქტივის შეფასებაზე, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული გარანტია.

პრაქტიკული ქეისი №3¹²

საჭიროებს თუ არა საგარანტიო შეთანხმება რაიმე სახის მოდიფიცირებას შექმნის ხელშეკრულების ფარგლებში, იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს საწარმოთა გაერთიანებაში საგარანტიო აქტივად აღიარების მოთხოვნები?

პასუხი:

საგარანტიო აქტივი შესაძლებელია აღიარდეს საწარმოთა გაერთიანებაში იმ შემთხვევაშიც, თუ საგარანტიო შეთანხმება არის ცალკე, შექმნისგან გამიჯნული ოპერაცია. საგარანტიო აქტივის ასაღიარებლად საჭიროა, რომ საგარანტიო შეთანხმება ძალაში იყოს შექმნის თარიღისათვის, იყოს დადებული შექმნილი საწარმოსა და მიედევლს შორის და დაკავშირებული იყოს შექმნილი ბიზნესის პირობით ვალდებულებასთან ან ისეთ მოვლენასთან, რომლის მოხდენა ან არმოხდენა გაურკვეველია.

პრაქტიკული ქეისი №4¹³

შესაძლებელია თუ არა, საგარანტიო აქტივად აღირიცხოს შექმნის ანაზღაურება, რომელიც პირობით დეპონირებაზეა (ინახება მესამე მხარესთან, რომელიც გადასცემს თანხას გამყიდველს გარკვეული პირობის შესრულების შემთხვევაში – Consideration Held in Escrow), სანამ გამყიდველი/შექმნილი საწარმო არ შეასრულებს ბიზნესის გადაცემასთან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებს?

პასუხი:

ბიზნესის გაყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები არ არის დაკავშირებული შექმნილი საწარმოს აქტივთან ან ვალდებულებასთან, რომლის არსებობაც დადასტურდება ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში

¹²Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 98

¹³Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 98

მოხდენით ან არმოხდენით. შესაბამისად, აღნიშნული პირობით დეკონირებაზე მყოფი თანხები არ აღირიცხება როგორც საგარანტიო აქტივი.

საქმიანობის შეწყვეტასთან ან რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების აღიარება

შექმნილი საწარმოს რესტრუქტურისაციასთან ან საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ვალდებულებები უნდა აღიარდეს შექმნის თარიღში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალდებულებები წარმოიშვა მანამდე, სანამ საწარმოთა გაერთიანება დაიწყებოდა და, ასევე, იმ პირობით, რომ ვალდებულებები არ იქნა აღებული მყიდველი საწარმოს სასაგებლოდ. ამ პირობების და შექმნის შეთანხმებაში რესტრუქტურისაციის ან საქმიანობის შეწყვეტის გეგმის არარსებობა წარმოადგენს საკმარის მიზეზს, რომ მყიდველმა საწარმომ შექმნის თარიღში ვალდებულება არ აღიაროს. ვალდებულებები და მათთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც შექმნილ საწარმოს არ წარმოშობია საწარმოთა გაერთიანებამდე, უნდა აღიარდეს ხარჯად გაერთიანების შემდგომი პერიოდის ანგარიშგებაში შესაბამისი ფასს-ების დაცვით.

მაგალითი 14

შექმნის თარიღისათვის, შექმნილ საწარმოს გააჩნია რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებული ვალდებულება, რომელიც დაიგეგმა საწარმოთა გაერთიანებამდე ერთი წლით ადრე. ამასთან ერთად, მყიდველმა სამეურნეო სუბიექტმა გადაწყვიტა შექმნილი საწარმოს რამოდენიმე საოპერაციო ერთეულის დახურვა და თანამშრომლების დათხოვნა, რათა შექმნის შემდგომ პერიოდში მიაღწიოს სინერგიას ოპერაციების შერწყმის შედეგად. შექმნის თარიღის შემდეგ ექვს თვეში, აღიარდა რესტრუქტურისაციის შესაბამისი ვალდებულება, რადგან დაკმაყოფილდა ბასს 37-ის მოთხოვნები.

ანალიზი

¹⁴Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 99

მყიდველმა საწარმომ უნდა აღრიცხოს ორი რესტრუქტურიზაცია:

შექნილი საწარმოს მიერ ინიცირებული რესტრუქტურიზაცია: მყიდველმა საწარმომ უნდა აღიაროს გაერთიანებამდე დაწყებული რეორგანიზაციის ვალდებულება რეალური ღირებულებით, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი, რადგან ის წარმოადგენს შექნილი საწარმოს ვალდებულებას შექმნის თარიღისათვის.

მყიდველი საწარმოს მიერ დაწყებული რესტრუქტურიზაცია: მყიდველი საწარმო რესტრუქტურიზაციის შედეგს აღიარებს მოგება-ზარალში გაერთიანების შემდგომ პერიოდში. ვინაიდან რესტრუქტურიზაცია არ წარმოადგენს ვალდებულებას შექმნის თარიღისთვის, ის არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს და არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებაში აღებულ ვალდებულებას.

მაგალითი¹⁵

საწარმოთა გაერთიანების ხელშეკრულება შეიცავს მუხლს, რომელიც ავალდებულებს გამყიდველს აუნაზღაუროს მყიდველ საწარმოს გაერთიანების შემდგომ პერიოდში შექნილი საწარმოს რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ალბათობით, რესტრუქტურიზაციის ხარჯებს მყიდველი საწარმო გასწევს, რესტრუქტურიზაციის ჩატარების ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, არ არსებობს.

ანალიზი

ანაზღაურების უფლება ცალკე შეთანხმებაა და არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების ნაწილს, რადგან რესტრუქტურიზაცია ინიცირებული იყო მყიდველი საწარმოს მიერ გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტის მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასაზრდელად. ანაზღაურების უფლება, შექმნის თარიღისათვის, უნდა აღიარდეს აქტივად, ხოლო გამყიდველისგან მიღებული ფულადი სახსრები – გადახდებად. მყიდველმა საწარმომ რესტრუქტურიზაციის ხარჯები უნდა აღიაროს მოგება-ზარალში თავის შექმნის შემდგომ ფინანსურ ანგარიშგებაში.

¹⁵Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests; 2014 წ. გვ. 100

გადავადებული შემოსავალი

მყიდველი საწარმო გადავადებულ შემოსავალთან დაკავშირებულ ვალდებულებას აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს შექმნილი საწარმოს მიერ აღებულ ვალდებულებას. გადავადებულ შემოსავალთან დაკავშირებული ვალდებულება უნდა აღიარდეს შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს შექმნილი საწარმოს მიერ აღიარებული თანხებისგან.

გადავადებული იჯარა

შექმნილი საწარმოს ბალანსი, შექმნის თარიღამდე, შესაძლოა შეიცავდეს საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ გადავადებულ იჯარას. გადავადებული იჯარის აღიარება დაკავშირებულია ბასს 17 „იჯარის“ მოთხოვნებთან, რომლის თანახმადაც ჩვეულებრივი იჯარის შემთხვევაში საიჯარო შემოსავალი ან იჯარის ხარჯი უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდით, თუ საიჯარო პირობების მიხედვით გადახდები განსხვავდება ერთმანეთისგან. მყიდველმა საწარმომ, საწარმოთა გაერთიანების პროცესში შექმნის მეთოდის გამოყენებისას, გადავადებული იჯარა არ უნდა აღიაროს, რადგან ის არ აკმაყოფილებს აქტივის ან ვალდებულების განმარტებას. მყიდველმა საწარმომ შესაძლებელია, აღებული იჯარის პირობების მიხედვით, გადავადებული იჯარა აღრიცხოს შექმნის შემდგომი პერიოდის ბუღალტრულ ჩანაწერებში.

ქვემოთ განხილულია აუდიტორული კომპანია "Pricewaterhouse Coopers"-ის მიერ შემოთავაზებული მაგალითი საწარმოთა გაერთიანებაში საოპერაციო იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით:

შექმნის თარიღისათვის კომპანია A იღებს შექმნილი საწარმოს საოპერაციო იჯარას. შექმნილი საწარმო არის მოიჯარე. იჯარის ხელშეკრულება დადებულია ოთხწლიანი ვადით, შემდეგი გადახდის პირობებით:

- 1 წელი: 100 \$
- 2 წელი: 200 \$

- 3 წელი: 300 \$
- 4 წელი: 400 \$

საწარმოთა გაერთიანების დროს, შექმნის თარიღისათვის, იჯარის ხელშეკრულების დარჩენილი ვადაა 2 წელი და შექმნილ საწარმოს აღიარებული აქვს 200 \$-ის ოდენობის გადავადებული იჯარის ვალდებულება. საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული სხვა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები და ვალდებულებები უგულებელყოფილია.

ანალიზი

შექმნის თარიღისათვის, კომპანია არ აღიარებს შექმნილი საწარმოს გადავადებული იჯარის ვალდებულებას. ამ თანხებს მყიდველი საწარმო აღიარებს საწარმოთა გაერთიანების შემდეგი პერიოდის ანგარიშგებებში. შექმნის შემდეგ პირველი საანგარიშგებო წლის ბოლოს, კომპანია აღიარებს გადავადებულ იჯარას 50\$-ის ოდენობით.

$$\text{ერთი თვის იჯარის ხარჯი (წრფივი მეთოდით): } 100 \$ + 200 \$ + 300 \$ + 400 \$ / 4 = 250 \$$$

$$\text{ორი წლის განმ. შექმნილი საწარმოს მიერ გადახდილი თანხა: } 100 \$ + 200 \$ = 300 \$$$

$$\text{შექმნილი საწარმოს გადავადებული იჯარა: } (250 \$ \times 2) - 300 \$ = 200 \$$$

$$\text{მყიდველი საწარმოს მიერ აღიარებული გადავადებული იჯარა (იჯარის მე-3 წელი): } (300 \$ + 400 \$) / 2 - 300 \$ (\text{გადახდა}) = 50 \$.$$

ამრიგად, გადავადებული იჯარა საწარმოთა გაერთიანებაში არ აღიარდება და მყიდველი საწარმო ასახავს მას თავის შექმნის შემდგომ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გრძლევადიანი სამშენებლო კონტრაქტები

შექმნილ საწარმოს შესაძლოა გააჩნდეს მოქმედი გრძლევადიანი სამშენებლო კონტრაქტები შექმნის თარიღში. ასეთი კონტრაქტები უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით, რომლის განსაზღვრის დროსაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს

კონტრაქტის ფარგლებში გადახდილი/მიღებული თანხები. გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტების რეალურ ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს შექმნილი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდოლოგია ასეთ კონტრაქტებთან მიმართებით და არც მყიდველი საწარმოს შექმნის შემდგომი აღრიცხვის წესები. შექმნის შემდეგ, მყიდველმა საწარმომ სამშენებლო კონტრაქტები უნდა აღრიცხოს ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტების“ შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს განსაზღვრისას (კონტრაქტის მიხედვით ასაღიარებელი შემოსავლის ან გაწეული ხარჯების განსაზღვრის მიზნებისთვის) გაითვალისწინება მყიდველი საწარმოს შეფასებები კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით.

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა კლასიფიცირებაც შესაძლოა შეიცვალოს მყიდველი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად

შექმნის თარიღისათვის მყიდველმა საწარმომ უნდა მოახდინოს შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების კლასიფიცირება, ან გარკვეული მიზნისთვის მათი უფლებამოსილების განსაზღვრა, რაც აუცილებელია შემდგომში სხვა ფასს-ების გამოსაყენებლად. მყიდველმა საწარმომ ეს კლასიფიკაცია ან უფლებამოსილება უნდა განსაზღვროს შექმნის თარიღისთვის არსებული სახელშეკრულებო ან/და ეკონომიკური პირობების, თავისი სამეურნეო ან სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა სათანადო ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე.

მყიდველი საწარმოს მიერ გარკვეული აქტივების და ვალდებულებების კლასიფიცირება და შემდგომში მათი აღრიცხვა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ აღრიცხვისგან, რომელსაც შექმნილი საწარმო იყენებდა საწარმოთა გაერთიანებამდე. ასეთი აქტივების და ვალდებულებების მაგალითებია:

- კონკრეტული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც რეალური ღირებულებით, ასევე ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ შესაბამისად;
- წარმოებული ინსტრუმენტის განსაზღვრა ჰეჯირების ინსტრუმენტად ფასს 9-ის შესაბამისად;

- დადგენა იმისა, ჩართული წარმომადგენელი ინსტრუმენტი უნდა იქნეს თუ არა გამოყოფილი ძირითადი ხელშეკრულებიდან, ფასს 9-ის შესაბამისად.

შეძენილ საწარმოს შესაძლოა გააჩნდეს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ წარმომადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას. როგორც წესი, შეძენილი საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა საწარმოთა გაერთიანებამდელ პერიოდში განსხვავდება მყიდველი საწარმოს მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტების აღსარიცხავად გამოყენებული მიდგომებისგან.

მყიდველი საწარმოს მიერ შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვის განსაზღვრისას, შესაძლოა წამოიჭრას შემდეგი საკითხები:

- შეძენილი საწარმოს კონტრაქტების გადახედვა: შეძენის თარიღისათვის შეძენილი საწარმოს ყველა კონტრაქტი და შეთანხმება უნდა გადაიხედოს, რათა დადგინდეს, ხომ არ არის მათ შორის ისეთი კონტრაქტები, რომლებიც შეიცავენ წარმომადგენელ ან ჩაშენებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (Embedded Financial Instruments) და შესაბამისად, საჭიროებენ განცალკევებას და ფინანსურ ინსტრუმენტებად აღრიცხვას.
- შეძენილი საწარმოს გაერთიანების წინა პერიოდის პეჯირების პოლიტიკის განსაზღვრა: იმისათვის, რომ მყიდველმა საწარმომ გააგრძელოს შეძენილი საწარმოს პეჯირების პოლიტიკის აღრიცხვა, მას მოუწევს პეჯირების სტრატეგიის ხელახლა დადგენა და დოკუმენტების განახლება. წარმომადგენელი ფინანსური ინსტრუმენტი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ახლად დადგენილ პეჯირების საგანს ისე კარგად, როგორც ეს შეძენილი საწარმოს პეჯირების საგნის შემთხვევაში იყო.

2.4 არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც სათავე საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც შვილობილი საწარმო ვალდებულია აღიარებს, არ წარმოადგენს არამაკონტროლებელ წილს კონსოლიდირებულ

ფინანსურ ანგარიშგებაში. აღსანიშნავია, რომ კაპიტალში ასახული ფინანსური ინსტრუმენტები არ ნიშნავს მათ აღიარებას არამაკონტროლებელ წილში. გარკვეული ტიპის პრივილეგირებული აქციები, ვარანტები, ოფციონები შესაძლოა არ შევიდეს არამაკონტროლებელ წილში, რომელსაც სათავო საწარმო იყენებს კონსოლიდაციისას. მაგალითად, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც გამოშვებულია ინვესტორებისთვის და ინდექსირებულია შვილობილი საწარმოს აქციების მიხედვით, არ ქმნიან არამაკონტროლებელ წილს, თუ ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები არ აკმაყოფილებენ წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებას.

შექმნის თარიღისთვის მყიდველ საწარმოს შეუძლია შეაფასოს არამაკონტროლებელი წილი რეალური ღირებულებით ან შექმნილი საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით. საწარმოების მიერ არამაკონტროლებელი წილის შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენება გარკვეულ პრობლემებს ქმნის კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების შესადარისობის კუთხით. თუმცა, ფასს 3-ში ამ ალტერნატივის (არამაკონტროლებელი წილის შეფასების ორი მეთოდის) არსებობა მიზანშეწონილია, რადგან რეალური ღირებულებით არამაკონტროლებელი წილის შეფასება რიგ შემთხვევებში რთულია იმ მიზეზით, რომ კომპანიის აქციები ყოველთვის არ კოტირდება ბაზარზე. ხოლო სტანდარტში წმინდა აქტივების პროპორციული წილის ერთადერთ შეფასების მეთოდად დატოვება უსამართლო იქნებოდა იმ კომპანიების მიმართ, რომლებსაც სურთ საწარმოს ღირებულება რეალური, საბაზრო პრინციპებით ასახონ.

სათავო საწარმოს უფლება აქვს შეისყიდოს არამაკონტროლებელი წილი (ქოლ უფლება), ასევე არამაკონტროლებელი წილის მფლობელს შეუძლია მიყიდოს თავისი წილი საწარმოს (ფუთ უფლება). სუბიექტს არამაკონტროლებელი წილის შესყიდვის ან გაყიდვის უფლება შესაძლოა ჰქონდეს ფიქსირებულ ან ცვლად ფასში, რეალური ღირებულებით, ხოლო განხორციელების დღედ (exercisable day) ჰქონდეს ფიქსირებული თარიღი ან შესაძლოა, რომ განხორციელების დღე კონკრეტული მოვლენის მოხდენაზე იყოს დამოკიდებული. ასეთი უფლებების არსებობა გავლენას ახდენს შემდეგ მოვლენებზე:

- უნდა აღიარდეს თუ არა აქტივი ან ვალდებულება ასეთ უფლებებზე;

- მოგების ან ზარალის ოდენობაზე, რომელიც აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ხშირად რთულია იმის დადგენა, ქოლ და ფუთ უფლებები (Call and Put Rights) ცალკე უნდა აღირიცხებოდეს თუ როგორც არამაკონტროლებელი წილის ნაწილი. შესაბამისად, ეს საკითხი წარმოშობს სირთულეებს ამ უფლებების ფინანსურ აღრიცხვაში. განვიხილოთ აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ის მიერ შემოთავაზებული გზა ამ სირთულეების დარეგულირებასთან დაკავშირებით:

ვინაიდან ფასს 3 არ შეიცავს საწარმოთა გაერთიანებაში ქოლ და ფუთ ოფციონების კონტრაქტების აღრიცხვასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო მითითებებს, შესაბამისი სააღრიცხვო მიდგომების განსაზღვრისთვის უნდა განხილულ იქნეს ფასს 10, ბასს 32 და ბასს 39. ძირითადი სააღრიცხვო პრინციპები არის შემდეგი:

- უნდა გაანალიზდეს ფორვარდებთან და ოფციონებთან დაკავშირებული აქციების საკუთრების რისკები და სარგებელი იმისათვის, რომ განისაზღვროს, რჩება თუ არა ისინი არამაკონტროლებელ წილში თუ გადადის სათავო საწარმოსთან. არამაკონტროლებელი წილის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ აქციების ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი რჩება არამაკონტროლებელ წილში;
- ფორვარდი ან ფუთ ოფციონი აღირიცხება ფინანსური ვალდებულების ასახვის გზით (გამოსყიდვის ვალდებულება/redemption liability), მიუხედავად იმისა, არამაკონტროლებელი წილი აღიარებულია თუ არა. ვალდებულების ყველა შემდგომი ცვლილება აისახება მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი რჩება არამაკონტროლებელ წილში, აღიარებული ფინანსური ვალდებულება ამცირებს მაკონტროლებელი წილის კაპიტალს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მაკონტროლებელ წილში, აღიარებული ფინანსური ვალდებულება გამოიქვითება არამაკონტროლებელი წილიდან;
- თუ ვალდებულება აღემატება არამაკონტროლებელ წილს, სხვაობა მათ შორის დადებულდება მაკონტროლებელი წილის კაპიტალში. ეს კეთდება

არამაკონტროლებელი წილის უარყოფითი მანვენების თავიდან ასაცილებლად;

- თუ ვალდებულების სიდიდე ნაკლებია არამაკონტროლებელ წილზე, დარჩენილი ნაშთი გამოიყენება დივიდენდების დასაფარად;
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე გადახდილი დივიდენდები, რომლებიც არ ამცირებენ მომავალ საკონტრაქტო შესასყიდ ფასს, ამცირებენ არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ არამაკონტროლებელი წილის სიდიდე არასაკმარისია დივიდენდების დასაფარად, თანხების განაწილება ხდება მოგებიდან;
- თუ ფორვარდში ან ფუთ ოფციონში გაცხადებულია, რომ დივიდენდის გადახდები ამცირებს მომავალ შესასყიდ ფასს, დივიდენდების თანხები უნდა გამოაკლდეს გამოსყიდვის ვალდებულებას.

საკონტრაქტო პირობების ანალიზი

იმისათვის, რომ შეფასდეს აქციების ფაქტობრივი ფლობა უზრუნველყოფს თუ არა სათავო საწარმოს ეკონომიკური სარგებლით საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში, უნდა გაანალიზდეს ფორვარდის ან ოფციონის საკონტრაქტო პირობები. ასევე შესაძლებელია, რომ არამაკონტროლებელი წილის მესაკუთრეებმა შეინარჩუნონ აქციების ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს, ვისთან რჩება აქციების ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი, უნდა განხილულ იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ფორვარდული ან ოფციონის კონტრაქტის ფასწარმოქმნა და ასევე, ახდენს თუ არა გავლენას საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში ფასების მერყეობა, სათავო საწარმოს ან არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ მიღებულ მოგებაზე ან ზარალზე.

როგორც წესი, ფორვარდები ან ოფციონები, რომელთა შესრულების პირობაც ითვალისწინებს არამაკონტროლებელი წილის აქციების გადაცემას რეალური ღირებულებით, არ ითვალისწინებენ აქციების ფლობასთან დაკავშირებული რისკების და სარგებლის გადასვლას სათავო საწარმოზე მანამ, სანამ არ დადგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების თარიღი. ხოლო ფიქსირებულფასიანი ფორვარდების შემთხვევაში პირიქით ხდება – აქციების

ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი გადადის სათავო საწარმოზე კონტრაქტის ძალაში შესვლის დღიდან. ფუთ ოფციონი ფიქსირებული შესრულების ფასით, რომელიც მიბმულია ასევე ფიქსირებულფასიან ქოლ ოფციონზე და რომელთა შესრულების თარიღებიც ემთხვევა ერთმანეთს, თავისი არსით არის იგივე, რაც ფიქსირებულფასიანი ფორვარდი. სიმეტრიული ფუთ და ქოლ ოფციონების არსებობის შემთხვევაში აშკარაა, რომ სათავო საწარმოს და არამაკონტროლებელი წილის მფლობელიც გამოიყენებენ თავიანთ უფლებას (შეასრულებენ ოფციონს) და ეს იქნება მათ ეკონომიკურ ინტერესებში. თუ აქციების საბაზრო ფასი დაეცემა ოფციონში განსაზღვრულ ფიქსირებულ ფასზე დაბლა, არამაკონტროლებელი წილის მფლობელი გამოიყენებს თავის ფუთ ოფციონს და გაყიდის აქციებს (სათავო საწარმომ შეინარჩუნა ოფციონის მოქმედების განმავლობაში ფასების კლების რისკები), ხოლო თუ აქციების საბაზრო ფასი აიწევს ოფციონის ფიქსირებულ ფასზე მაღლა, სათავო საწარმო თავისი ქოლ ოფციონის საშუალებით იყიდის აქციებს (სათავო საწარმომ მიიღო სარგებელი ფასების ზრდისგან ოფციონის მოქმედების ვადის განმავლობაში).

არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ოფციონების და ფორვარდების აღრიცხვა

არამაკონტროლებელი წილი აღიარდება კაპიტალში იმ შემთხვევაში, თუ ფლობის რისკები და სარგებელი საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში რჩება არამაკონტროლებელ წილში. იმ შემთხვევაში, თუ ყველა რისკი და სარგებელი გადავიდა სათავო საწარმოზე, არამაკონტროლებელი წილი არ აღიარდება. თუ ფორვარდი ან სიმეტრიული ფუთ და ქოლ ოფციონები ძალაში შევიდა საწარმოთა გაერთიანების პროცესში და შესაბამისი თანხები აღიარებულია არამაკონტროლებელ წილში ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” შესაბამისად, ისინი აღრიცხება რეალური ღირებულებით ან შვილობილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით. თუ კონტრაქტები გაფორმდა საწარმოთა გაერთიანების შემდგომ პერიოდში, არამაკონტროლებელი წილის აღიარება წყდება, რადგან ფლობის რისკები და სარგებელი გადავიდა სათავო საწარმოზე.

იმის შეფასება, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი სათავო საწარმოზე გადადის თუ რჩება არამაკონტროლებელ წილში, განსჯას და ყველა საკონტრაქტო პირობის სათანადო განხილვას მოითხოვს. ასევე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც არამაკონტროლებელი წილის შეძენის ფორვარდის ან სიმეტრიული ფუთ და ქოლ ოფციონების შესრულების ფასები ეფუძნება ფორმულას, რომელიც არ შეესაბამება რეალური ღირებულების პრინციპებს. ამ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელ მხარესთანაა რისკები და სარგებელი.

ოფციონებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება გამოსყიდვის თანხის (Redemption Amount) მიმდინარე ღირებულებით და საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში ფინანსური დანახარჯების მეშვეობით აკუმულირდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იქამდე, სანამ არ გაუტოლდება საბოლოო გამოსყიდვის თანხას. გამოსყიდვის თანხის ნებისმიერი კორექტირება აღიარდება ფინანსურ დანახარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ბასს 39-ის შესაბამისად. თავდაპირველი გამოსყიდვის თანხა აკლდება სათავო საწარმოს კაპიტალს, თუ ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი რჩება არამაკონტროლებელ წილში. თუ რისკები და სარგებელი გადადის სათავო საწარმოზე, თავდაპირველი გამოსყიდვის თანხა აკლდება არამაკონტროლებელი წილის კაპიტალს. თუ გამოსყიდვის თანხის მიმდინარე ღირებულება აღემატება არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას, ნამეტი თანხა დადებეტდება სათავო საწარმოს კაპიტალში.

კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს შეუძლიათ დივიდენდების მიღება. დივიდენდები აკლდება არამაკონტროლებელ წილს. იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდის თანხები აღემატება არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას, ნამეტი თანხა დაიფარება საწარმოს მოგებიდან. გადახდილი დივიდენდები ამცირებენ გამოსყიდვის თანხას მხოლოდ იმ პირობით, თუ ფორვარდი ან ოფციონი ითვალისწინებს ამ გადახდების მეშვეობით შესრულების ფასის შემცირებას. მოგება უნდა მიეკუთვნოს არამაკონტროლებელ წილს, თუ ის ინარჩუნებს ფლობის რისკს და სარგებელს.

თუ დადგა კონტრაქტის შესრულების დღე, არამაკონტროლებელი წილი უნდა დაემატოს სათავო საწარმოს კაპიტალს. არ ხდება გუდვილის კორექტირება, ხოლო გამოსყიდვის ვალდებულება იფარება ნაღდი ფულის გადახდით.

თუ კონტრაქტის ვადა ამოიწურა და ის არ შესრულებულა და ამასთან, აქციების ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი გადავიდა სათავო საწარმოზე, არამაკონტროლებელი წილი უნდა აღდგენილ იქნეს. აღდგენილი თანხა უდრის შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების წილის საბალანსო ღირებულებას დამატებული შვილობილი საწარმოს საწყისი შეძენის გუდვილი. სხვაობა გამოსყიდვის ვალდებულებასა და არამაკონტროლებელი წილის კაპიტალის კორექტირებას შორის დადებებდება სათავო საწარმოს კაპიტალში. გუდვილი არ კორექტირდება.

თუ კონტრაქტის ვადა ამოიწურა ისე, რომ ის არ შესრულებულა და აქციების ფლობასთან დაკავშირებული რისკს და სარგებელს არამაკონტროლებელი წილი ინარჩუნებს, გამოსყიდვის ვალდებულების აღიარება წყდება და არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებაში არანაირი კორექტირება არ კეთდება.

2.5 გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარება და შეფასება

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” თანახმად, გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილ, სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამასთან, ამ აქტივების ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია. აღიარებული გუდვილის სიდიდეზე გააგენას ახდენს იმ აქტივებისგან და ვალდებულებებისგან წარმოშობილი სააღრიცხვო სხვაობები, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით.

ფასს 3-ის თანახმად, მყიდველმა საწარმომ უნდა აღიაროს გუდვილი, შეძენის თარიღისთვის შეფასებული, როგორც (A)-ს ნამეტი (B)-ზე.¹⁶

A) ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:

- (i) ფასს 3-ის შესაბამისად შეფასებული გადაცემული კომპენსაცია, რომელიც, საზოგადოდ, საჭიროებს რეალური ღირებულებით შეფასებას შეძენის თარიღით;
- (ii) ფასს 3-ის შესაბამისად შეფასებული ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში;
- (iii) ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში – შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი სააქციო წილის რეალური ღირებულება, შეძენის თარიღისათვის შეფასებული.

B) ფასს 3-ის მიხედვით შეფასებული შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შეძენის თარიღისათვის.

საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აღიარდება როგორც აქტივი და ამორტიზაციას არ ექვემდებარება. გუდვილს ყოველწლიურად უტარდება გაუფასურების ტესტი. გაუფასურების ტესტი შესაძლოა ჩატარდეს უფრო ხშირადაც, თუ ადგილი აქვს შესაბამისი გაუფასურების ინდიკატორების გამოვლენას.

თუ ზემოხსენებული მიდგომის გამოყენებისას გამოთვლილი თანხა უარყოფითია, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხელსაყრელ შესყიდვას. ხელსაყრელი შესყიდვის დროს ეკონომიკური შემოსულობა გარდაუვალია და მყიდველმა საწარმომ ის მოგება-ზარალში უნდა აღიაროს.

ხელსაყრელი შესყიდვით მიღებული შემოსულობის აღიარებამდე, მყიდველმა საწარმომ ხელახლა უნდა განიხილოს, სწორად განსაზღვრა თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ყველა აღებული ვალდებულება და უნდა აღიაროს ნებისმიერი დამატებითი აქტივი ან ვალდებულება, რომელიც ამ შემოწმებისას გამოვლინდა. ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მუხლისათვის მყიდველმა საწარმომ შემდეგში უნდა გადახედოს პროცედურებს, რომლებიც გამოყენებული იყო იმ თანხების შეფასებისას, რომელთა აღიარებასაც წინამდებარე ფასს მოითხოვს შეძენის თარიღით:

¹⁶IFRS 3 Business Combinations; Recognising and Measuring Goodwill or a Gain from a Bargain Purchase; 32-ე პუნქტი

- შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები;
- არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში, თუ ასეთი არსებობს;
- ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში, სააქციო წილი შექმნილ საწარმოში, რომელიც ადრე მყიდველ საწარმოს ეკუთვნოდა;
- გადაცემული კომპენსაცია.

ამგვარი მიმოხილვის მიზანია იმაში დარწმუნება, რომ შეფასებები შესაბამისად ასახავს ყველა შესაძლო ინფორმაციის განხილვას შექმნის თარიღისათვის. თუ გადამეტება ამის შემდეგაც შენარჩუნებულია, მყიდველმა საწარმომ, შექმნის თარიღით, უნდა აღიაროს მიღებული შემოსულობა. შემოსულობა უნდა მიეკუთვნოს მყიდველ საწარმოს.

ხელსაყრელი შესყიდვა არ აღიარდება როგორც განსაკუთრებული მუხლი. ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” ითხოვს, რომ განმარტებით შენიშვნებში აისახოს:

- ნებისმიერი აღიარებული შემოსულობის თანხა;
- სრული შემოსავლების ანგარიშგების მუხლი, რომელშიც ეს შემოსულობა არის აღიარებული;
- იმ მიზეზების აღწერა, რის გამოც გარიგების შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა.

მაგალითად, კომპანია A იქნეს კომპანია B-ს 100%-იან წილს, 150 მლნ. დოლარის ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის გზით. შექმნილი წმინდა აქტივების სავარაუდო რეალური ღირებულება შეადგენს 160 მლნ. დოლარს. იმის შემდეგ, რაც კომპანია A-მ შეაფასა, რამდენადაა ყველა იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივი აღიარებული და გადახედა ამ აქტივებისა და გადაცემული კომპენსაციის შეფასებას, მან დააკორექტირა შექმნილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების ღირებულება 155 მლნ. დოლარამდე. კომპანია A-მ უნდა აღიაროს 5 მლნ. დოლარის ოდენობის ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა (155 მლნ. – 150 მლნ.), რომელიც წარმოადგენს შექმნილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების ღირებულების ნამეტს გადაცემულ კომპენსაციაზე.

ამრიგად, მყიდველმა საწარმომ შექმნის თარიღისათვის უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი გუდვილი როგორც აქტივი. გუდვილი

ამორტიზაციას არ ექვემდებარება და მას ყოველწლიურად უტარდება გაუფასურების ტესტი. ხოლო, თუ აღგილი აქვს ხელსაყრელ შესყიდვას, მყიდველმა საწარმომ განმეორებით უნდა ჩაატაროს შეფასების პროცედურები და თუ ხელსაყრელი შესყიდვა ისევ დადასტურდა, უნდა აღიაროს შემოსულობა შექენის თარიღისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ განხორციელებულ პროექტში სახელწოდებით “ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება-დანერგვის შემდგომი მიმოხილვა” (Post-implementation Review IFRS 3 Business Combinations) აღნიშნულია, რომ რესპონდენტების თხოვნით, საბჭო განიხილავს შესაძლებლობას შემოიღოს გუდვილის ამორტიზაციის მეთოდი გაუფასურების ტესტირების ნაცვლად ან საწარმოებს მიანოჭოს უფლება თავად აირჩიონ ამ ორი მეთოდიდან ერთ-ერთი. ჩვენი აზრით, გუდვილის გაუფასურების ტესტი (რომელსაც ამჟამად ფასს 3 მოითხოვს) უნდა დარჩეს უცვლელი, რადგან ეს მეთოდი კარგად ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებს და საწარმოს საშუალებას აძლევს აქტივი რეალური ღირებულებით აღრიცხოს, რაც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

გადაცემული კომპენსაციის აღიარება და შეფასება

გადაცემული კომპენსაცია არის მყიდველის მიერ შექენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების სასარგებლოდ გადაცემული აქტივების, აღებული ვალდებულებების და ასევე, გამოშვებული აქციების რეალური ღირებულებების ჯამი. კომპენსაციის შესაძლო ფორმები მოიცავს: ფულად სახსრებს, სხვა აქტივებს, მყიდველი საწარმოს ბიზნესს ან შვილობილ საწარმოს, პირობით კომპენსაციას, ჩვეულებრივ ან პრივილეგიურ წილობრივ ინსტრუმენტებს, ოფციონებს, ვარანტებს და წევრთა წილებს ერთობლივ სამეურნეო ერთეულებში. გადაცემული კომპენსაცია ფასს 3-ის თანახმად რეალური ღირებულებით ფასდება.

საწარმოთა გაერთიანებაში, სადაც მყიდველი და შექენილი საწარმოები (ან მისი ყოფილი მესაკუთრეები) მხოლოდ სააქციო წილს ცვლიან, შექენილი საწარმოს სააქციო წილის რეალური ღირებულება შექენის თარიღისათვის შეიძლება უფრო საიმედოდ შეფასებადი იყოს, ვიდრე მყიდველი საწარმოს სააქციო წილის რეალური ღირებულება შექენის თარიღისათვის. თუ ეს ასეა, მყიდველმა საწარმომ გუდვილის თანხა უნდა განსაზღვროს შექენის თარიღისათვის შეფასებული შექენილი საწარმოს

სააქციო წილის რეალური ღირებულებით და არა შექენის თარიღისათვის შეფასებული მის მიერ გადაცემული სააქციო წილის რეალური ღირებულებით. გუდვილის თანხის დასადგენად ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, სადაც არანაირი კომპენსაციის გადაცემა არ მომხდარა, მყიდველმა საწარმომ შექენის თარიღისათვის შეფასებული, გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულების მაგივრად უნდა გამოიყენოს შექენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის რეალური ღირებულება, რომელიც შეფასებულია შექენის თარიღისათვის.

მყიდველ საწარმოს შეუძლია თავისი წილობრივი გადახდის ჯილდოები გაცვალოს შექენილი საწარმოს თანამშრომლების მიერ ფლობილ ჯილდოებზე. მყიდველ საწარმოს შესაძლოა ამას ავალდებულებდეს შექენილი საწარმოს თანამშრომლების მიერ ფლობილი წილობრივი გადახდის ჯილდოების ხელშეკრულებების პირობები ან შეიძლება, მყიდველმა საწარმომ ეს თავისი ნებით გააკეთოს, რადგან სურდეს, შექენილი საწარმოს მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს მისცეს სამსახურში დარჩენის მოტივაცია. წილობრივი გადახდის ჯილდოები წარმოადგენს გამონაკლისს რეალური ღირებულებით შეფასების პრინციპიდან და ფასდება ფასს 2 “წილობრივი გადახდების” მიხედვით და მათი მთლიანი ან ნაწილობრივი ღირებულება შესაძლოა ჩაირთოს გადაცემული კომპენსაციის შეფასებაში, ჯილდოების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, თუ მყიდველი საწარმო ვალდებულია ჩაანაცვლოს შექენილი საწარმოს თანამშრომლების მიერ ფლობილი წილობრივი გადახდის ჯილდოები თავისი წილობრივი გადახდის ჯილდოებით, ასეთ შემთხვევაში, ჩანაცვლებული ჯილდოების საბაზრო შეფასების ის თანხა, რომელიც მიეკუთვნება გაერთიანებამდელ მომსახურებას, უნდა შევიდეს გადაცემული კომპენსაციის თანხაში. ხოლო, თუ მყიდველი საწარმო არ არის ვალდებული განახორციელოს ასეთი ჩანაცვლება და ამას სხვა მიზეზების გამო (რაც ზემოთ მოვიყვანეთ) აკეთებს, გაცვლილი წილობრივი გადახდის ჯილდოების მთლიანი საბაზრო ღირებულება უნდა აღიარდეს ხარჯად და ჩაირთოს საწარმოთა გაერთიანების შემდგომი პერიოდის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაცემული კომპენსაცია შეიძლება შეიცავდეს მყიდველი საწარმოს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა საბალანსო ღირებულება განსხვავდება შექენის თარიღით განსაზღვრული მათი რეალური ღირებულებისგან (მაგალითად,

არაფულადი აქტივები ან მყიდველი საწარმოს ბიზნესი). ასეთ შემთხვევებში, მყიდველმა საწარმომ უნდა გადააფასოს გადაცემული აქტივები ან ვალდებულებები შექმნის თარიღისთვის გამოთვლილ რეალურ ღირებულებამდე, ხოლო მიღებული შემოსულობა ან დანაკარგი, თუ ასეთი არსებობს, აღიაროს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, ზოგჯერ გადაცემული აქტივები და ვალდებულებები გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში რჩება საწარმოთა გაერთიანების შემდეგ და, ამდენად, მყიდველი საწარმო ინარჩუნებს კონტროლს მათზე. ამ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ ეს აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს უშუალოდ შექმნის თარიღამდე არსებული მათი საბალანსო ღირებულებით.

პირობითი კომპენსაცია

პირობითი კომპენსაცია, ჩვეულებრივ, აღნიშნავს მყიდველი საწარმოს ვალდებულებას, გადასცეს დამატებითი აქტივები ან სააქციო წილი შექმნილი საწარმოს ყოფილ მესაკუთრეებს, როგორც შექმნილ საწარმოზე კონტროლის აღებისთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილი, თუ მომავალში გარკვეული მოვლენები მოხდება, ან გარკვეული პირობები შესრულდება. პირობით კომპენსაციად შესაძლოა ასევე ჩაითვალოს მყიდველი საწარმოს უფლება შექმნილი საწარმოსგან დაიბრუნოს ადრე გადაცემული აქტივები ან/და წილები. ეს საშუალებას იძლევა მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდნენ საწარმოთა გაერთიანების გარკვეულ პირობებზე, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის საბოლოო ღირებულება ჯერ არ განსაზღვრულა. გამყიდველისთვის გადაცემული ნებისმიერი ფულადი თანხა ან აქციები უნდა გაანალიზდეს იმის დასადგენად, ხომ არ უნდა აღირიცხოს ისინი საწარმოთა გაერთიანებისგან განცალკევებით. თუ შექმნილი საწარმოს მესაკუთრეებმა მყიდველი საწარმოსგან მიიღეს პირობითი კომპენსაციით გათვალისწინებული თანხა, მაგრამ აგრძელებენ გაერთიანებულ საწარმოში მუშაობას, მყიდველმა საწარმომ ასეთი პირობითი კომპენსაცია არ უნდა ჩართოს გადაცემულ კომპენსაციაში და უნდა აღიაროს ის ხარჯად შექმნის შემდგომი პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მყიდველმა საწარმომ შექმნის თარიღისათვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შექმნილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. ხოლო, ადრე გადაცემული

კომპენსაციის დაბრუნების უფლებას მყიდველმა საწარმომ აქტივის კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს. შესაძლებელია, რომ მომავალში პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული მოვლენა არ დადგეს და მყიდველ საწარმოს არ მოუწიოს შექმნილი საწარმოს ყოფილი აქციონერებისთვის პირობითი კომპენსაციით გათვალისწინებული თანხის გადახდა. შედეგად, მივიღებთ ვითარებას, როდესაც საწარმოთა გაერთიანების დროს, პირობითი კომპენსაციით გათვალისწინებული თანხა ჩაირთო გადაცემულ კომპენსაციაში, ხოლო რეალურად, მყიდველს ეს თანხა არ გადაუხდია. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი იქნება სტანდარტში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმადაც მყიდველმა საწარმომ ზემოთ განხილული შემთხვევის დროს, უნდა დააკორექტიროს კომპენსაციის თანხა.

მყიდველმა საწარმომ პირობითი კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას უნდა მიანიჭოს ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის კლასიფიკაცია, ბასს 32-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა” მე-11 პუნქტში მოცემული წილობრივი ინსტრუმენტისა და ფინანსური ვალდებულების განმარტების საფუძველზე. ზემოთ ხსენებულ სტანდარტში წილობრივი ინსტრუმენტი განმარტებულია შემდეგნაირად: “ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას. ხოლო ფინანსური ვალდებულება ნებისმიერი ვალდებულებაა, რომელიც არის:

- ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:
 - სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები;
 - მისთვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან
- ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და წარმოადგენს:
 - არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლისთვისაც საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები;
 - წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც დაიფარება ან შეიძლება ნებისმიერი ფორმით დაიფაროს, გარდა დადგენილი რაოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლისა, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე.

პირობითი კომპენსაციის შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის კლასიფიცირებული ის: აქტივად, ვალდებულებად თუ წილად. პირობითი კომპენსაციის შემდგომი აღრიცხვა ხდება შემდეგნაირად (გარდა კორექტირებებისა, რომლებიც გამოწვეულია მყიდველი საწარმოს მიერ დამატებით ინფორმაციის მოპოვებით შექმნის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ):

- პირობითი კომპენსაცია, რომელიც კლასიფიცირებულია აქტივად ან ვალდებულებად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა გადაფასდეს რეალურ ღირებულებამდე და რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები უნდა ჩაირთოს მოგება-ზარალში ფასს 9-ის ან ბასს 39-ის შესაბამისად;
- საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული პირობითი კომპენსაცია ხელახლა არ უნდა შეფასდეს და მისი შემდგომი დაფარვა უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალის მუხლში.

შესაძლოა, რომ პირობითი კომპენსაცია უკავშირდებოდეს შექმნილი საწარმოს მიერ დაწყებულ რომელიმე სამეცნიერო პროექტს. ანუ, მყიდველი საწარმო გადაიხდის შეთანხმებულ თანხას (პირობით კომპენსაციას) იმ პირობით, თუ მიმდინარე პროექტი წარმატებით დასრულდება. ამ შემთხვევაში, პირობითი კომპენსაცია პირდაპირ კავშირშია არამატერიალურ აქტივთან - სამეცნიერო პროექტთან. გამომდინარე აქედან, უფრო სამართლიანი იქნება, თუ პირობითი კომპენსაციის ვალდებულების რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აღირიცხება მასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივის კორექტირებით (თუ პირობითი კომპენსაცია დაკავშირებულია რაიმე არამატერიალურ აქტივთან) ცვლილების მოგება-ზარალში ასახვის ნაცვლად, როგორც ამას ამჟამად ფასს-ი მოითხოვენ.

როგორ დავადგინოთ პირობითი კომპენსაცია ვალდებულებაა თუ წილობრივი ინსტრუმენტი?

პირობითი კომპენსაციის ხელშეკრულება, რომლის შესრულებაც გათვალისწინებულია ნაღდი ფულის ან სხვა აქტივების გადაცემით, უნდა კლასიფიცირდეს როგორც ვალდებულება. შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც პირობითი კომპენსაციის შეთანხმება ითვალისწინებს საწარმოს აქციების

გადაცემას, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება აღრიცხულია როგორც ვალდებულება (მაგალითად, როდესაც ფიქსირებული თანხის გადახდა ხდება აქციების ცვლადი რაოდენობის მეშვეობით).

პირობითი კომპენსაციების კლასიფიცირება ფასს-ის მიხედვით ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს:

➤ პირობითი კომპენსაციის შეთანხმებები, რომლებიც დაიფარება ემიტენტის აქციების ფიქსირებული ოდენობით, უნდა კლასიფიცირდეს წილობრივ ინსტრუმენტად. ხოლო თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს აქციების ცვლადირაოდენობის გადაცემას, ის უნდა კვალიფიცირდეს ვალდებულებად;

➤ შეთანხმებებისთვის, რომლებიც შეიცავენ ერთზე მეტ სახელშეკრულებო საგანს, უნდა დადგინდეს, სააღრიცხვო ერთეულს წარმოადგენს მთლიანი კონტრაქტი თუ თითოეული საგნისთვის გათვალისწინებულია ცალკე კონტრაქტი. იმისათვის, რომ ასეთი კონტრაქტები ცალ-ცალკე შეფასდეს, მათთან დაკავშირებული ხელშეკრულების საგნები უნდა იყოს ცალსახად განცალკევებადი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და სხვადასხვა რისკებთან დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს განცალკევებად სახელშეკრულებო საგნებთან, ასეთ კონტრაქტებს შესაძლოა, შემდეგში მოჰყვეს ფიქსირებული ოდენობის აქციების გადაცემა, რაც გულისხმობს, რომ ასეთი კონტრაქტები უნდა აღიარდეს წილობრივ ინსტრუმენტად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა განხილულ იქნეს ერთ კონტრაქტად, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი რაოდენობის აქციების გადაცემას, რადგან გადასაცემი აქციების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახელშეკრულებო საგანი შესრულდება და რომელი არა. ასეთი პირობითი კომპენსაციის შეთანხმება კლასიფიცირდება ვალდებულებად;

➤ პირობითი კომპენსაციის შეთანხმება, რომელიც აკმაყოფილებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას, ვერ აღიარდება წილობრივ ინსტრუმენტად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს არჩევანს იმის თაობაზე, თუ როგორ დაიფაროს ვალდებულება.

საერთაშორისო აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ს პირობითი კომპენსაციის შეთანხმებების კლასიფიცირებისთვის შემდეგი პრაქტიკული მაგალითები მოჰყავს¹⁷:

მაგალითი 1. საწარმოს საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული, აქციების ფიქსირებული რაოდენობის ემისია

საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია A, საწარმოთა გაერთიანების შედეგად, ყიდულობს კომპანია B-ს. კომპენსაცია მოიცავს A კომპანიის 1 მლნ. ჩვეულებრივ აქციას, რომელსაც ის გადასცემს B კომპანიის აქციონერებს. კომპანია A, ასევე, თანახმაა დამატებით გამოუშვას 100 ათასი ჩვეულებრივი აქცია იმ პირობით, თუ კომპანია B-ს შემოსავლები შექენიდან ერთი წლის განმავლობაში, გადააჭარბებს 200 მლნ. დოლარს.

კომპანია ასკვნის, რომ აღრიცხვის ერთეულს წარმოადგენს კონტრაქტი როგორც მთლიანი ერთეული, ვინაიდან სახელშეკრულებო საგანს წარმოადგენს მხოლოდ საქმიანობის შედეგი.

ანალიზი

კომპანია A-ს მიერ შექენის თარიღისათვის გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები აღრიცხება კაპიტალში, რეალური ღირებულებით. პირობითი კომპენსაციის ხელშეკრულება არის წილობრივი ინსტრუმენტი, რადგან მისი შესრულება გულისხმობს აქციების ფიქსირებული რაოდენობის ემისიას.

მაგალითი 2. საწარმოს საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ცვლადი რაოდენობის აქციების ემისია

საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია A ყიდულობს კომპანია B-ს, საწარმოთა გაერთიანების შედეგად. კომპენსაცია მოიცავს A კომპანიის 1 მლნ.

¹⁷Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests (Second Global Edition); 2016 წ.; გვ. 114

ჩვეულებრივ აქციას, რომლებსაც ის გადასცემს B კომპანიის აქციონერებს. კომპანია A, ასევე თანახმაა დამატებით გამოუშვას 100 ათასი ჩვეულებრივი აქცია იმ პირობით, თუ კომპანია B-ს შემოსავლები შექენიდან ერთი წლის განმავლობაში გაუტოლდება ან გადააჭარბებს 200 მლნ. დოლარს. დამატებით, კომპანია A გამოუშვებს კიდევ 1000 აქციას 200 მილიონს ზევით ყოველი 2 მილიონი დოლარის შემოსავლისთვის, რასაც B კომპანია გამოიმუშავებს.

ანალიზი

კომპანია A-ს მიერ შექენის თარიღისათვის გამოშვებული 1 მლნ. ჩვეულებრივი აქცია აღირიცხება კაპიტალში, რეალური ღირებულებით. პირობითი კომპენსაციის ხელშეკრულება უნდა კლასიფიცირდეს ვალდებულებად, რადგან შეთანხმება ითვალისწინებს კომპანია A-ს ცვლადი რაოდენობის აქციების ემისიას.

მაგალითი 3. საწარმოს საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ცვლადი რაოდენობის აქციების ემისია (მრავალი შეფასების პერიოდი)

საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია A, საწარმოთა გაერთიანების შედეგად, ყიდულობს კომპანია B-ს. კომპენსაცია მოიცავს A კომპანიის 1 მლნ. ჩვეულებრივ აქციას, რომლებსაც ის გადასცემს B კომპანიის აქციონერებს. კომპანია A ასევე თანახმაა დამატებით გამოუშვას 100 ათასი ჩვეულებრივი აქცია იმ პირობით, თუ კომპანია B-ს შემოსავლები შექენიდან ერთი წლის განმავლობაში, გაუტოლდება ან გადააჭარბებს 200 მლნ. დოლარს. გარდა ამისა, კომპანია A თანახმაა, B კომპანიის ყოფილ მესაკუთრეებს გადასცეს დამატებით 50 ათასი ჩვეულებრივი აქცია იმ შემთხვევაში, თუ შექენიდან მეორე წლის განმავლობაში კომპანია B-ს ბრუნვა გადააჭარბებს 300 მლნ. დოლარს.

ანალიზი

კომპანია A-ს მიერ შექენის თარიღისათვის გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები აღირიცხება კაპიტალში, რეალური ღირებულებით. პირობითი კომპენსაციის

შეთანხმება თავდაპირველად უნდა გაანალიზდეს იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა თითოეული სახელშეკრულებო საგანი ცალკე ერთეულს. ვინაიდან შექენის შემდეგ პირველ და მეორე წელთან დაკავშირებული შეთანხმებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, სხვადასხვა რისკებთანაა დაკავშირებული, თითოეული სახელშეკრულებო საგანი შესაძლოა განხილულ იქნეს განცალკევებულ კონტრაქტად, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე ახდენენ გავლენას კომპანია A-ს მიერ დამატებით გამოშვებული აქციების რაოდენობაზე. შესაბამისად, თითოეული **ინდივიდუალური კონტრაქტი** პირობითი კომპენსაციის ხელშეკრულების ფარგლებში, კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად, რადგან ცვლადი რაოდენობის აქციების ემისიის არანაირი სახელშეკრულებო ვალდებულება არ არსებობს.

განხილულ მაგალითში სადავოა, რამდენად შესაძლებელია პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო საგნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაითვალოს. კერძოდ, შექენიდან პირველი წლის განმავლობაში რეალიზაციის მოცულობის დონე გავლენას ახდენს იმაზე, მეორე წლის ბოლოს გადააჭარბებს თუ არა რეალიზაციის დონე 300 მლნ. დოლარს. შესაბამისად, თუ ამ დაშვებას გაეითვალისწინებთ, სახელშეკრულებო საგნებს დამოუკიდებელ კონტრაქტებად ვედარ განვიხილავთ და პირობითი კომპენსაციის ხელშეკრულებაც დაკვალიფიცირდება ვალდებულებად, რადგან ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვლადი რაოდენობის აქციების ემისიას.

მაშასადამე, თუ პირობითი კომპენსაციის შეთანხმება წარმოადგენს უფლებას გადაცემული კომპენსაციის ნაწილის დაბრუნებაზე, ის უნდა აღირიცხოს ფინანსურ აქტივად. თუ პირობითი კომპენსაციის ხელშეკრულებამყიდველ საწარმოს ავალდებულებს, გარკვეული პირობის შესრულების შემთხვევაში, შექენილი საწარმოს ყოფილ აქციონერებს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ის უნდა აღიაროს ვალდებულებად. ვალდებულებად ასევე აღიარდება პირობითი კომპენსაცია, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი რაოდენობის აქციების გადაცემას, ხოლო ფიქსირებული რაოდენობის აქციების გადაცემა კი კვალიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად.

სხვა სახის პირობითი კომპენსაციის შეთანხმებები

გარკვეული პირობითი კომპენსაციის შეთანხმებები შესაძლოა დაკავშირებული იყოს შექენილი საწარმოს თანამშრომლების ან აქციონერების გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში დასაქმების პირობასთან. ასეთი სახის შეთანხმებები აღიარდება შექენის დანახარჯად საწარმოთა გაერთიანების შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

მყიდველმა საწარმომ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და განიხილოს სპეციფიური ფაქტები და გარემოებები შექენილი საწარმოს აქციონერებთან დადებული პირობითი კომპენსაციის შეთანხმებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები არ ითხოვენ გაერთიანებულ საწარმოში შემდგომ დასაქმებას, მყიდველმა საწარმომ უნდა განსაზღვროს პირობითი კომპენსაციის შეთანხმებები (რომლებიც ეხება სხვა მოთხოვნებს) წარმოადგენს თუ არა საწარმოს შესაძენად გადახდილი კომპენსაციის ნაწილს თუ წარმოადგენს შექენის დანახარჯს, ანუ უნდა აღიარდეს შექენის შემდგომი პერიოდის ანგარიშგებაში.

შექენილი საწარმოს პირობითი კომპენსაციის შეთანხმებები წარმოადგენს ფასს 3-ის მოქმედების სფეროში შემავალ პირობით კომპენსაციას და აღიარდება გაერთიანებული სამეურნეო სუბიექტის ვალდებულებებში (ზოგ შემთხვევებში აქტივებში). ასეთი ტიპის შეთანხმებები თითქმის ყოველთვის იქნება წარმოდგენილი კონტრაქტის სახით, დარეგულირდება ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” მიხედვით და საწარმოთა გაერთიანებაში აღიარდება შექენის თარიღის რეალური ღირებულებით.

პირობითი კომპენსაცია – აღრიცხვა გამყიდველის პოზიციიდან

ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”(ან ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტების”, თუ საწარმო გადასულია ამ სტანდარტზე¹⁸) მიხედვით, პირობითი კომპენსაციის კონტრაქტი, რომელიც პირობის შესრულების შემთხვევაში გამყიდველს ნაღდი ფულის ან სხვა აქტივების მიღების უფლებას აძლევს, აკმაყოფილებს ფინანსური აქტივის განმარტებას. როდესაც პირობითი

¹⁸ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტების” გამოყენება სავალდებულო ხდება 2018 წლის 1 იანვრიდან და ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”. თუმცა, საწარმოებს უფლება აქვთ გამოიყენონ ფასს 9 მანამდეც

კომპენსაციის შეთანხმება აკმაყოფილებს ფინანსური აქტივის განმარტებას, გამყიდველმა ის უნდა ჩართოს მიღებულ კომპენსაციაში და შეაფასოს ბასს 39-ის შესაბამისად. პირობითი კომპენსაციის შეთანხმების კლასიფიცირება განსჯას მოითხოვს და კონკრეტული შეთანხმების სპეციფიურ ფაქტებსა და გარემოებებზე იქნება დამოკიდებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობა შესაძლოა არ შესრულდეს და შეძენილი საწარმო ვეღარ მიიღებს კომპენსაციის ნაწილს. აღნიშნულიდან და წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი იქნება, პირობითი კომპენსაციის კონტრაქტი გამყიდველის მიერ **კლასიფიცირებულ იქნეს პირობით აქტივად** და მის მიმართ გამოყენებულ იქნეს ბასს 37-ის “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები” მოთხოვნები. ბასს 37-ში პირობითი აქტივი განმარტებულია როგორც **შესაძლო აქტივი** (პირობითი კომპენსაციის თანხა), **რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენის შედეგად** (პირობითი კომპენსაციის კონტრაქტის დადება) და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით (პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობა), რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.

საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ს მოპყავს შემდეგი პრაქტიკული მაგალითი გამყიდველის პოზიციიდან პირობითი კომპენსაციის აღრიცხვასთან დაკავშირებით¹⁹:

კომპანია A ყიდის თავისი შვილობილი B კომპანიის 100%-იან წილს. შეძენის კომპენსაცია მოიცავს 150 მლნ.დოლარ ნაღდ ფულს და პირობით კომპენსაციას მომდევნო 3 წლის ამონაგების 5%-ის ოდენობით. B კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულებაა 100 მლნ.დოლარი. A კომპანიამ პირობითი კომპენსაციის შეთანხმება აღრიცხა შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- პირობითი კომპენსაციის შეთანხმება არ აკმაყოფილებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კრიტერიუმს ბასს 39-ის მიხედვით;

¹⁹Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests (Second Global Edition); 2016 წ; გვ. 126

- პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულება შესრულების თარიღისთვის შეადგენს 10 მლნ.დოლარს (შეფასება ეფუძნება მოსალოდნელ რეალიზაციის მოცულობას შემდეგი სამი წლის მანძილზე, რომელიც უდრის 70 მლნ. დოლარს პირველ წელს, ხოლო მე-2 და მე-3 წლებში გათვალისწინებულია 15%-იანი ზრდა; დისკონტირების განაკვეთი არ იცვლება მთელი პერიოდის მანძილზე და შეადგენს 10%-ს);
- პირველი წლის ბოლოს ფაქტობრივი ბრუნვა დაემთხვა პროგნოზირებულს, მაგრამ შეიცვალა მომდევნო 2 წლის ბრუნვის ზრდის პროგნოზი და შეადგინა 30%;
- საპროცენტო განაკვეთი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

განვიხილოთ, როგორ აღრიცხავს A კომპანია პირობით ამონაგებს:

კომპანია A (გამყიდველი) გაყიდვის თარიღში რეალიზაციის აღსარიცხავად გააკეთებს შემდეგ გატარებებს:

	დებეტი	კრედიტი
ნაღდი ფული	150 მლნ	
ფინანსური აქტივი	10 მლნ	
შემოსავალი გაყიდვიდან		160 მლნ.

გაყიდვის შემდეგ პირველი წლის ბოლოს, კომპანია A პირობითი კომპენსაციის შეთანხმებიდან მიღებული ნაღდი ფულის აღსარიცხავად აკეთებს შემდეგ გატარებებს:

ნაღდი ფული	3.5 მლნ	
ფინანსური აქტივი		3.5 მლნ.

მე-2 და მე-3 წელს რეალიზაციის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლის ცვლილების გამო ასაღიარებელი საპროცენტო შემოსავლის და პირობითი კომპენსაციის გადაფასების საბუღალტრო გატარებები იქნება შემდეგი:

ფინანსური აქტივი	1 მლნ.	
საპროცენტო შემოსავალი ²⁰		1 მლნ.

²⁰10 მლნ. × 10%

ფინანსური აქტივი

1.5 მლნ.

შემოსავალი²¹

1.5 მლნ.

მოსალოდნელი რეალიზაცია გაყიდვის თარიღში (15% ზრდის ტემპი და 10%-იანი დისკონტირების განაკვეთი):

	რეალიზაცია (მლნ. დოლარი)	რეალიზაციის 5% (მლნ. დოლარი)	დისკონტ. ღირებულება (მლნ. დოლარი)
1 წელი	70.0	3.5	3.2
2 წელი	80.5	4.0	3.3
3 წელი	92.6	4.6	3.5
სულ		12.1	10.0

1-ლი წლის შემდეგ მოსალოდნელი რეალიზაცია (30%-იანი ზრდის ტემპი და დისკონტირების განაკვეთი 10%):

	რეალიზაცია (მლნ. დოლარი)	რეალიზაციის 5% (მლნ. დოლარი)	დისკონტ. ღირებულება (მლნ. დოლარი)
2 წელი	91	4.6	4.1
3 წელი	118.3	5.9	4.9
სულ		10.5	9.0

2.6 განმარტებითი შენიშვნები

მყიდველმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია საწარმოთა თითოეული გაერთიანებისათვის, რომელიც განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში:

ა) შექმნილი საწარმოს სახელწოდება და დახასიათება;

²¹9 მლნ. – (10 - 3.5 + 1)

ბ) შექმნის თარიღი;

გ) შექმნილი ხმისუფლებიანი აქციების პროცენტული წილი;

დ) საწარმოთა გაერთიანების ძირითადი მოტივები და იმის აღწერა, როგორ აიღო მყიდველმა საწარმომ კონტროლი შექმნილ საწარმოზე;

ე) ხარისხობრივი შეფასება იმ ფაქტორებისა, რომლებმაც განაპირობეს გუდვილის აღიარება, მაგალითად, შექმნილი და მყიდველი საწარმოების გაერთიანებული ოპერაციებიდან მოსალოდნელი სინერგიული ეფექტები, არამატერიალური აქტივები. ღომლებიც არ აკმაყოფილებს ცალკე აღიარების კრიტერიუმებს, ან სხვა ფაქტორები;

ვ) საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული მთლიანი კომპენსაციის რეალური ღირებულება და თითოეული ძირითადი კატეგორიის კომპენსაციის რეალური ღირებულება, შექმნის თარიღისთვის განსაზღვრული, როგორცაა:

- ფულადი სახსრები;
- სხვა მატერიალური ან არამატერიალური აქტივები, მათ შორის მყიდველი საწარმოს ბიზნესი ან შვილობილი საწარმო;
- წარმოშობილი ვალდებულებები, მაგალითად, პირობითი კომპენსაციის ვალდებულება;
- მყიდველი საწარმოს სააქციო წილი, მათ შორის გამოშვებული ან გამოსაშვები აქციების ან ინსტრუმენტების რაოდენობა და ამ აქციებისა და ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენის მეთოდი.

ზ) პირობითი კომპენსაციის შეთანხმებებისა და საკომპენსაციო შენატანების აქტივებისთვის:

- შექმნის თარიღისთვის აღიარებული თანხა;
- შეთანხმების აღწერა და გადასახდელი თანხის გადახდის საფუძველი;
- შედეგების (არადისკონტირებული) მწკრივის (დიაპაზონის) შეფასება ან, თუ ვერ ხდება შედეგების დიაპაზონის შეფასება, ის ფაქტები და მიზეზები, რის გამოც ვერ ხერხდება შეფასება. თუ გადასახადის მაქსიმალური თანხა შეზღუდული არ არის, მყიდველმა საწარმომ უნდა განმარტოს ეს ფაქტი.

თ) შექმნილი მოთხოვნებისთვის:

- მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) რეალური ღირებულება;
- მისაღები საერთო (ბრუტო) სახელშეკრულებო თანხები;
- შექმნის თარიღისათვის განსაზღვრული საუკეთესო შეფასება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა, რომელთა ამოღებაც, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება.

განმარტებით შენიშვნებში განხილული უნდა იყოს მოთხოვნების ძირითადი კატეგორიები, როგორცაა: სესხები, პირდაპირი ფინანსური იჯარა და ნებისმიერი სხვა კატეგორიის მოთხოვნები.

ი) თითოეული ძირითადი კატეგორიის შექმნილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებებისთვის შექმნის თარიღისათვის აღიარებული თანხები;

კ) თითოეული აღიარებული პირობითი ვალდებულებისათვის, ბასს 37-ში “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები” მოთხოვნილი ინფორმაცია. თუ პირობითი ვალდებულება აღიარებული არ არის იმის გამო, რომ მისი რეალური ღირებულება ვერ ფასდება საიმედოდ, მყიდველმა საწარმომ უნდა წარმოადგინოს მიზეზები, თუ რატომ არის შეუძლებელი ვალდებულების საიმედოდ შეფასება

ლ) გუდვილის მთლიანი თანხა, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის;

მ) სამეურნეო ოპერაციებისათვის, რომლებიც საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებებისგან განცალკევებულად არის აღიარებული:

- თითოეული სამეურნეო ოპერაციის (გარიგების) აღწერა;
- როგორ ასახა თითოეული მათგანი მყიდველმა საწარმომ;
- თითოეული სამეურნეო ოპერაციისთვის აღიარებული თანხა და ფინანსური ანგარიშგების ის მუხლი, რომელშიც ასახულია თითოეული თანხა;
- თუ სამეურნეო ოპერაცია წარმოადგენს გაერთიანებამდე არსებული ურთიერთობების ფაქტობრივ დარეგულირებას, მეთოდი, რომელიც გამოყენებული იყო დასარეგულირებელი თანხის დასადგენად.

ნ) ინდივიდუალურად აღიარებული სამეურნეო ოპერაციების შესახებ განმარტებითი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შექენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და განცალკევებით იმ დანახარჯების თანხას, რომელიც აღიარებულია როგორც ხარჯი; სრული შემოსავლის ანგარიშგების იმ მუხლს ან მუხლებს, რომელშიც ეს ხარჯები არის აღიარებული; ნებისმიერი საემისიო დანახარჯების ოდენობა, რომელიც არ აღიარდა როგორც ხარჯი და იმის ახსნა, როგორ იქნა ის აღიარებული;

ო) ხელსაყრელ შესყიდვაში:

- აღიარებული ნებისმიერი შემოსულობის თანხა და სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი, რომელშიც ეს შემოსულობა არის აღიარებული;
- იმ მიზეზების აღწერა, რის გამოც გარიგების შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა.

პ) საწარმოთა ტითოეული გაერთიანებისთვის, სადაც მყიდველი საწარმო შექენის თარიღისათვის ფლობს შექენილ საწარმოში სააქციო წილის 100%-ზე ნაკლებს:

- შექენის თარიღისათვის აღიარებული არამაკონტროლებელი წილის თანხა შექენილ საწარმოში და ამ თანხის შეფასების საფუძველი;
- შექენილი საწარმოს თითოეული არამაკონტროლებელი წილისათვის, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით – შეფასების მეთოდები და ამ ღირებულების დასადგენად გამოყენებული ძირითადი მოდელის ამოსავალი მონაცემები.

ჟ) ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში:

- უშუალოდ შექენის თარიღის წინ მყიდველი საწარმო მიერ შექენილ საწარმოში ფლობილი სააქციო წილის რეალური ღირებულება, შექენის თარიღისთვის განსაზღვრული
- ნებისმიერი შემოსულობის ან ზარალის თანხა, რომელიც აღიარებულია შექენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს მიერ საწარმოთა გაერთიანებამდე ფლობილი სააქციო წილის რეალურ ღირებულებამდე გადაფასების შედეგად და სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი, რომელშიც ეს შემოსულობა ან ზარალი არის აღიარებული.

რ) შემდეგი ინფორმაცია:

- შექმნის თარიღის შემდეგ შექმნილი საწარმოს მიერ მიღებული ამონაგებისა და მოგების/ზარალის თანხები, რომლებიც ასახულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში;
- გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ამონაგები და მოგება ან ზარალი, როგორც ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში განხორციელებული საწარმოთა ყველა გაერთიანებისთვის შექმნის თარიღი იქნებოდა წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი.

თუ მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლებელია, მყიდველმა საწარმომ უნდა აღნიშნოს ამის შესახებ განმარტებით შენიშვნებში და ახსნას, თუ რატომ არის ამის გაკეთება შეუძლებელი.

თავი III. შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარებისა და შეფასების პრობლემები

3.1 საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარება

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” არამატერიალურ აქტივს განმარტავს როგორც იდენტიფიცირებად არაფულად აქტივს, ფიზიკური ფორმის გარეშე. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების გუდვილისგან განცალკევებით აღიარების და შეფასების პრობლემების კვლევა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან დღეს შეინიშნება ტენდენცია, როდესაც ბევრი სათავო კომპანია თავს არიდებს

საწარმოთა გაერთიანების პროცესში შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარებას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამის მიზეზად სწორედ შეფასების პრობლემებს მივიჩნევთ.

იმისათვის, რომ არამატერიალური აქტივი გუდვილისგან განცალკევებით აღიარდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი მაინც:


- **საკონტრაქტო-იურიდიული კრიტერიუმი.** წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა, ან საწარმოსგან ან სხვა უფლებებიდან თუ ვალდებულებებიდან მისი განცალკევება;
- **განცალკევების კრიტერიუმი.** არამატერიალური აქტივი განცალკევებადია, თუ შესაძლებელია მისი განცალკევება ან გამოყოფა სამეურნეო ერთეულისგან და გაყიდვა, გადაცემა, იჯარით გაცემა, მასზე ლიცენზიის გაცემა ან გაცვლა, ცალკე, ან შესაბამის ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, აპირებს თუ არა ამის გაკეთებას სამეურნეო ერთეული.

შექმნილი არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს მაშინაც, თუ არსებობს ამ ტიპის ან მსგავსი ტიპის აქტივის გაცვლის გარიგების ფაქტი, თუნდაც ასეთი გარიგებები ხშირი არ იყოს და იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა მასში მყიდველი საწარმო. მაგალითად, კლიენტთა და აბონენტთა სიებზე ხშირად გაიცემა ლიცენზია. შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებენ განცალკევების კრიტერიუმებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შექმნილ საწარმოს სჯერა, რომ მისი კლიენტთა სია განსხვავდება სხვა კლიენტთა სიისგან, ის ფაქტი, რომ კლიენტთა სიის გადაცემა ხშირად ხდება ლიცენზიით, საზოგადოდ, იმას ნიშნავს, რომ შექმნილი კლიენტთა სია აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს. თუმცა, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კლიენტთა სია არ დააკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუ კონფიდენციალობის ან სხვა შეთანხმებები სამეურნეო ერთეულს უკრძალავს მისი კლიენტების შესახებ ინფორმაციის გაყიდვას, იჯარით გაცემას ან სხვაგვარად გაცვლას.

პრაქტიკაში, საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი ბევრი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარება სირთულეებთანაა

დაკავშირებული, კერძოდ, მოითხოვს დიდ დანახარჯებს (რადგან ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება კომპეტენტური გარე შემფასებლების მომსახურება), საკმაოდ სუბიექტურია და ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს მყიდველი საწარმოს მიერ მონაცემებით მანიპულირება. შესაბამისად, ბასს-ების საბჭოს მიერ ჩატარებული, ფასს 3 საწარმოთა გაერთიანების დანერგვის შემდგომი მიმოხილვის პროექტში მონაწილე გარკვეულმა სუბიექტებმა გამოთქვეს აზრი, რომ უმჯობესი იქნება ის არამატერიალური აქტივები, რომელთა განცალკევებით აღიარება განსაკუთრებით რთულია (კლიენტებთან ურთიერთობა, არასახელშეკრულებო არამატერიალური აქტივები) გუდვილთან ერთად აღიარდეს. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ბასს-ის საბჭომ შეიყვანა ეს წინადადება განსახილველი საკითხების ნუსხაში. ჩვენი აზრით, მიუხედავად დაკავშირებული სირთულეებისა, კარგი იქნება ფასს 3-ის ამჟამინდელი მოთხოვნები ყველა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარებასთან დაკავშირებით, **შენარჩუნებულ იქნეს, რადგან ეს პრინციპი უზრუნველყოფს საწარმოთა გაერთიანების მოტივების საუკეთესო ახსნას.** სხვა სიტყვებით, თუ საწარმოს გააჩნია კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივი, აქვს ღირებული და ცნობადი ბრენდი ან ფლობს საიდუმლო რეცეპტს, რომელიც მას უნიკალურს ხდის, ეს არის სხვა საწარმოსთვის ერთ-ერთი მთავარი მოტივი შეიძინოს ეს კომპანია. აღნიშნული არამატერიალური აქტივების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში განცალკევებით აღიარება იქნება საუკეთესო გზა განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების მოტივების და, ზოგადად, გამჭვირვალობის დასაფიქსირებლად, რაც გლობალიზაციის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინვესტორებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers” გვთავაზობს შემდეგ სქემას არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების და განცალკევებული აღიარების კრიტერიუმების განსაზღვრისთვის:



არამატერიალური აქტივი, რომელიც სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინაც კი, თუ შეუძლებელია მისი გადაცემა ან გამოცალკევება შექმნილი საწარმოდან, ან სხვა უფლებებიდან და ვალდებულებებიდან. მაგალითად:

- შექმნილი საწარმო საოპერაციო იჯარით იღებს საწარმოო მოწყობილობას და საოპერაციო იჯარის პირობები მისაღებია საბაზრო პირობებთან შედარებით. იჯარის პირობები აშკარად კრძალავს იჯარის გადაცემას (გაყიდვის ან ქვეიჯარის საშუალებით). თანხა, რის გამოც საიჯარო პირობები მისაღებად ითვლება იმავე ან მსგავსი საბაზრო გარიგებების პირობებთან შედარებით, არის არამატერიალური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს გუდვილისგან განცალკევებით აღიარების სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს, თუმცა მყიდველ საწარმოს არ შეუძლია მისი გაყიდვა ან საიჯარო ხელშეკრულების რაიმე გზით სხვაზე გადაცემა;
- შექმნილი საწარმო ფლობს ტექნოლოგიურ პატენტს და ამ პატენტის გამოყენების უფლება (ლიცენზია) გადასცა სხვებს, საგარეო ბაზარზე გამოსაყენებლად, რომლის სანაცვლოდ იღებს გარკვეულ პროცენტსამონაგებიდან. როგორც ტექნოლოგიური პატენტი, ასევე შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულება აკმაყოფილებს გუდვილისგან განცალკევებით აღიარების სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს იმ შემთხვევაშიც კი,

თუ პატენტისა და შესაბამისი სალიცენზიო შეთანხმების გაყიდვა ან გაცვლა ერთმანეთისაგან განცალკევებით არ იქნებოდა შესაძლებელი.

სახელშეკრულებო-იურიდიული კრიტერიუმი

არამატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან აღიარდება გუდვილისგან განცალკევებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქტივის გადაცემა ან შექმნილი საწარმოსგან ან სხვა უფლებებისგან/ვალდებულებებისგან გამოცალკევება შეუძლებელია.

ფასს 3-ში არ არის განმარტებული ტერმინი “სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებები” საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების მიზნებისთვის. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი იქნება, თუ მოცემულ დეფინიციასთან დაკავშირებით სტანდარტში განმარტებები გაკეთდება.

თუ სამეურნეო ერთეული თავის კლიენტურასთან ურთიერთობას კონტრაქტის საშუალებით ამყარებს, ამგვარი ურთიერთობები კლიენტურასთან სახელშეკრულებო უფლებებიდან წარმოიშობა. ამიტომ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კლიენტების კონტრაქტები და შესაბამისი ურთიერთობები კლიენტურასთან პასუხობს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონფიდენციალობის ან სხვა სახელშეკრულებო პირობა კრძალავს კონტრაქტის გაყიდვას ან გადაცემას შექმნილი საწარმოსგან განცალკევებით.

ზოგ შემთხვევებში შექმნილი საწარმოს კონტრაქტში აღნიშნულია, რომ უფლება აქტივზე (მაგალითად, ლიცენზიაზე ან ნებართვაზე) არ გადადის სხვა მხარეზე, როდესაც ხდება საწარმოს შექმნა და აღნიშნული აქტივი ასეთ შემთხვევაში უბრუნდება მის თავდაპირველ მფლობელს (იმას, ვინც გადასცა ეს აქტივი სახელშეკრულებო უფლებით შექმნილ საწარმოს). სათავო საწარმომ თავდაპირველ მფლობელთან უნდა გააფორმოს ახალი ხელშეკრულება იმისათვის, რომ შეიძინოს მისგან აქტივით სარგებლობის უფლება. ამრიგად, ასეთ შემთხვევებში სახელშეკრულებო აქტივი არ წარმოადგენს შექმნილი საწარმოს აქტივს, რომელიც უნდა აღიარდეს შექმნის მეთოდის გამოყენებით საწარმოთა გაერთიანებაში.

ასევე, ნებისმიერ მხარეს შესაძლოა ჰქონდეს კონტრაქტის გაუქმების უფლება. ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად ამ კონტრაქტთან დაკავშირებული განცალკევებული არამატერიალური აქტივის აღიარება არ არის შესაძლებელი.

განცალკევების კრიტერიუმი

იმის განსაზღვრა, აკმაყოფილებს თუ არა არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმს, შესაძლოა სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ საწარმომ უნდა დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა აქტივის გამოცალკევება შექმნილი ბიზნესისგან, მიუხედავად მიუხედავად მყიდველის სამომავლო გეგმებისა მოცემულ აქტივთან დაკავშირებით. მაგალითად, ბრენდის გამოყოფა შექმნილი ბიზნესისგან შესაძლებელია. შესაბამისად, ის აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმს, მიუხედავად იმისა, რომ მყიდველი მის გაყიდვას არ აპირებს.

შექმნილი არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმს აკმაყოფილებს, თუ არსებობს ამ ტიპის ან მსგავსი ტიპის აქტივის გაცვლის გარიგების ფაქტი, თუნდაც ასეთი გარიგებები ხშირი არ იყოს და იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა მასში მყიდველი საწარმო. არამატერიალური აქტივი, რომელიც ინდივიდუალურად არ განცალკევდება შექმნილი საწარმოსგან, ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისგან, აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუ შეიძლება მისი განცალკევება შესაბამის ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად. მაგალითად:

- ბაზრის მონაწილეები ცვლიან სადეპოზიტო ვალდებულებებს და შესაბამისი სადეპოზიტო ურთიერთობის არამატერიალურ აქტივებს ბაზარზე დაკვირვებად გაცვლის გარიგებებში. ამიტომ, მიუხედავად საწარმომსადეპოზიტო ურთიერთობის არამატერიალური აქტივები უნდა აღიაროს გუდვილისგან განცალკევებით;
- შექმნილი საწარმო ფლობს რეგისტრირებულ სავაჭრო მარკას და დოკუმენტირებულ, მაგრამ უპატენტო ტექნიკურ ცოდნას, რომელიც

გამოიყენება ამ სავაჭრო მარკის პროდუქციის საწარმოებლად. სავაჭრო მარკაზე საკუთრების გადასაცემად, მესაკუთრემ ასევე უნდა გადასცეს ყველაფერი, რაც ახალ მესაკუთრეს დასჭირდება გარკვეული პროდუქტის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად, რომელიც არ განსხვავდება ყოფილი მესაკუთრის მიერ წარმოებული იმავე პროდუქტისა და მომსახურებისაგან. იმის გამო, რომ უპატენტო ტექნიკური ცოდნა უნდა განცალკევდეს შეძენილი საწარმოსაგან ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისაგან და გაიყიდოს, თუ ეს სავაჭრო მარკა გაიყიდება, იგი აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს.

განვიხილოთ აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ის მაგალითი იდენტიფიცირების კრიტერიუმების გამოყენებასთან დაკავშირებით²²:

- 2016 წლის 31 დეკემბერს მყიდველი იძენს სამიზნე საწარმოს საწარმოთა გაერთიანების შედეგად. სამიზნე საწარმო კლიენტებთან თავის ბიზნესს აწარმოებს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის შეკვეთებით. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის, სამიზნე საწარმოს კლიენტების 60%-ის მიმართ გააჩნია შეუსრულებელი შეკვეთების დავალიანება. ყველა მათგანი არის მუდმივი კლიენტი. სამიზნე საწარმოს კლიენტთა დანარჩენი 40% ასევე მუდმივი კლიენტია, თუმცა, 2016 წლის 31 დეკემბრისათვის სამიზნე საწარმოს არ გააჩნია არანაირი ღია (შეუსრულებელი) შეკვეთა ან სხვა კონტრაქტი ამ კლიენტებთან.

ანალიზი

მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს შეკვეთები გაუქმებადი, სამიზნე საწარმოს კლიენტთა 60%-გან მიღებული შესყიდვის შეკვეთები აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს. გარდა ამისა, ვინაიდან სამიზნე საწარმომ კლიენტთა 60 პროცენტთან ურთიერთობა კონტრაქტების საშუალებით დაამყარა, არა მარტო შესყიდვის შეკვეთა, არამედ სამიზნე საწარმოს სამომხმარებლო ურთიერთობებიც აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ

²²Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests (Second Global Edition); 2016წ; გვ. 225

კრიტიკიუმს. რადგან სამიზნე საწარმოს გააჩნია კონტრაქტების დადების პრაქტიკა კლიენტთა დანარჩენ 40 პროცენტთან, მისი ურთიერთობები ამ კლიენტებთანაც ასევე სახელშეკრულებო უფლებებიდან წარმოიშობა და ამიტომ, აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტიკიუმს, თუნდაც სამიზნე საწარმოს 2016 წლის 31 დეკემბრისთვის არ გააჩნდეს კონტრაქტები ამ კლიენტებთან.

ხოლო აუდიტორულ კომპანიას “Deloitte & Touche” მოჰყავს შემდეგი პრაქტიკული მაგალითები არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების კრიტიკიუმების გამოყენებასთან დაკავშირებით²³:

- მყიდველმა საწარმომ შეიძინა საფინანსო დაწესებულება, რომელიც ფლობს დეპოზიტებს თავისი კლიენტების სახელით. სადეპოზიტო ვალდებულებების და შესაბამისი სადეპოზიტო ურთიერთობების გაყიდვაზე არანაირი შეზღუდვა დაწესებული არ არის.

ანალიზი

სადეპოზიტო ვალდებულებების და შესაბამისი დეპოზიტარული ურთიერთობების არამატერიალური აქტივები შესაძლოა გაიცვალოს დაკვირვებადი გაცვლითი ოპერაციების შედეგად. როგორც წესი, სადეპოზიტო ურთიერთობების არამატერიალური აქტივი მიიჩნევა იდენტიფიცირებადად, რადგან განცალკევების კრიტიკიუმი სრულდება სადეპოზიტო ურთიერთობების არამატერიალური აქტივის სადეპოზიტო ვალდებულებასთან ერთად გაყიდვის შედეგად.

- შექმნილი საწარმო (რესტორნების ქსელი) ყიდის თავის საფირმო კერძს, რომელსაც ამზადებს სპეციალური რეცეპტით. შექმნილი საწარმო ფლობს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს, საიდუმლო რეცეპტს და არაპატენტირებულ ტექნიკურ გამოცდილებას, რომელიც გამოიყენება სპეციალური კერძის დასამზადებლად და სარეალიზაციოდ. თუ ხდება სავაჭრო ნიშნის გაყიდვა, გამყიდველმა ასევე უნდა გადასცეს ყველა ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო ნიშანთან, რომელიც მოიცავს საიდუმლო რეცეპტს და არაპატენტირებულ ტექნიკურ გამოცდილებას კერძის მოსამზადებლად.

ანალიზი

²³Deloitte & Touche; Business Combinations and Changes in Ownership Interest; 2008წ.:გვ. 42

მყიდველი საწარმო არამატერიალურ აქტივად აღიარებს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს სახელშეკრულებო იურიდიული კრიტერიუმის დაკმაყოფილებაზე დაყდნობით. შესაბამისი საიდუმლო რეცეპტი და არაპატენტირებული ტექნიკური გამოცდილება ასევე აღიარდება ცალკე არამატერიალურ აქტივებად, რადგან სრულდება განცალკევების კრიტერიუმი. განცალკევების კრიტერიუმი სრულდება, რადგან საიდუმლო რეცეპტი და არაპატენტირებული ტექნიკური ცოდნა შესაძლოა გადაცემულ იქნეს სავაჭრო ნიშანთან ერთად.

ამრიგად, ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” სამეურნეო ერთეულს არ უკრძალავს, რომ მან გუდვილისაგან განცალკევებით, ცალკე აქტივის სახით აღიაროს დამატებითი არამატერიალური აქტივების ჯგუფი, რომელთა საერთო სახელწოდებაა საფირმო ნიშანი, თუ აქტივებს, რომლებიც ქმნიან ამ ჯგუფს, მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადები გააჩნიათ.

ტერმინი “საფირმო ნიშანი” და “საფირმო სახელწოდება”, რომლებიც ხშირად გამოიყენება სავაჭრო ნიშნებისა და სხვა ნიშნების სინონიმად, წარმოადგენს მარკეტინგულ ტერმინს და, როგორც წესი, გამოიყენება დამატებითი აქტივების ჯგუფთან მიმართებაში, როგორცაა სავაჭრო ნიშანი (ან მომსახურების ნიშანი) და მასთან დაკავშირებული სავაჭრო სახელწოდება, ფორმულები, რეცეპტები და ტექნოლოგიური ცოდნა.

3.2 იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების სახეები

საწარმოთა გაერთიანების პროცესში იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები იყოფა რამდენიმე ჯგუფად. ესენია:

- მარკეტინგული არამატერიალური აქტივები;
- კლიენტებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები;
- მხატვრული ღირებულების არამატერიალური აქტივები;
- სახელშეკრულებო არამატერიალური აქტივები;

- ტექნოლოგიასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

მარკეტინგული არამატერიალური აქტივები

მარკეტინგული არამატერიალური აქტივები ძირითადად გამოიყენება პროდუქციის ან მომსახურების მარკეტინგის ან რეკლამირებისათვის. ასეთი ტიპის აქტივები ძირითადად დაცულია კონტრაქტების მეშვეობით და შესაბამისად, აკმაყოფილებენ სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს იდენტიფიცირებად არამატერიალურ აქტივად აღიარებისთვის.

მარკეტინგული არამატერიალური აქტივების მაგალითებია:

კატეგორია	აღიარების საფუძველი
სავაჭრონიშნები/Trademarks, საფირმოსახელწოდებები, მომსახურებისნიშნები, კოლექტიური სავაჭრონიშნები და სერტიფიკაციისნიშნები	სახელშეკრულებო
შეფუთვა/Trade dress (სპეციფიური ფერი, ფორმა ან შეფუთვის დიზაინი)	სახელშეკრულებო
გაზეთის სახელწოდებები/Newspaper Mastheads (სატიტულო მონაცემები)	სახელშეკრულებო
ინტერნეტის ქსელში დომენური სახელი/Internet Domain Names	სახელშეკრულებო
არაკონკურენტული შეთანხმებები/Noncompetition Agreements	სახელშეკრულებო

სავაჭრო ნიშნები არის სიტყვები, სახელწოდებები, სიმბოლოები ან სხვა კომპონენტები, რომლებიც გამოიყენება კომერციულ საქმიანობაში პროდუქციის წარმომავლობის წარმოსახენად და სხვების პროდუქციისგან მის გასამიჯნად. მომსახურების ნიშანი განსაზღვრავს და გამიჯნავს მომსახურების წყაროს და არა პროდუქტისას. კოლექტიური სავაჭრო ნიშანი გამოიყენება ჯგუფის წევრების საქონლისა თუ მომსახურების დასადგენად. სერტიფიკაციის ნიშანი განსაზღვრავს გეოგრაფიულ წარმომავლობას, ან საქონლის ან მომსახურების სხვა პარამეტრებს.

სავაჭრო ნიშნები, სავაჭრო სახელწოდებები, მომსახურების ნიშნები, კოლექტიური სავაჭრო ნიშნები და სერტიფიკაციის ნიშნები შეიძლება დაცული იყოს იურიდიულად, სახელმწიფო უწყებების მიერ რეგისტრაციის გზით, კომერციულ საქმიანობაში ხანგრძლივი გამოყენებით ან სხვა საშუალებებით. თუ იგი იურიდიულად არის დაცული რეგისტრაციის გზით ან სხვა საშუალებით, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი სავაჭრო ნიშანი ან სხვა ნიშანი წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს და პასუხობს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს. მეორე მხრივ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი სავაჭრო ნიშანი ან სხვა ნიშანი შეიძლება აღიარდეს გუდვილისგან განცალკევებით, თუ განცალკევების კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, რაც ჩვეულებრივ ასეც ხდება.

შეფუთვა დაკავშირებულია პროდუქტის სპეციფიურ ფერთან, ფორმასთან ან შეფუთვის დიზაინთან. იმ შემთხვევაში, თუ შეფუთვა დაცულია იურიდიულად, ის აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს. ხოლო, თუ შეფუთვა არ არის დაცული იურიდიულად (არ არის დარეგისტრირებული ოფიციალურად როგორც კომპანიის საკუთრება), მაგრამ არსებობს იგივე ან მსგავსი ტიპის აქტივების გაყიდვის ფაქტები ან თუ შეფუთვა იყიდება შესაბამის აქტივთან კომბინაციაში (მაგალითად, სავაჭრო ნიშანთან ერთად), ამ შემთხვევაში ის დააკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმს.

გაზეთის სახელწოდებები (სატიტულო მონაცემები), როგორც წესი, იურიდიულად დაცულია, ისევე, როგორც სავაჭრო ნიშნები და შესაბამისად, აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ბაზარზე მსგავსი არამატერიალური აქტივების გაცვლის ფაქტები იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განცალკევების კრიტერიუმი.

ინტერნეტის ქსელში დომენური სახელი წარმოადგენს უნიკალურ ანბანურციფრულ სახელს, რომელიც გამოიყენება ცალკეული ციფრული ვებმისამართების დასადგენად. დომენური სახელის რეგისტრაცია ქმნის კავშირს ამ სახელსა და ინტერნეტში აღნიშნულ კომპიუტერს შორის, რეგისტრაციის პერიოდის განმავლობაში. რეგისტრაცია განახლებადია. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი

რეგისტრირებული დომენური სახელი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს.

არაკონკურენტული შეთანხმებები არის იურიდიული კონტრაქტები, რომლებიც კონკრეტულ პიროვნებას ან ბიზნესს უკრძალავენ კომპანიასთან კონკურენციას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გარკვეულ ბაზარზე. შექმნილ საწარმოს, საწარმოთა გაერთიანების მომენტისათვის, შესაძლოა გააჩნდეს ადრე დადებული, ჯერ შეუსრულებელი არაკონკურენტული შეთანხმებები. რადგანაც ასეთი შეთანხმება აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, ის უნდა აღიარდეს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილ არამატერიალურ აქტივად. არაკონკურენტული შეთანხმებების პირობებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ მის რეალურ ღირებულებაზე, მაგრამ არა აღიარებაზე. ასეთი ტიპის შეთანხმებებს, როგორც წესი, გარკვეული ვადა გააჩნიათ, შესაბამისად, აღიარებულ აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს. ამორტიზაციის პერიოდი მოიცავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია იღებს სარგებელს ამ შეთანხმებისგან. მოცემული პერიოდის განსაზღვრა ანალიზს მოითხოვს, უნდა განხილულ იქნეს შეთანხმების ყველა პირობა, ძალაში შესვლის შეზღუდვების ჩათვლით.

საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა შექმნილი საწარმოს ყოფილი თანამშრომლებისთვის გადახდილი შემდგომი ანაზრაურება არაკონკურენტულ გადახდას თუ უბრალოდ დასაქმების შეწყვეტის კომპენსაციაა. ვინაიდან ერთ შემთხვევაში ოპერაცია კვალიფიცირდება საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილ გუდვილისგან განცალკევებულ არამატერიალურ აქტივად, ხოლო მეორე შემთხვევაში ოპერაცია წარმოადგენს გაერთიანების შემდგომი პერიოდის ხარჯს, მიზანშეწონილი იქნება ფასს 3-ში შეტანილ იქნეს დამატებითი მითითებები/კრიტერიუმები იმის თაობაზე, ყოფილი თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები არაკონკურენტულ გადახდებს წარმოედგენს თუ უბრალო კომპენსაციაა. ასეთი კრიტერიუმები შესაძლოა იყოს:

- წარმოადგენს თუ არა ყოფილი თანამშრომლები რაიმე სპეციფიური ხასითის კვალიფიკაციის მქონე პერსონალს, რამაც შესაძლოა კონკურენტი საწარმოები ჩააყენოს უპირეტეს მდგომარეობაში;

- ითვალისწინებს თუ არა კომპანიის შრომითი ხელშეკრულებები დასაქმების შემდგომ კომპენსაციებს;
- აქვს თუ არა ყოფილ თანამშრომელს გავლილი რაიმე სპეციფიური ტრენინგი კომპანიის დაფინანსებით.

კლიენტებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები

კლიენტებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების მაგალითებია:

კატეგორია	აღიარების კრიტერიუმი
კლიენტთა სია / Customer Lists	განცალკევების
შეკვეთა ან (შეკვეთილი) პროდუქციის დაგალიანება / Order or Production Backlog	სახელშეკრულებო
კლიენტების კონტრაქტები და შესაბამისი ურთიერთობები კლიენტურასთან / Customer Contracts and Related Customer Relationships	სახელშეკრულებო
არასახელშეკრულებო ურთიერთობები კლიენტურასთან / Noncontractual Customer Relationships	განცალკევების

ხშირ შემთხვევებში, შეძენილი საწარმოს ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ არამატერიალურ აქტივს (მაგალითად, კლიენტების კონტრაქტები და შესაბამისი ურთიერთობები, კლიენტების სია და პროდუქციის დაგალიანება). ერთსადაიმავე კლიენტთან დაკავშირებული სხვადასხვა არამატერიალური აქტივების ურთიერთკავშირმა შესაძლოა სირთულეები წარმოშვას კლიენტებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების აღიარებასა და შეფასებაში. ასევე, სხვა არამატერიალური აქტივების, მაგალითად, სავაჭრო ნიშნების ან ბრენდების თავისებურებები შესაძლოა, გავლენას ახდენდეს კლიენტებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების შეფასებაზე. დაუშვათ, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად, გუდვილისგან განცალკევებით აღიარა შეძენილი საწარმოს კლიენტთა სია და ურთიერთობები კლიენტურასთან ცალკე არამატერიალურ აქტივებად. არსებობს რისკი იმისა, რომ შეძენილი საწარმოს კლიენტების გარკვეულ კატეგორიას არ ჰქონდეს დადებითი დამოკიდებულება მყიდველი საწარმოს მიმართ და მან არჩიოს მომწოდებლის

შეცვლა. გამომდინარე აქედან, საწარმოთა გაერთიანების მომენტში საკმაოდ რთულია მოვლენების წინასწარ პროგნოზირება, შესაძლოა, რომ კლიენტების სიის, როგორც არამატერიალური აქტივის ღირებულების შეფასებისას, გარკვეული კორექტირებები გახდეს საჭირო, რაც გავლენას მოახდენს კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალურ აქტივზე, რომელიც კავშირშია კლიენტთა სიის არამატერიალურ აქტივთან.

გარდა ამისა, კლიენტთა ჯილდოებმა და ლოიალობის პროგრამებმა შესაძლოა წარმოშვან ურთიერთობა შექმნილ საწარმოსა და მომხმარებლებს შორის. ასეთი პროგრამები კლიენტებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების ღირებულებას ზრდიან. აღნიშნული პროგრამები აკმაყოფილებენ სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, რადგან მხარეები შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე და წარსულში ჰქონდათ სახელშეკრულებო ურთიერთობა. ჯილდოების და ლოიალობის პროგრამებთან დაკავშირებული კლიენტების არამატერიალური აქტივების აღიარებასთან ერთად, სათავო საწარმოს შექმნის თარიღისათვის შესაძლოა დაუდგეს ლოიალობის პროგრამებთან დაკავშირებული ვალდებულებების აღების საკითხიც. ამრიგად, კლიენტების ჯილდოების და ლოიალობის პროგრამების პირობების გათვალისწინებით, მათთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების აღიარების და შეფასების დროს სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

კლიენტების კონტრაქტები და შესაბამისი ურთიერთობები კლიენტურასთან

თუ სამეურნეო ერთეული თავის კლიენტურასთან ურთიერთობას კონტრაქტის მეშვეობით ამყარებს, ამგვარი ურთიერთობები კლიენტურასთან სახელშეკრულებო უფლებებიდან წარმოიშობა. ამიტომ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კლიენტების კონტრაქტები და შესაბამისი ურთიერთობები კლიენტურასთან პასუხობს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს და შეიძლება წარმოადგენდეს ორ განსხვავებულ არამატერიალურ აქტივს. შეიძლება განსხვავებული იყოს მათი სასარგებლო მომსახურების ვადა და ამ ორი აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენების წესი.

სამეურნეო ერთეულსა და მის კლიენტს შორის სამომხმარებლო ურთიერთობები არსებობს, თუ სამეურნეო ერთეულს გააჩნია ინფორმაცია კლიენტის შესახებ და აქვს რეგულარული ურთიერთობა კლიენტთან და კლიენტს გააჩნია

უნარი, პირდაპირი კონტაქტი დაამყაროს სამეურნეო ერთეულთან. სამომხმარებლო ურთიერთობა პასუხობს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს, თუ სამეურნეო ერთეულს გააჩნია კლიენტებთან კონტრაქტების დადების პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კონტრაქტი შექმნის თარიღისათვის. სამომხმარებლო ურთიერთობები ასევე შეიძლება წარმოიშვას კონტრაქტის გარდა სხვა საშუალებებიდანაც, მაგალითად გაყიდვების ან მომსახურების წარმომადგენლებთან რეგულარული ურთიერთობით.

მომხმარებლების თანაკვეთა (Customer Overlap)

მყიდველი საწარმოს კლიენტების ნაწილი შესაძლოა ასევე იყოს შექმნილი საწარმოს კლიენტიც (კლიენტების თანაკვეთა). თუ ასეთი სამომხმარებლო ურთიერთობები აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ან განცალკევების კრიტერიუმებს, კლიენტურასთან ურთიერთობების არამატერიალური აქტივი უნდა აღიარდეს შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ მყიდველ საწარმოსაც შესაძლოა გააჩნდეს ურთიერთობები იმავე მომხმარებლებთან. შექმნილი არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრა დამოკიდებულია რიგ ფაქტებზე და გარემოებებზე. შექმნილ სამომხმარებლო ურთიერთობებს შესაძლოა გააჩნდეს გარკვეული ღირებულება, თუ მყიდველს აქვს მზარდი ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარი, რომელიც კავშირშია მის შესაძლებლობასთან მომხმარებელს მიჰყიდოს ახალი პროდუქტი.

მომხმარებლების თანაკვეთასთან დაკავშირებული სამომხმარებლო ურთიერთობების რეალური ღირებულების დადგენისას გამოიყენება ბაზრის მონაწილეების დაშვებები მათ მიერ მზარდი ფულადი ნაკადების გამომუშავებასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ ბაზრის მონაწილეები არ მოელოან სამომხმარებლო ურთიერთობებიდან (არამატერიალური აქტივისგან) სარგებლის მიღებას, მაშინ მოცემული არამატერიალური აქტივის ღირებულება იქნება ნომინალური ღირებულების ტოლი. მაგრამ, თუ ბაზრის მონაწილეების მოლოდინი შექმნილი სამომხმარებლო ურთიერთობებისგან მაღალია და ისინი ვარაუდობენ ამისგან დამატებითი სარგებლის მიღებას, ასეთ შემთხვევაში, ამ არამატერიალურ აქტივს ექნება მნიშვნელოვანი ღირებულება.

განვიხილოთ აუდიტორული კომპანიების “Price Waterhouse Coopers”-ის და “Deloitte & Touche”-ის პრაქტიკული მაგალითები კლიენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა არამატერიალური აქტივების სახელშეკრულებო-იურიდიული კრიტერიუმების დაკმაყოფილების თაობაზე:

- შექმნილი საწარმო წარმოადგენს დანადგარების და მათი დამხმარე კომპონენტების მწარმოებელს. დანადგარები, რომლებიც წარმოადგენს გაყიდვების დაახლოებით 70%-ს, იყიდება არაგაუქმებადი კონტრაქტების მეშვეობით. ხოლო დამხმარე ნაწილები, რომლებიც გაყიდვების 30%-ს შეადგენს, ასევე იყიდება კონტრაქტების მეშვეობით, მაგრამ კლიენტებს შეუძლიათ მათი მოშლა.

ანალიზი

შექმნილ საწარმოს აქვს დანადგარების და დამხმარე კომპონენტების კონტრაქტების მეშვეობით რეალიზაციის პრაქტიკა. დამხმარე ნაწილების მყიდველების შესაძლებლობა ნებისმიერ დროს მოშალონ დადებული ხელშეკრულება, გავლენას მოახდენს არამატერიალური აქტივის შეფასებაზე და არა მისი სახელშეკრულებო-იურიდიული კრიტერიუმის მეშვეობით აღირების ფაქტზე.

- შექმნილი საწარმო შექმნის თარიღისათვის მოლაპარაკებებს აწარმოებს კლიენტებთან ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ამასთან, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, როგორცაა ფასწარმოქმნა, პროდუქტის სპეციფიკაცია, და სხვა ძირითადი პირობები მხარეების მიერ ჯერ არ არის შეთანხმებული.

ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ მყიდველ საწარმოს შეიძლება ჯერ არგაფორმებული კონტრაქტები გარკვეული ღირებულების მქონედ მიაჩნია, პოტენციური კონტრაქტები კლიენტებთან არ აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, რადგან შექმნის თარიღისათვის არ არსებობს მათთან დაკავშირებული რაიმე

სახელშეკრულებო ან იურიდიული უფლება. პოტენციური კონტრაქტები არც განცალკევების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, რადგან მათი გაყიდვა, გადაცემა ან გაცვლა შეუძლებელია. გამომდინარე აქედან, ამ პოტენციური კონტრაქტების ღირებულება უნდა ჩაირთოს გუდვილში. შეძენის შემდეგ კონტრაქტების სტატუსის ცვლილებები არ გამოიწვევს მათი ღირებულების რეკლასიფიცირებას გუდვილიდან, ცალკე არამატერიალურ აქტივამდე. აღსანიშნავია, რომ მყიდველმა საწარმომ, შეძენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, უნდა შეაფასოს ყველა ფაქტი და გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში, იმისათვის რომ დადგინდეს, უნდა აღიარებულიყო თუ არა შეძენის თარიღისათვის, ცალკე იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივი.

მაგალითში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ თუ არსებობს მოცემული კლიენტებისგან მიღებული შეკვეთის ფორმები, არამატერიალური აქტივი გუდვილისგან განცალკევებით აღიარდებოდა, რადგან შეკვეთის ფორმა აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ მომხმარებლები არ დათანხმდებიან კონტრაქტის გაფორმებას იმის შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდება საწარმოთა გაერთიანების შესახებ.

არასახელშეკრულებო ურთიერთობები კლიენტურასთან

სამომხმარებლო ურთიერთობები, რომლებიც შეძენილ საწარმოს და მის მომხმარებლებს შორის კონტრაქტის მეშვეობით არ წარმოიშობა, არ აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს. მაგრამ, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარემოებას, როდესაც ეს ურთიერთობები შეიძლება გაიყიდოს ან სხვაგვარად გაიცვალოს შეძენილი ბიზნესის გაყიდვის გარეშე. ასეთ დროს დაკმაყოფილდება განცალკევების კრიტერიუმი და შესაბამისად, არასახელშეკრულებო ურთიერთობა აღიარდება არამატერიალურ აქტივად.

არასახელშეკრულებო ურთიერთობები, რომლებიც არ აღიარდება განცალკევებით, მაგალითად, მომხმარებელთა ბაზები, ბაზრის წილები და ა.შ., უნდა აღიარდეს გუდვილის შემადგენელ ნაწილად. კლიენტთა ბაზები არის მომხმარებლების ისეთი ჯგუფი, რომლებიც არ არიან მუდმივი კლიენტები ან მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია (მაგალითად, ადამიანები რომლებიც საგაზეთო სტენდიდან ყიდულობენ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებს ან სწრაფი კვების

ობიექტების მომხმარებლები). ასეთი კლიენტების ერთობლიობა არ აკმაყოფილებს არც სახელშეკრულებო-იურიდიულ და არც განცალკევების კრიტერიუმებს და შესაბამისად, არ აღიარდება არამატერიალურ აქტივად.

კლიენტთა სიები

კლიენტთა სია არის იდენტიფიცირებადი, მუდმივი კლიენტების სია, რომელიც შეიცავს ამ კლიენტების შესახებ ინფორმაციას – დასახელებას და საკონტაქტო ინფორმაციას. კლიენტთა სია ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მონაცემთა ბაზის სახით, რომელშიც შედის კლიენტთა შესახებ სხვა ინფორმაცია, როგორცაა მათი შეკვეთების ისტორია და დემოგრაფიული ინფორმაცია. კლიენტთა სია, როგორც წესი, არ წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან. თუმცა, ის ხშირად იჯარით გაიცემა ან სხვაგვარად იცვლება. ამიტომ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კლიენტთა სია ჩვეულებრივ პასუხობს განცალკევების კრიტერიუმს. შექმნილი კლიენტთა სია განცალკევების კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, თუ კონფიდენციალობის შეთანხმება უკრძალავს შექმნილ საწარმოს თავისი კლიენტების შესახებ ინფორმაციის იჯარით გაცემას ან სხვა ფორმით გაცვლას.

კლიენტთა სიის რეალური ღირებულების სიდიდედა საექსპლუატაციო ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მარტივად შეუძლია სხვა წყაროებს მისი მიღება და დროის პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც კლიენტთა სიას სარგებელი მოაქვს. როგორც წესი, ამ არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება და გამოყენების პერიოდი არ არის დიდი.

შეკვეთა ან პროდუქციის დავალიანება

შეკვეთა ან პროდუქციის დავალიანება წარმოიქმნება ისეთი კონტრაქტებიდან, როგორცაა ყიდვა-გაყიდვის შეკვეთები. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი შეკვეთები ან პროდუქციის დავალიანება აკმაყოფილებს სახელშეკრულებო

იურიდიულ კრიტერიუმს იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაძლებელია ყიდვის ან გაყიდვის შეკვეთების გაუქმება.

კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ის პრაქტიკული მაგალითი²⁴ ეხება არამატერიალური აქტივის აღიარებას შეკვეთების მეშვეობით:

კომპანია Y-მ საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეიძინა კომპანია M, რომელსაც ჰყავს შემდეგი ორი კლიენტი:

- კლიენტი A მუდმივი კლიენტია, რომელიც კომპანია M-გან ყიდულობს საქონელს შეკვეთის ფორმების მეშვეობით და ამასთან, შეძენის თარიღისათვის არსებობს გარკვეული შეუსრულებელი შეკვეთები;
- კლიენტი B ასევე მუდმივი კლიენტია და ის კომპანია M-გან საქონელს იძენს შეკვეთის ფორმების მეშვეობით. თუმცა, შეძენის თარიღისათვის ყველა შეკვეთა კომპანია M-ის მიერ შესრულებულია.

ანალიზი

კომპანია Y აფასებს კლიენტებთან ურთიერთობების სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებიც შესაძლოა გააჩნდეს შეძენილ საწარმოს. შეფასებიდან გამომდინარე, კომპანია Y აღიარებს კლიენტ A და კლიენტ B-სთან დაკავშირებულ არამატერიალურ აქტივს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმზე დაყრდნობით. A-სთან დაკავშირებული კლიენტთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, რადგან შეძენის თარიღისათვის არსებობს შეუსრულებელი შეკვეთები. კომპანია B-სთან დაკავშირებული კლიენტთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივი ასევე აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს იმ მიზეზის გამო, რომ კომპანია M-ს გააჩნია ამ მყიდველთან შესრულებული შეკვეთების ისტორია მიუხედავად იმისა, რომ შეძენის თარიღისათვის არ არსებობს (შეუსრულებელი) შეკვეთის ფორმები.

²⁴Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests (Second Global Edition); 2016 წ.; გვ. 234

ამრიგად, მაგალითიდან გამომდინარე, შექმნილ საწარმოში კლიენტებისგან მიღებული შეკვეთის ფორმების არსებობა საკმარის საფუძველს წარმოადგენს, რომ საწარმოთა გაერთიანებაში სახელშეკრულებო კრიტერიუმზე დაყრდნობით, აღიარდეს კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივი. გარკვეულწილად, ხდება შეკვეთის ფორმის და კონტრაქტის გაიგივება. თუმცა, რამდენად აკმაყოფილებს შეკვეთის ფორმა ხელშეკრულებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, განსჯის საგანია. ამ კუთხით, მიზანშეწონილი იქნება ფასს 15-ის “ამონაგები კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან” (IFRS 15 Revenue from Contracts with Customers) დებულებების გამოყენება, რომლის თანახმადაც საწარმოს, კლიენტებთან დადებული ხელშეკრულება შეუძლია აღიაროს ასეთად იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი:

- ხელშეკრულების მხარეებმა დაამოწმეს კონტრაქტი (წერილობითი, ზეპირი ან ბიზნეს-პრაქტიკაში მიღებული სხვა გზით) და ამით დააფიქსირეს თავიანთი ვალდებულებების შესრულების პირობა;
- საწარმოს შეუძლია საქონლის ან მომსახურების გადაცემასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიცირება;
- საწარმოს შეუძლია გადაცემული საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდის პირობების იდენტიფიცირება;
- კონტრაქტს გააჩნია კომერციული დანიშნულება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მეორე მხარისგან მიიღებს კომპენსაციას მისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ფასს 15-ში კონტრაქტისადმი წაყენებული მოთხოვნების გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოში, კომპანიების მიერ საზოგადოდ გამოყენებული შეკვეთის ფორმები, როგორც წესი, არ შეიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას. თუმცა, იმისათვის, რომ შეკვეთის ფორმები აკმაყოფილებდეს ფასს-ების მიხედვით კონტრაქტის მოთხოვნებს, ნებისმიერ საწარმოს შეუძლია შეკვეთის ფორმაში გაითვალისწინოს ყველა ჩამოთვლილი პირობა, რაც სავსებით შესაძლებელია.

მხატვრული ღირებულების არამატერიალური აქტივები

მხატვრული ღირებულების არამატერიალური აქტივები შემოქმედებითი ხასიათის აქტივებია, რომლებიც დაცულია საავტორო უფლებებით ან სხვა სახელშეკრულებო და იურიდიული საშუალებებით. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი მხატვრული ღირებულების აქტივები იდენტიფიცირებადია, თუ ისინი ისეთი სახელშეკრულებო ან იურიდიული უფლებებიდან წარმოიშობა, როგორიცაა საავტორო უფლება. მფლობელს საავტორო უფლების გადაცემა შეუძლია ან მთლიანად უფლების გადაცემით, ან ნაწილობრივ, სალიცენზიო ხელშეკრულებით. მყიდველს ეს ხელს არ უშლის, რომ აღიაროს საავტორო უფლების არამატერიალური აქტივი და ნებისმიერი მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემა ან სალიცენზიო ხელშეკრულება, როგორც ინდივიდუალური აქტივი, იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნიათ მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადები.

მხატვრული ღირებულების არამატერიალური აქტივების მაგალითებია:

კატეგორია	აღიარების საფუძველი
პიესები, ოპერები და ბალეტი	სახელშეკრულებო
წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და სხვა საბიბლიოთეკონაშრომები	სახელშეკრულებო
მუსიკალური ნაწარმოებები, როგორცაა მუსიკალური კომპოზიციები, ღირიულის იმღერები და სარეკლამო მუსიკა	სახელშეკრულებო
ნახატები და ფოტოები	სახელშეკრულებო
ვიდეო და აუდიოვიზუალური მასალა, მათ შორის ფილმები, მუსიკალური ვიდეოები და სატელევიზიო პროგრამები	სახელშეკრულებო

სახელშეკრულებო არამატერიალური აქტივები

სახელშეკრულებო არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საკონტრაქტო შეთანხმებებიდან წარმოშობილ უფლებებს. მყიდველების კონტრაქტები ასეთი არამატერიალური აქტივების ერთ-ერთი მაგალითია. თუ ამა თუ იმ კონტრაქტის პირობები ხელსაყრელია ბაზარზე დედაბული სხვა ანალოგიური ტიპის კონტრაქტების პირობებთან შედარებით, მაშინ მოცემული უპირატესობა წარმოშობს არამატერიალურ აქტივს. ხოლო, თუ კონტრაქტის პირობები არახელსაყრელია

საბაზრო პირობებთან მიმართებაში, მყიდველი აღიარებს მას როგორც საწარმოთა გაერთიანებაში აღებულ ვალდებულებას.

სახელშეკრულებო არამატერიალური აქტივების მაგალითებია:

კატეგორია	აღიარების საფუძველი
ლიცენზირების, როიალტისა და მორატორიუმის ხელშეკრულებები (Standstill Agreements)	სახელშეკრულებო
სარეკლამო, სამშენებლო, მენეჯმენტის, მომსახურების ან მიწოდების კონტრაქტები	სახელშეკრულებო
იჯარის ხელშეკრულებები	სახელშეკრულებო
მშენებლობის ნებართვა (Construction Permits)	სახელშეკრულებო
ფრანშიზის ხელშეკრულებები	სახელშეკრულებო
საოპერაციო და ტელე-რადიო მაუწყებლობის უფლებები	სახელშეკრულებო
მომსახურებისკონტრაქტები (მაგალითად, იპოთეკურიმომსახურებისკონტრაქტები)	სახელშეკრულებო
შრომითი ხელშეკრულებები	სახელშეკრულებო
საექსპლუატაციო უფლებები (Use Rights), როგორცაა ხის მასალის ჭრა, ბურღვის, წყლით, ჰაერით ²⁵ და მაგისტრალით სარგებლობის უფლება	სახელშეკრულებო

კონტრაქტები ფინანსური აქტივების მომსახურებაზე

კონტრაქტები ფინანსური აქტივების მომსახურებაზე არის სახელშეკრულებო არამატერიალური აქტივის ერთ-ერთი ტიპი. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურება ყველა ფინანსური აქტივისთვისაა დამახასიათებელი, იგი ხდება ინდივიდუალური აქტივი (ან ვალდებულება) ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთის არსებობისას:

- როდესაც მომსახურება ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილია სახელშეკრულებო ფინანსური აქტივიდან, აქტივების გაყიდვის ან სეკურიტიზაციის²⁶ შედეგად, თუმცა მომსახურება შენარჩუნებულია;

²⁵ეს უფლება გამოიყენება უძრავ ქონებაში და გულისხმობს შენობის პერიმეტრის მაღლა არსებული სივრცის გამოყენების უფლებას (Air Rights)

- ინდივიდუალური შესყიდვისა და მომსახურების მიღების შედეგად.

თუ იპოთეკური სესხები, საკრედიტო ბარათების აქტივები ან სხვა ფინანსური აქტივები შექმნილია საწარმოთა გაერთიანებაში მომსახურების შენარჩუნებით, განუყოფელი მომსახურების უფლებები არ წარმოადგენს ინდივიდუალურ არამატერიალურ აქტივს, რადგან ამ მომსახურების უფლებების რეალური ღირებულება შესულია შექმნილი ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებაში.

შრომითი ხელშეკრულებები

შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც დამქირავებლის პოზიციიდან ხელსაყრელ კონტრაქტს წარმოადგენს, იმის გამო, რომ ამ კონტრაქტების ფასწარმოქმნა ხელსაყრელია საბაზრო პირობებთან მიმართებით, წარმოადგენს სახელშეკრულებო არამატერიალური აქტივის ერთ-ერთ ტიპს. თუმცა, პრაქტიკაში შრომითი ხელშეკრულების არამატერიალური აქტივების აღიარება იშვიათად ხდება. დამსაქმებელთან შრომითი ხელშეკრულებების დადება ნებაყოფლობითია და ხშირ შემთხვევებში თანამშრომლებს საშუალება აქვთ გაწყვიტონ ეს ხელშეკრულებები. გარდა ამისა, კონკრეტული თანამშრომლებისთვის გადახდილი საბაზრო ანაზღაურების დასაბუთების სირთულემ შესაძლოა შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების შეფასებაში პრობლემები წარმოშვას. გამონაკლისს წარმოადგენს სპორტული გუნდის შექმნა. სპორტსმენების შრომითი ხელშეკრულებებიდან სავსებით შესაძლებელია წარმოიშვას არამატერიალური აქტივები ან ვალდებულებები. მათ ხშირად უწევთ ასპარეზობა გარკვეული შეზღუდვების ფონზე, მაგალითად, არ შეუძლიათ თავისუფლად იმ გუნდის დატოვება, რომელშიც თამაშობენ და სხვა გუნდში გადასვლა.

შექმნილი საწარმოს შრომითი ხელშეკრულებები შესაძლოა ასევე შეიცავდეს მუხლებს, სადაც თანამშრომლებს ეკრძალება კონკურენტ საწარმოებში გადასვლა. საწარმოთა გაერთიანების დროს ასეთი ხელშეკრულებები უნდა შეფასდეს განცალკევებით და აღიარდეს არამატერიალურ აქტივად.

²⁶ ფასიანი ქაღალდების ემისიით ფინანსების მოზიდვა

შრომითი რესურსების ნაკრები (Assembled Workforce) წარმოადგენს შექმნილი საწარმოს დაქირავებულ მომუშავეთა არსებულ გუნდს, ერთობლიობას, რომელიც მყიდველ საწარმოს საშუალებას აძლევს შექმნილი საწარმო ისევე ამუშაოს შექმნის თარიღიდან. მართალია, ინდივიდუალურ დაქირავებულ მომუშავეს შესაძლოა გააჩნდეს შრომითი ხელშეკრულება დამქირავებელთან, მაგრამ დაქირავებულ მომუშავეთა ერთობლიობას, როგორც ასეთს, არ გააჩნია ასეთი შრომითი ხელშეკრულება. გარდა ამისა, კომპლექსური შრომითი რესურსი არ არის განცალკევებადი, არც როგორც ინდივიდუალური დაქირავებული მომუშავეები და არც შესაბამის ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად. შეუძლებელია კომპლექსური შრომითი რესურსის გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა, ან სხვაგვარად გაცვლა ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მყიდველი საწარმოს საქმიანობის ჩაშლა. ამიტომ, კომპლექსური შრომითი რესურსი არ წარმოადგენს იდენტიფიცირებად არამატერიალურ აქტივს და უნდა ჩაირთოს გუდვილში.

საექსპლუატაციო უფლებები

საექსპლუატაციო უფლებებში შედის ხის მასალის ჭრა, ბურღვის, წყლით, ჰაერით²⁷ და მაგისტრალით სარგებლობის უფლება. ზოგიერთი საექსპლუატაციო უფლებები წარმოადგენს სახელშეკრულებო არამატერიალურ აქტივებს, რომელიც გუდვილისაგან განცალკევებით აისახება. დანარჩენ საექსპლუატაციო უფლებებს შეიძლება გააჩნდეს უფრო მატერიალური აქტივების მახასიათებლები, ვიდრე არამატერიალურის. მყიდველმა საწარმომ საექსპლუატაციო უფლებები უნდა ასახოს მათი ბუნებიდან გამომდინარე.

ხელსაყრელი და არახელსაყრელი კონტრაქტები

გარკვეული ტიპის კონტრაქტებზე (მაგალითად საიჯარო შეთანხმებაზე), რომელთა პირობები ხელსაყრელია ან არახელსაყრელია საბაზრო პირობებთან მიმართებაში, შესაძლოა აღიარდეს არამატერიალური აქტივი ან ვალდებულება. ამ შეფასების განხორციელებისას მყიდველმა საწარმომ უნდა შეადაროს სახელშეკრულებო ფასები საბაზრო ფასებს შექმნის თარიღისათვის. იმ შემთხვევაში,

²⁷ეს უფლება გამოიყენება უძრავ ქონებაში და გულისხმობს შენობის პერიმეტრის მაღლა არსებული სივრცის გამოყენების უფლებას (Air Rights)

თუ შექმნილი კონტრაქტის პირობები ხელსაყრელია საბაზრო ფასებთან შედარებით, უნდა აღიარდეს არამატერიალური აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აღიარდება ვალდებულება.

ხელსაყრელი და არახელსაყრელი კონტრაქტების შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელშეკრულების განახლების ან გახანგრძლივების შესაძლებლობას. ამ კუთხით განსახილველია შემდეგი ფაქტორები:

- საჭიროებს თუ არა შექმნილი საწარმოს მიერ ხელშეკრულების განახლება ან გახანგრძლივება შეთანხმებას მეორე მხარესთან და აკონტროლებს თუ არა შექმნილი საწარმო ამ ინიციატივას. კონტრაქტის განახლების ან გახანგრძლივების პირობა, რომელიც შექმნილი საწარმოს კონტროლს ექვემდებარება, მყიდველი საწარმოს მიერ განიხილება ხელსაყრელ კონტრაქტად;
- მოაქვს თუ არა ეკონომიკური სარგებელი განახლების უფლების მქონე მხარისთვის კონტრაქტის განახლებას ან გახანგრძლივებას. განახლების უფლების მქონე მხარე - მნიშვნელობა არა აქვს ეს შექმნილი საწარმო თუ მეორე მხარე – აშკარაა, რომ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. მაგალითად, თუ შექმნილი საწარმო წარმოადგენს მოიჯარე მხარეს ხელსაყრელი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებაში, აშკარაა, რომ მყიდველი საწარმო განიხილავს ამ ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობას და მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, რადგან ეს მისცემს მას შესაძლებლობას მიიღოს სარგებელი ხელსაყრელი ხელშეკრულების პირობებიდან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი საწარმო არის მოიჯარე ხელსაყრელ საიჯარო ხელშეკრულებაში, მყიდველი საწარმო დიდი ალბათობით ივარაუდებს, რომ მოიჯარე (მესამე მხარე) შემდგომში აღარ ისურვებს მისთვის არამომგებიანი კონტრაქტის გაგრძელებას;
- არსებობს თუ არა სხვა ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ხელშეკრულების განახლებას ან გაგრძელებას.

განვიხილოთ აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ის²⁸ პრაქტიკული მაგალითები ხელსაყრელი და არახელსაყრელი კონტრაქტების აღიარებასა და შეფასებაზე:

- კომპანია N იძენს კომპანია O-ს საწარმოთა გაერთიანების შედეგად. კომპანია O ელექტროენერჯიას ყიდულობს შესყიდვის კონტრაქტის მეშვეობით, რომელიც სამი წელია, რაც მოქმედებს. კონტრაქტის მთლიანი ვადაა ხუთი წელი. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, კომპანია O-ს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, ერთპიროვნულად გააგრძელოს ხელშეკრულება მომდევნო ხუთი წლით. ელექტროენერჯიის წლიური ღირებულება პირველად დადებული კონტრაქტის თანახმად შეადგენს 80 ფულად ერთეულს, ხოლო კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაში – 110 ფულად ერთეულს. შეძენის თარიღისათვის, ელექტროენერჯიის მიმდინარე წლიური საბაზრო ფასი შეადგენს 200 ფულად ერთეულს და კონტრაქტის მოქმედების პერიოდში საბაზრო განაკვეთების ცვლილება მოსალოდნელი არ არის. კომპანია N ამ კონტრაქტს არ აღრიცხავს როგორც წარმოებულ ფასიან ქაღალდს.

ანალიზი

კომპანია O-ს ელექტროენერჯიის შეძენის კონტრაქტი ხელსაყრელია. როგორც თავდაპირველად დადებული კონტრაქტი, ასევე გაგრძელების პირობები საშუალებას აძლევს კომპანია O-ს შეიძინოს ელექტროენერჯია წლიურ საბაზრო ფასზე დაბალ ფასში. შესაბამისად, მყიდველი საწარმო შეძენის თარიღისათვის აღიარებს მომგებიან კონტრაქტთან დაკავშირებულ აქტივს.

- პირობები იგივეა, რაც წინა მაგალითში განსხვავებით იმისგან, რომ მიმდინარე წლიური საბაზრო ფასი ელექტროენერჯიაზე შეადგენს 50 ფულად ერთეულს და თავდაპირველი კონტრაქტის დარჩენილი ვადის და განახლებული კონტრაქტის პერიოდის განმავლობაში საბაზრო ფასების ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

²⁸Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests (Second Global Edition); 2016 წ.; გვ. 238

ანალიზი

კომპანია O-ს შესყიდვის კონტრაქტი არახელსაყრელია. თავდაპირველი კონტრაქტის შემთხვევაშიც და კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაშიც კომპანია გადაიხდის მიმდინარე საბაზრო ფასზე მეტს. მყიდველი საწარმო აღიარებს ვალდებულებას შექენილ კონტრაქტთან დაკავშირებით, დარჩენილი ორი წლის მანძილზე. ხოლო კონტრაქტის გაგრძელებით გათვალისწინებული ხუთწლიანი პერიოდი არახელსაყრელი კონტრაქტის შეფასებისას არ გაითვალისწინება იმ მიზეზით, რომ მყიდველი საწარმო არ გააგრძელებს კონტრაქტს, რადგან ის მისთვის ზარალიანია და ამასთანავე, მას აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე.

ხელსაყრელ ან არახელსაყრელ კონტრაქტთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება მიმდინარე ღირებულების მეთოდს. მაგალითად, დარჩენილი საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო ფასსა და მიმდინარე საბაზრო ფასს შორის სხვაობის (მოსალოდნელი განახლებების ჩათვლით) გამოთვლის შემდეგ ხდება მისი დისკონტირება მიმდინარე ღირებულების მისაღებად. არამატერიალური აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება ამორტიზდება დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში განახლებით გათვალისწინებული პერიოდის ჩათვლით, თუ ეს უფლება გამოყენებადია.

თუ შექენის თარიღისათვის შექენილი საწარმოს ხელშეკრულების ფასი ემთხვევა ამ მომენტისათვის არსებულ საბაზრო ფასებს (At-the-money Contracts), ასეთ შემთხვევაში ამ კონტრაქტს შესაძლებელია მაინც ჰქონდეს ისეთი ღირებულება (უპირატესობა), რომელიც უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ასეთი კონტრაქტისათვის ბაზრის მონაწილეები მზად არიან გადაიხადონ დამატებითი პრემია. შესაბამისად, საწარმოთა გაერთიანების დროს მყიდველ საწარმოს შესაძლოა მოუწიოს არამატერიალური აქტივის აღიარება ისეთ კონტრაქტებზეც, რომელთა ღირებულება ემთხვევა საბაზრო ფასებს. ამის შესაფასებლად მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს შემდეგი ფაქტორები:

- ხელშეკრულების უნიკალურობა ან იშვიათობა;
- ძალისხმევა და ხარჯები, რომელიც გაწია მხარემ კონტრაქტის დასაღებად;
- მომავალში კონტრაქტის ვადის გაგრძელების ან განახლების შესაძლებლობა.

ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობამ შესაძლოა კონტრაქტი გახადოს უფრო ღირებული და იმოქმედოს ბაზრის მონაწილეების სურვილზე გადაიხადონ მასში დამატებითი საფასური (პრემია).

ტექნოლოგიასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები

ტექნოლოგიასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები, როგორც წესი, წარმოადგენს პროდუქციის ან მომსახურების ინოვაციას, მაგრამ ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ელექტრონულად შენახული ინფორმაციის სახით. ტექნოლოგიასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების მაგალითებია:

კატეგორია	აღიარების საფუძველი
დაპატენტებული ტექნოლოგია (Patented Technology)	სახელშეკრულებო
კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და ფოტო-შაბლონური ნამუშევრები (Computer Software and Mask Works)	სახელშეკრულებო
არაპატენტებული ტექნოლოგიები (Unpatented Technology)	არასახელშეკრულებო
მონაცემთა ბაზები, მათ შორის, ძირითად საშუალებებზე საკუთრების უფლებები (Databases, including Title Plants)	არასახელშეკრულებო
კომერციული საიდუმლოებები, როგორცაა საიდუმლო ფორმულები, პროცესები და რეცეპტები (Trade Secrets, such as secret formulas, processes, recipes)	სახელშეკრულებო

კვლევით და განვითარებით საქმიანობაში გამოყენებული არამატერიალური აქტივები

საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი კვლევით და განვითარებით საქმიანობაში გამოყენებული არამატერიალური აქტივები აღიარდება რეალური ღირებულებით და მათი შესრულების მომენტამდე კლასიფიცირდება განუსაზღვრელი ექსპლუატაციის ვადის მქონე აქტივად. შემდგომ პერიოდში, მოცემულ არამატერიალურ აქტივებს უნდა ჩაუტარდეს გაუფასურების ტესტირება.

ფასს 3-ის თანახმად, განვითარების სტადიაზე მყოფ შექმნილ პროექტებზე გაწეული შემდგომი ხარჯები გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის

კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯები ჩამოიწერება მოგება-ზარალში.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და ფოტო-შაბლონური ნამუშევრები

საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და პროგრამული ფორმატები, რომლებიც იურიდიულად დაცულია, როგორცაა პატენტი ან საავტორო უფლება, პასუხობს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, რათა იდენტიფიცირებული იყოს როგორც არამატერიალური აქტივი.

ფოტო-შაბლონური ნამუშევრები წარმოედგენს პროგრამას, რომელიც მუდმივად შენახულია მუდმივი მეხსიერების ჩიპში, როგორც ტრაფარეტული ან ინტეგრირებული დიაგრამის სისტემა (კომპლექტი). ფოტო-შაბლონურ ნამუშევრებს შესაძლოა გააჩნდეთ იურიდიული დაცვა. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი იურიდიულად დაცული ფოტო-შაბლონური ნამუშევრები პასუხობს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, რათა იდენტიფიცირებული იყოს როგორც არამატერიალური აქტივი.

მონაცემთა ბაზები, მათ შორის ძირითად საშუალებებზე საკუთრების უფლებები

მონაცემთა ბაზა წარმოადგენს საინფორმაციო ფონდს, რომელიც ხშირად ელექტრონული ფორმით ინახება (როგორცაა კომპაქტური დისკები ან ფაილები). მონაცემთა ბაზას, რომელიც ორიგინალურ საავტორო ნამუშევრებს მოიცავს, შესაძლოა გააჩნდეს საავტორო უფლების დაცვა. საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით, პასუხობს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს. თუმცა, მონაცემთა ბაზა, ჩვეულებრივ, ისეთ ინფორმაციას მოიცავს, რომელიც შექმნილია სამეურნეო ერთეულის ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად, როგორცაა კლიენტთა სია, ან სპეციალური ინფორმაცია, მაგალითად, სამეცნიერო მონაცემები ან ინფორმაცია კრედიტუნარიანობის შესახებ. პრაქტიკაში შესაძლებელია და ხშირად ასეც ხდება, რომ მონაცემთა ბაზა, რომელიც არაა დაცული საავტორო უფლებით, გაიცვლება, ლიცენზიით ან იჯარით გაიცემა სხვებზე მთლიანად ან ნაწილობრივ. ამიტომ,

მართალია, მონაცემთა ბაზის მომავალი ეკონომიკური სარგებელი იურიდიული უფლებებიდან არ წარმოიქმნება, მაგრამ საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი მონაცემთა ბაზა პასუხობს განცალკევების კრიტერიუმს.

ძირითად საშუალებებზე საკუთრების უფლება წარმოადგენს ყველა იმ ფაქტის ისტორიულ არქივს, რამაც გავლენა იქონია ცალკეულ გეოგრაფიულ ზონაში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ჩამოყალიბებაზე. ძირითადი საშუალებების საკუთრების უფლების აქტივები შეიძლება იყიდონ ან გაყიდონ მთლიანობაში, ან ნაწილობრივ, გაიცვალოს ან ლიცენზიით გაიცეს. ამიტომ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი ძირითადი საშუალებების საკუთრების უფლების აქტივები პასუხობს განცალკევების კრიტერიუმს.

კომერციული საიდუმლოებები, როგორცაა საიდუმლო ფორმულები, პროცესები და რეცეპტები

კომერციული საიდუმლო წარმოადგენს ინფორმაციას, მათ შორის ფორმულას, ნიმუშს, რეცეპტს, პროგრამას, მოწყობილობას, მეთოდს, ტექნიკას ან პროცესს, რომელიც წარმოქმნის დამოუკიდებელ ეკონომიკურ ღირებულებას, ფაქტობრივს ან პოტენციურს ისე, რომ არ არის ზოგადად ცნობილი და წარმოადგენს ძალისხმევის საგანს, რომელიც რაციონალურია ვითარებიდან გამომდინარე, რათა შენარჩუნდეს მისი კონფიდენციალობა.²⁹ თუ საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კომერციული საიდუმლოებებიდან მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი იურიდიულად დაცულია, ეს აქტივი პასუხობს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს. მეორე მხრივ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი კომერციული საიდუმლოება იდენტიფიცირებადია მხოლოდ მაშინ, თუ იგი პასუხობს განცალკევების კრიტერიუმს.

დამატებითი არამატერიალური აქტივები და სხვა არამატერიალური აქტივების დაჯგუფება

ცალკეული არამატერიალური აქტივები ხშირად ერთან ფუნქციონირებენ ან ავსებენ ერთმანეთს. გარკვეულ შემთხვევებში, მყიდველ საწარმოს შესაძლოა სურდეს ამ დამატებითი აქტივების დაჯგუფება მათი თავდაპირველი რეალური ღირებულების შეფასების და გაუფასურების ტესტირების ჩატარების მიზნებისთვის. ასეთი

²⁹მელვინ სიმენსკი და ლანინგ ბრიერი, კომერციულ სამეურნეო ოპერაციებში ინტელექტუალური საკუთრების ახალი როლი (ნიუ-იორკი: ჯონ ვილი და ამპ; სონსი, 1998), გვ.293

არამატერიალური აქტივის მაგალითს წარმოადგენს ბრენდი. აღსანიშნავია, რომ ფასს-ები მხოლოდ გარკვეული არამატერიალური აქტივების დაჯგუფებას უშვებენ.

ბრენდი არის ზოგადი მარკეტინგული ტერმინი, რომელიც მოიცავს ისეთ დამატებით არამატერიალურ აქტივებს, როგორცაა სავაჭრო ნიშანი და მასთან დაკავშირებული სავაჭრო სახელწოდება, ფორმულა, რეცეპტი და ტექნოლოგია. თუ ამ ჯგუფში შემავალი აქტივები აკმაყოფილებენ სტანდარტში მოყვანილ განცალკევების კრიტერიუმს და აქვთ მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადები, მყიდველ საწარმოს არ ეკრძალება მათი ერთიან არამატერიალურ აქტივად აღიარება. ასეთი მიდგომა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების მმართველად. ასეთი არამატერიალური აქტივების მაგალითებია:

- საავტორო უფლების არამატერიალური აქტივი და მასთან დაკავშირებული სალიცენზიო შეთანხმებები;
- ბუნებრივი აირის გაზსადენით მიწოდების შემთხვევაში ტრანზიტული მარშრუტებით სარგებლობის უფლებების სერია;
- სამთავრობო უწყებების მიერ გაცემული ნებართვების ჯგუფი, რომელიც საჭიროა ერთი კონკრეტული აღჭურვილობის, მოწყობილობის ან ლაბორატორიის ფუნქციონირებისათვის.

ამრიგად, იმისათვის რომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მყიდველმა საწარმომ რამოდენიმე შექმნილი არამატერიალური აქტივი გააერთიანოს და ერთ აქტივად აღიაროს (იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს), საჭიროა, რომ ეს არამატერიალური აქტივები ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული ფუნქციურად და ჰქონდეთ მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადები.

არამატერიალური აქტივები, რომელთა გამოყენებასაც მყიდველი საწარმო ან საერთოდ არ აპირებს ან აპირებს ბაზრის მონაწილეებისგან განსხვავებული დანიშნულებით.

სტანდარტებში განმარტებულია, რომ აქტივის რეალურ ღირებულებაზე გაველენას არ ახდენს მყიდველის მიერ მისი მოსალოდნელი გამოყენების გზები.

აქტივის რეალური ღირებულების შეფასებისას სამეურნეო სუბიექტი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მისი მაქსიმალური და საუკეთესო გამოყენებით მისაღებ სავარაუდო სარგებელზე. ნებისმიერ შემთხვევაში, რეალური ღირებულების დადგენა უნდა ეფუძნებოდეს მსჯელობას ბაზრის მონაწილის თვალთახედვიდან და არა მყიდველის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილ არამატერიალურ აქტივს, რომლის აქტიურ გამოყენებასაც მყიდველი საწარმო არ აპირებს და ამის ნაცვლად გეგმავს მის ფლობას იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს სხვა, კონკურენტი საწარმოების მიერ მის გამოყენებას, ეწოდება “თავდაცვითი” არამატერიალური აქტივი (“Defensive Intangible Asset”, “Locked-up Asset”). ასეთი ტიპის აქტივები ხელს უწყობენ შექმნილი საწარმოს მიერ ფლობილი სხვა აქტივებისგან მისაღები ფულადი ნაკადების ზრდას.

განვიხილოთ აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ის³⁰ მიერ მოყვანილი მაგალითები ზემოთ ხსენებული არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით:

- კომპანია A – სამომხმარებლო პროდუქციის მწარმოებელი, იძენს საწარმოს, რომელიც ვაჭრობს პროდუქტით, რომელიც კონკურენციას უწევს A საწარმოს მიერ წარმოებულ ერთ-ერთ პროდუქტს. კომპანია A გეგმავს უახლოესი ექვსი თვის მანძილზე შეწყვიტოს კონკურენტი პროდუქტის ბაზარზე რეალიზაცია, მაგრამ ამავედროულად, ინარჩუნებს სავაჭრო სახელწოდებაზე უფლებას იმისათვის, რომ ის არ გამოიყენონ კონკურენტებმა. ამის შედეგად, კომპანია A-ს მიერ წარმოებულ პროდუქტის რეალიზაციის მოცულობა, როგორც წესი, გაიზრდება.

ანალიზი

ვინაიდან კომპანია A არ აპირებს შექმნილი სავაჭრო სახელწოდების აქტიურ გამოყენებას და მის მიერ ამ არამატერიალური აქტივის ფლობის მოტივია ხელი

³⁰Pricewaterhouse Coopers; Business Combinations and Noncontrolling Interests (Second Global Edition); 2016 წ.; გვ. 250

შეუშალოს კონკურენტებს მის გამოყენებაში, ეს აქტივი აკმაყოფილებს თავდაცვითი არამატერიალური აქტივის (Defensive Intangible Asset) განმარტებას.

- კომპანია A-მ შეიძინა ბიზნესი და შექმნილი აქტივებიდან ერთ-ერთი არის ბილინგის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შექმნილმა საწარმომ თავისი პირადი მოხმარებისთვის შექმნა. შექმნის შემდეგ ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, მყიდველმა საწარმომ განიზრახა ბილინგის სისტემის გამოყენების შეწყვეტა. კომპანია A ასკვნის, რომ ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ ამ სისტემის გამოყენება სხვა აქტივებთან კომბინაციაში ისე, რომ ამან ხელი შეუწყოს მათი ეკონომიკური სარგებლის ზრდას. შესაბამისად, კომპანია A-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბილინგის სისტემის გამოყენების შეწყვეტის შესახებ ნიშნავს, რომ კომპანია A არ გეგმავს მის მაქსიმალურად მომგებიან და საუკეთესო გზით გამოყენებას.

ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია A საწარმოთა გაერთიანებიდან ექვსი თვის შემდეგ აღარ აპირებს ბილინგის სისტემის აქტიურ ფლობას, კომპანია A არ ფლობს სისტემას კონკურენტებისთვის მისი სარგებლობის ხელისშემშლის მიზნით. შესაბამისად, ბილინგის საოპერაციო სისტემა არ აკმაყოფილებს თავდაცვითი არამატერიალური აქტივის განმარტებას.

3.3 არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება

საწარმოთა გაერთიანებებში რეალური ღირებულების შეფასება გამოიყენება შემდეგ პროცესებში:

- შექმნილი იდენტიფიცირებადი მატერიალური და არამატერიალური აქტივების და აღებული ვალდებულებების შეფასება;
- შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის შეფასება;
- გადაცემული კომპენსაციის, მათ შორის პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულების შეფასება;
- გუდვილის გაუფასურების ტესტი;

- შექმნილი საწარმოს “სამეწარმეო სუბიექტის შეფასების” (Business Enterprise Valuation / BEV) ანალიზის განხორციელება, რომელიც არის “მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაციის” (Prospective Financial Information / PFI) ანალიზის ნაწილი.

თავისმხრივ, ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასება” განმარტავს რეალურ ღირებულებას როგორც ფასს, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის ერთ-ერთი რთული პროცესია. ამის ძირითადი მიზეზია მათ შესახებ საიმედო და დაკვირვებადი მონაცემების ნაკლებობა, რადგან არამატერიალური აქტივების უმეტესობა არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. გარდა ამისა, მათი უმეტესობა უნიკალურია და ესეც გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს მათი შეფასებისას. განსაკუთრებით რთულია კლიენტებთან ურთიერთობების და არასახელშეკრულებო არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება. გამომდინარე აქედან, მართებული იქნება, ბასს-ის საბჭომ დაიწყოს პროექტი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების ზემოთ დასახელებული პრობლემური სფეროების დარეგულირების გზების შესამუშავებლად და, ასევე, შეფასების მეთოდების დასახვეწად.

არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასებისას (ისევე, როგორც სხვა შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივების და აღებული ვალდებულებების) ანგარიშვალდებულმა საწარმომ ჩვეულებრივ უნდა გამოიყენოს შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთი:

- შემოსავლების მეთოდი;
- საბაზრო მეთოდი;
- დანახარჯების მეთოდი.

აქტიურ ბაზარზე კოტირებადი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება იდენტური აქტივის კოტირებული ფასი (საბაზრო მეთოდი). იმ არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების

შეფასებისას, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ კოტირდება, გამოიყენება შემოსავლების ან დანახარჯების მეთოდი.

სანამ უშუალოდ არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების მეთოდებზე გადავალთ, განვიხილოთ რამდენიმე მახვენებელი, რომელიც მონაწილეობას იღებს რეალური ღირებულების შეფასებაში:

სამეწარმეო სუბიექტის შეფასება (Business Enterprise Valuation). საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი აქტივების და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებაში საწყის ნაბიჯს, როგორც წესი, წარმოადგენს BEV (Business Enterprise Valuation) ანალიზის განხორციელება და ბაზრის მონაწილეების დაშვების და გადაცემული კომპენსაციის გამოყენებით შიდა უკუგების კოეფიციენტის (Internal Rate of Return / IRR) გამოთვლა. BEV ანალიზი შეფასების საკვანძო ინსტრუმენტია, რომელიც შექმნილი აქტივების და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებული რიგი მახვენებლების გამოთვლაში გამოიყენება, მაგალითად, დისკონტირების განაკვეთების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, სინერგიების და ა.შ.

სამეწარმეო სუბიექტის ღირებულებას (BEV) ხშირად მოიხსენიებენ როგორც “ინვესტირებული კაპიტალის საბაზრო ღირებულებას” ან “საწარმოო ღირებულებას”. ის წარმოადგენს საწარმოს სავალ ვალდებულებების და სააქციო კაპიტალის მფლობელებისთვის ხელმისაწვდომი “თავისუფალი ფულადი ნაკადების” მიმდინარე ღირებულებას. შექმნილი საწარმოს თავისუფალი ფულადი ნაკადები გამოითვლება შემდეგნაირად:

- პროგნოზირებულ წმინდა შემოსავალს ვალის გამოკლებით დამატებული
- საბრუნავი კაპიტალის და კაპიტალური დანახარჯების ცვლილებებით დაკორექტირებული გაუფასურების და ამორტიზაციის ხარჯები.

მფი (მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია/Prospective Financial Information), რომელიც გამოიყენება ბაზრის მონაწილეების დაშვების გამოსახატად, არის ფულადი ნაკადების გამოთვლის წყარო. თავის მხრივ, ფულადი ნაკადები გამოიყენება შექმნილი აქტივების და აღებული ვალდებულებების შესაფასებლად. როგორც უკვე აღინიშნა, მფი უნდა ასახავდეს ბაზრის მონაწილეების დაშვებებს და უნდა

შეიცავდეს მხოლოდ იმ სინერგიებს (საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული უპირატესობები), რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა ბაზრის მონაწილეებისათვის. ამიტომ, მფი ინდა დაკორექტირდეს, რათა გამოირიცხოს სპეციფიური, მხოლოდ კონკრეტული საწარმოსთვის დამახასიათებელი სინერგიები.

შიდა უკუგების განაკვეთი (IRR) არის გადაცემული კომპენსაციიდან და მფი-სგან მიღებული უკუგების განაკვეთი, რომელიც შემდგომ, იდენტიფიცირებადი მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეფასებისას და დისკონტირების განაკვეთების შერჩევისას უნდა შეუდარდეს დარგის დისკონტირების განაკვეთებს. ეს მანვენებელი ათანაბრებს მფი-ს და გადაცემულ კომპენსაციას (იგულისხმება, რომ გადაცემული კომპენსაცია წარმოდგენილია რეალური ღირებულებით და არ შეიცავს სპეციფიურ სინერგიებს). საწარმოს სპეციფიური სინერგიები აისახება გუდვილში და არ აისახება შექმნილი აქტივების და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ფულადი ნაკადების გამოთვლაში.

კონცეპტუალურად, როდესაც მფი შეიცავს მხოლოდ ბაზრის მონაწილეების სინერგიებს და გადაცემულ კომპენსაციაში არ შედის სპეციფიური სინერგიებისთვის გადახდილი თანხები, შიდა უკუგების განაკვეთი (IRR) უნდა იყოს შეთავსებადი დარგის საშუალო შეწონილ კაპიტალის ღირებულებასთან (**Weighted Average Cost of Capital / WACC**). თუ IRR განაკვეთი მნიშვნელოვნად განსხვავდება დარგის WACC-გან, მათ შორის სხვაობის გასაანალიზებლად საჭიროა დამატებითი მსჯელობა. ამ სხვაობის მიზეზები შესაძლოა იყოს ის, რომ საწარმოს სპეციფიური სინერგიები ჩართულია მფი-ში, ასევე მიკერძოება პროგნოზებში. შემდეგ ცხრილში შეჯამებულია კავშირი IRR და WACC განაკვეთებს შორის, სინერგიების არსებობა და მფი-ს მიკერძოებულობის საკითხები:

IRR = WACC	ნიშნავს, რომ მფი მოიცავს ბაზრის მონაწილეების სინერგიებს და გადაცემული კომპენსაცია უდრის შექმნილი საწარმოს რეალურ ღირებულებას
IRR > WACC	<ul style="list-style-type: none"> ▪ მფი შესაძლოა შეიცავდეს საწარმოს სპეციფიურ სინერგიებს ▪ მფი შესაძლოა იყოს მიკერძოებული (შეიცავდეს ოპტიმისტურ გათვლებს)

	<ul style="list-style-type: none"> ▪ გადაცემული კომპენსაცია ნაკლებია შექმნილი საწარმოს რეალურ ღირებულებაზე (პოტენციური ხელსაყრელი შესყიდვა)
IRR < WACC	<ul style="list-style-type: none"> ▪ მფი შესაძლოა არ შეიცავდეს ბაზრის მონაწილეების სინერგიებს ▪ მფი შესაძლოა იყოს მიკერძოებული (გათვლები კონსერვატიულია) ▪ გადაცემული კომპენსაცია შესაძლოა შეიცავდეს საწარმოს სპეციფიურ სინერგიებს ▪ გადაცემული კომპენსაცია მეტია შექმნილი საწარმოს რეალურ ღირებულებაზე

როგორც უკვე აღინიშნა, არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების სამი მეთოდი არსებობს: შემოსავლების მეთოდი; საბაზრო მეთოდი და დანახარჯების მეთოდი. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

შემოსავლების მეთოდი

შემოსავლების მეთოდი არის რეალური ღირებულების შეფასების ტექნიკა, რომელიც გულისხმობს მომავალი ფულადი ნაკადების კონვერტირებას ერთ დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებამდე. არსებობს შემოსავლების მეთოდის გარკვეული სახეები, რომლებიც გამოიყენება უპირატესად არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად. აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers” ყურადღებას ამახვილებს რამოდენიმე ასეთ მეთოდზე:

- **მრავალპერიოდიანი ნამეტი შემოსავლის მეთოდი (Multi-period Excess Earnings Method).** ძირითადად გამოიყენება კლიენტებთან ურთიერთობების და ტექნოლოგიური არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად;
- **როიალტისგან გათავისუფლებული მეთოდი (Relief-from-Royalty Method).** ამ მეთოდით აფასებენ სავაჭრო სახელწოდებების, ბრენდების რეალურ ღირებულებებს;

- **გრინფილდის მეთოდი (Greenfield Method)** – მაუწყებლობის, სათამაშო და სხვა სახის ლიცენზიების რეალური ღირებულების შესაფასებლად;
- **“თან და გარეშე” მეთოდი (With and Without Method).** გამოიყენება არაკონკურენტული შეთანხმებების, კლიენტებთან ურთიერთობების არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასებისთვის.

მრავალპერიოდური ნამეტი შემოსავლების მეთოდი

მრავალპერიოდური ნამეტი შემოსავლების მეთოდი ფართოდ გამოიყენება არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად. ამ მეთოდისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური პრინციპი გამოიხატება შესაფასებელ აქტივზე მისაკუთვნებელი წმინდა შემოსავლების გამოთვლაში. ამ მეთოდში ასევე აქტიურად გამოიყენება ფულადი ნაკადები. კერძოდ, არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება ტოლია დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ამ აქტივზე მიკუთვნებული ნამეტი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების.

შემოსავლების გამოსამუშავებლად არამატერიალური აქტივები ხშირად გამოიყენება სხვა აქტივებთან კომბინაციაში. ამ აქტივებს ეწოდება დამხმარე აქტივები (Contributory Assets), რადგან ისინი ხელს უწყობენ არამატერიალური აქტივის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენებას. კონკრეტული არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭიროა მისი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გამოცალკეება მასთან დაკავშირებული აქტივების პროგნოზირებული ფულადი ნაკადებისგან. ფულადი ნაკადების ოდენობაც და ხანგრძლივობაც განიხილება ბაზრის მონაწილეების პოზიციიდან.

არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება იწყება კონკრეტული აქტივების ჯგუფის მოსალოდნელი წმინდა შემოსავლის დადგენით. შემდეგ, ამ თანხიდან გამოიქვითება დამხმარე აქტივების ხარჯები, რათა მიღებულ იქნეს კონკრეტულ არამატერიალურ აქტივზე მიკუთვნებული ნარჩენი ნამეტი შემოსავალი. დამხმარე აქტივების ხარჯები წარმოადგენს აქტივის ან აქტივთა ჯგუფის გამოყენების დანახარჯებს და უნდა გათვალისწინებულ იქნეს ყველა იმ აქტივზე, გუდვილის გარდა, რომლებიც ხელს უწყობენ ამა თუ იმ არამატერიალური აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებით მიღებული ფულადი

ნაკადების ზრდას. ამის შემდეგ, ხდება ნამეტი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირება. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საგადასახადო შეღავათის წმინდა მიმდინარე ღირებულება ემატება არამატერიალური აქტივის რეალურ ღირებულებას.

დისკონტირების განაკვეთები

დისკონტირების განაკვეთი მრავალპერიოდური ნამეტი შემოსავლების მეთოდის მნიშვნელოვანი ნაწილია. დისკონტირების განაკვეთი უნდა ასახავდეს რისკს, რომელიც პროპორციულია არამატერიალური აქტივების ინდივიდუალური ფულადი ნაკადების დაშვებებისა. ზოგი არამატერიალური აქტივი, როგორცაა პატენტი, შეკვეთის დავალიანება, სავაჭრო ნიშნები, შესაძლოა დაბალ რისკებს ექვემდებარებოდეს, რადგან მათთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები მეტად საიმედოა. თუმცა, არსებობს ისეთი არამატერიალური აქტივები (ტექნოლოგიებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები, კლიენტებთან ურთიერთობები), რომელთა დისკონტირების განაკვეთები მაღალია, რადგან მათი პროგნოზირებული ფულადი ნაკადები შეიცავს მაღალ რისკს და ცვალებადია. ქვემოთ ჩამოთვლილია მაღალი და დაბალი რისკის მქონე არამატერიალური აქტივები:

მაღალრისკიანი არამატეტივები	დაბალრისკიანი არამატეტივები
სავაჭრო საიდუმლოება	პატენტები
ნოუ-ხაუ	სავაჭრო ნიშნები
კლიენტებთან ურთიერთობა	ბრენდი
ტექნოლოგიები	საავტორო უფლებები
გუდვილი	საინფორმაციო ბაზები

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი მატერიალური და არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორ განაკვეთს, ესენია შიდა უკუგების განაკვეთი ანუ IRR განაკვეთი და დარგის საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულება ანუ WACC. მარტივად რომ ვთქვათ, ერთი წარმოადგენს საწარმოს უკუგებას, ხოლო მეორე - დარგში მომუშავე ანალოგიური საწარმოების უკუგების საშუალო განაკვეთს. როდესაც ეს ორი

განაკვეთი ერთმანეთის ტოლია, ეს ნიშნავს, რომ მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია (ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასების ანალიზში და მსჯელობებში) ასახავს ბაზრის მონაწილეების რეალურ მოლოდინს და მიედგევი საწარმოს მიერ შექმნილი საწარმოსთვის გადაცემული კომპენსაცია უდრის შექმნილი საწარმოს რეალურ ღირებულებას. თუმცა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც IRR და WACC ერთმანეთის ტოლი არ არის და ეს ქმნის დამატებითი ანალიზის საჭიროებას, რათა დადგინდეს არამატერიალური აქტივების დისკონტირების განაკვეთი.

თუ IRR-სა და WACC-ს შორის განსხვავების მიზეზია მფი-ში წარმოდგენილი ინფორმაციის მიკერძოებულობა, ასეთ შემთხვევაში უნდა დააკორექტირდეს მფი და შესაბამისად, მის საფუძველზე გამოანგარიშებული ფულადი ნაკადები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დისკონტირების განაკვეთად უნდა გამოყენებულ იქნეს IRR. ხოლო, თუ IRR-სა და WACC-ს შორის განსხვავების მიზეზია გადაცემული კომპენსაცია (ადგილი აქვს ხელსაყრელ შესყიდვას ან მიედგევი გადახდილი აქვს დამატებითი თანხა საწარმოს სპეციფიური სინერგიებისთვის), არამატერიალური აქტივების ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის მიზანშეწონილია WACC-ის გამოყენება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოყვანილია არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასებისას დისკონტირების განაკვეთის შერჩევის წესები:

შექმნილი სიტუაცია	დისკონტირების განაკვეთი
მფი ასახავს ბაზრის მონაწილეების ფულად ნაკადებს და გადაცემული კომპენსაცია არის რეალური ღირებულებით შეფასებული	WACC = IRR = დისკონტირების განაკვეთს
მფი არის ოპტიმისტური ან პესიმისტური, შესაბამისად WACC არ უდრის IRR	დააკორექტირეთ ფულადი ნაკადები, რათა WACC გაუტოლდეს IRR, რაც იქნება დისკონტირების გან.
ადგილი აქვს ხელსაყრელ შესყიდვას	გამოიყენეთ WACC დისკონტირების განაკვეთად
მფი შეიცავს საწარმოს სპეციფიურ სინერგიებს	დააკორექტირეთ მფი და გამოიყენეთ WACC
გადაცემული კომპენსაცია არ არის რეალური	დისკონტირების განაკვეთი არის

ღირებულებით შეფასებული, რადგან შეიცავს სპეციფიურ სინერგიებს, რომლებიც მფი-ში არ არის ჩართული	WACC
--	------

ამრიგად, კონკრეტული არამატერიალური აქტივისთვის გამოსაყენებელი დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის დროს WACC ძირითად და ამოსავალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

როიალტისგან გათავისუფლებული მეთოდი

როიალტისგან გათავისუფლებული მეთოდი გამოიყენება ძირითადად ისეთი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლებიც გადაიცემა ლიცენზიით (სავაჭრონიშნები, პატენტები, ტექნოლოგიები და ა.შ.).

ამ მეთოდის ფუძემდებლური პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ აქტივის ფლობის ნაცვლად, მყიდველ საწარმოს შეუძლია მოიპოვოს შესაბამისი არამატერიალური აქტივით სარგებლობის უფლება მესამე მხარისგან. ამ შემთხვევაში, აქტივის რეალური ღირებულება იქნება არამატერიალური აქტივის ფლობით დაზოგილი როიალტების გადასახადების მიმდინარე ღირებულება. ამ მეთოდის სათანადოდ გამოყენებისთვის აუცილებელია როიალტის განაკვეთის დადგენა, რომელიც ასახავს არამატერიალური აქტივით სარგებლობის ყოვლისმომცველ უფლებას. დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების (ისეთის, როგორც გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული სალიცენზიო შეთანხმებებით გათვალისწინებული როიალტის განაკვეთია) გამოყენება უფრო სასურველია ვიდრე სუბიექტური, სხვა წყაროებიდან (არასაბაზრომონაცემებიდან) მოპოვებული ინფორმაციის.

როიალტის განაკვეთების შერჩევა განსჯას და ანალიზს მოითხოვს, რადგან ბრენდების, სავაჭრო სახელწოდებების და ინტელექტუალური საკუთრების უმეტესობას უნიკალური მახასიათებლები გააჩნია. როიალტის ფაქტობრივი განაკვეთი, რომლის გადახდაც ტექნოლოგიის ან ბრენდის მოხმარების სანაცვლოდ ერთმა მხარემ მეორეს დააკისრა, არის საუკეთესო საფუძველი შესაბამისი როიალტის განაკვეთის დადგენისთვის. როიალტის განაკვეთების შეფასებისთვის ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები,

როგორცაა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული სალიცენზიო შეთანხმებებით გათვალისწინებული როიალტის განაკვეთები. საბაზრო განაკვეთების კორექტირება აუცილებელია შესაფასებელ არამატერიალურ აქტივთან შესადარისობის მიზნით. როიალტის საბაზრო განაკვეთების მიღება შესაძლებელია ინფორმაციის მომწოდებელი მესამე მხარეებისგან და სხვადასხვა პუბლიკაციებიდან.

განვიხილოთ აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers”-ის პრაქტიკული მაგალითი “როიალტისგან გათავისუფლებული მეთოდის” გამოყენებით არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით:

A კომპანია საწარმოთა გაერთიანების შედეგად იქენს B კომპანიის ტექნოლოგიას. საწარმოთა გაერთიანებამდე, ამ ტექნოლოგიებით სარგებლობდა კომპანია X კომპანია B-სგან აღებული ლიცენზიის საფუძველზე და იხდიდა გაყიდვების 5%-ის ოდენობის როიალტს. მოსალოდნელია, რომ კომპანია B-სგან შეძენილი ტექნოლოგია მომდევნო ხუთი წლის მანძილზე გამოიმუშავეს ფულად ნაკადებს.

ანალიზი

კომპანია A-მ დაასკვნა, რომ შეძენილი ტექნოლოგიის რეალური ღირებულების შესაფასებლად “როიალტისგან გათავისუფლებული მეთოდის” გამოყენება ყველაზე შესაფერისი იქნება. ამ მეთოდის თანახმად გააკეთებული ძირითადი დაშვებებია:

შემოსავალი: წარმოადგენს ტექნოლოგიის საშუალებით ხუთი წლის განმავლობაში (არამ.აქტივის შეფასებული ფულადი ნაკადები) მისაღებ პროგნოზირებულ შემოსავალს.

როიალტის განაკვეთი: როიალტის 5%-იანი განაკვეთი ეფუძნება საწარმოთა გაერთიანებამდე კომპანია იქსის მიერ გადახდილ როიალტს და მიჩნეულია, რომ ის წარმოადგენს როიალტის საბაზრო განაკვეთს.

დისკონტირების განაკვეთი: ფულადი ნაკადების შეფარდებითი რისკის და საწარმოს კაპიტალის ღირებულების შეფასების საფუძველზე, 15%-იანი დისკონტირების განაკვეთი მიჩნეულია გონივრულად.

საგადასახადო შეღავათები: წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ამორტიზებით მიღებული საგადასახადო სარგებლის მიმდინარე ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთზე, საგადასახადო განაკვეთზე და 15 წლიანი საგადასახადო ექსპლუატაციის ვადაზე დაყრდნობით, საგადასახადო შეღავათი დადგინდა მიმდინარე ღირებულებების ჯამის 18.5 %-ის ოდენობით.

	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი	მე-5 წელი
შემოსავალი	10 000	8 500	6 500	3 250	1 000
	ფე	ფე	ფე	ფე	ფე
როიალტის განაკვეთი	5.0%	5.0 %	5.0 %	5.0 %	5.0 %
როიალტის დანაზოგი	500 ფე	425 ფე	325 ფე	163 ფე	50 ფე
საგადასახადო განაკვეთი	40%	40%	40%	40%	40%
მინუს საგადასახადო ხარჯი	(200)	(200)	(200)	(200)	(200)
ლოიალტის დანაზოგი გადასახ.გადახდის შემდეგ	300 ფე	255 ფე	195 ფე	98 ფე	30 ფე
დისკონტირების პერიოდი ³¹	0.5	1.5	2.5	3.5	4.5
დისკონტირების განაკვეთი	15%	15%	15%	15%	15%
მიმდინარე ღირებულების ფაქტორი ³²	0.9325	0.8109	0.7051	0.6131	0.5332
როიალტის დანაზოგის მიმდინარე ღირებულება ³³	280 ფე	207 ფე	137 ფე	60 ფე	16 ფე
მიმდინარე ღირებულებების ჯამი	700 ფე				
საგადასახადო ამორტიზაციის შეღავათის ³⁴	129				
რეალური ღირებულება	829 ფე				

³¹ დისკონტირების პერიოდი აღებულია შუაწელიწადში, რადგან ფულადი ნაკადების მიღება ხდება მთელი წლის განმავლობაში და არა წლის ბოლოს

³² გამოითვლება როგორც $1/(1+k)^t$, სადაც k=დისკონტირების განაკვეთს, ხოლო t – დისკონტირების პერიოდს

³³ გამოითვლება როგორც გადასახდის გადახდის შემდგომი როიალტის დანაზოგის ნამრავლი მიმდინარე ღირებულების ფაქტორზე

³⁴ გამოითვლება როგორც მიმდინარე ღირებულებების ჯამის 18.5%

ამ პრაქტიკულ მაგალითში გამოყენებული მიდგომა ასახავს შემოსავლების მეთოდით არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შეფასების საფუძვლებსაც.

გრინფილდის მეთოდი

არამატერიალური აქტივის შეფასება გრინფილდის მეთოდით ხდება მაშინ, როდესაც თავდაპირველად საწარმოს გააჩნია მხოლოდ შესაფასებელი არამატერიალური აქტივი და ის აპირებს ამ აქტივის გამოყენებით საქმიანობის განვითარებას, კომპანიის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, შეფასების ამ მეთოდის გამოყენება უფრო რელევანტურია ისეთი არამატერიალური აქტივებისთვის, რომლებიც იშვიათია ან წარმოადგენს კონკრეტული ბიზნესისთვის ფუძემდებლურ აქტივს მაშინაც კი, თუ ისინი არ გამოიმუშავენ ნამეტ შემოსავლებს. მაგალითად, გრინფილდის მეთოდი ხშირად გამოიყენება სამაუწყებლო ლიცენზიების შესაფასებლად, რომლებიც აუცილებელია მაუწყებლობის ბიზნესისთვის, მაგრამ აუცილებელი არაა, რომ გამოიმუშავენ ნამეტ შემოსავალს. ნამეტი შემოსავლის მოტანა შეუძლია სამაუწყებლო ბადეს ან ტექნოლოგიას.

გრინფილდის მეთოდი გულისხმობს, რომ ბიზნესის ღირებულება შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

- ფუნქციონირებადი საწარმოს ღირებულება;
- ძირითადი არამატერიალური აქტივის ღირებულება (მაგალითად, სამაუწყებლო ლიცენზიის სატელევიზიო ბიზნესში);
- სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ნამეტი შემოსავლის ღირებულება.

ფუნქციონირებადი საწარმოს ღირებულება გულისხმობს ყველა იმ აუცილებელი აქტივის და ვალდებულების ფლობას, რომელთა ერთობლივი გამოყენებაც ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციების განხორციელების საშუალებას იძლევა. გრინფილდის მეთოდის თანახმად, კაპიტალური დანახარჯები და საოპერაციო ხარჯები (ანუ ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო დანახარჯები) უნდა გამოიქვითოს მთლიანი საწარმოს ფულადი ნაკადებიდან. ანალოგიურად, მთლიანი ბიზნესის ფულად ნაკადებს უნდა გამოაკლდეს ყველა არამატერიალური აქტივით მისაღები ფულადი ნაკადები, გარდა ძირითადი

არამატერიალური აქტივისა. ამის შემდეგ, მიიღება ძირითადი არამატერიალური აქტივის ღირებულება.

გრინფილდის მეთოდი მოითხოვს იმის გააზრებას, თუ რა დრო და ინვესტიციაა საჭირო ბიზნესის (კომპანიის) ჩამოსაყალიბებლად, საბაზრო პირობების გათვალისწინებით. აშკარაა, რომ კაპიტალური დანახარჯები დამწყები ბიზნესისთვის გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე უკვე არსებული კომპანიისთვის.

ამრიგად, გრინფილდის მეთოდის მთავარი საბაზისო მონაცემებია დრო და განვითარებისთვის საჭირო საწყისი დანახარჯები და ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი უკუგების საბაზრო განაკვეთი (დისკონტირების განაკვეთი).

“თან და გარეშე” მეთოდი

ამ მეთოდის თანახმად, არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება გამოითვლება როგორც სხვაობა ორ პროგნოზირებულ ფულად ნაკადებს შორის:

- შეფასების თარიღისთვის საწარმოს ყველა აქტივის მიერ გამოიმუშავებული ფულადი ნაკადები;
- შეფასების თარიღისთვის საწარმოს ყველა აქტივის მიერ, გარდა არამატერიალური აქტივებისა, გამოიმუშავებული ფულადი ნაკადები.

მეთოდის ძირითადი კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება არის სხვაობა ჩამოყალიბებულ, ფუნქციონირებად საქმიანობას და ისეთ საქმიანობას შორის, რომელშიც შესაფასებელი არამატერიალური აქტივი უგულებელყოფილია.

საბაზრო მეთოდი

საბაზრო მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი არამატერიალური აქტივების შეფასების დროს, რომლებიც კოტირდება ან შეუძლია კოტირდებოდეს და

რომლის შესახებაც ხელმისაწვდომია საბაზრო მონაცემები. არამატერიალური აქტივები ხშირ შემთხვევაში უნიკალურია და არ კოტირდებიან აქტიურ ბაზარზე. ხოლო იმ გარიგებებზე, რომლებიც იდება ბაზარზე, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია. თუმცა, არსებობს არამატერიალური აქტივების ისეთი სახეობები, რომლებითაც ვაჭრობა შესაძლებელია როგორც ცალკე აქტივებით (მაგალითად, ბრენდები, საკაბელო ტელევიზიებთან, უკაბელო ინტერნეტთან და სატელეფონო სერვისებთან დაკავშირებული ლიცენზიები).

არამატერიალური აქტივების შეფასებისას საბაზრო მიდგომის გამოყენების დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ და საკვანძო არაფინანსურ საქმიანობის შედეგების ინდიკატორებს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც არაფინანსური საქმიანობის შედეგების მაჩვენებლები (მაგალითად, ინფორმაცია ბაზრის შესახებ, მომსახურების ან პროდუქტის ხარისხის, მომხმარებლების კმაყოფილების დონე და სხვ.) შესაძლოა უფრო რელევანტური იყოს, ვიდრე წმინდა ფინანსური მაჩვენებლები.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გაითვალისწინება რეალური ღირებულების შეფასების საბაზრო მეთოდის გამოყენების დროს, არის ის, რომ აქტივის ფასზე ხშირად გავლენას ახდენს მყიდველების და გამყიდველების მოტივაცია. მაგალითად, აქტივის გასაყიდი ფასი, რომელიც იყიდება საწარმოს ლიკვიდაციის დროს, რეალური ღირებულების დადგენისას არ წარმოადგენს რელევანტურ ინფორმაციას.

საბაზრო მიდგომა, როგორც წესი, არ ითხოვს კორექტირებას საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეული საგადასახადო შედავათებით. საბაზრო მონაცემები, საიდანაც გამომდინარეობს აქტივის ღირებულება, უკვე შეიცავს კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეულ პოტენციურ საგადასახადო სარგებელს. კორექტირება მოითხოვება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაფასებელი აქტივის რეგისტრაციის ადგილი და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ადგილები განსხვავდება და ამასთან, ამ ადგილების საგადასახადო კანონმდებლობაც სხვადასხვაა.

დანახარჯების მეთოდი

დანახარჯების მიდგომა ძირითადად გამოიყენება დანადგარების და აღჭურვილობის შესაფასებლად, მაგრამ ეს მიდგომა ასევე ეფექტურია ისეთი არამატერიალური აქტივების შეფასების დროს, როგორცაა ყოველდღიურად გამოყენებადი, საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფა. თუმცა, ისეთი არამატერიალური აქტივების შეფასებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად აქტივს, დანახარჯების მეთოდი იშვიათად გამოიყენება.

დანახარჯების მიდგომა შესაძლოა ვერ ასახავდეს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მოსალოდნელია მომავალი ფულადი ნაკადებისგან. მაგალითად, კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივის ჩანაცვლებისთვის საჭირო დანახარჯები როგორც წესი, იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე მისგან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადებია. ამის მიზეზია ის, რომ დანახარჯების მიდგომამ შესაძლოა ვერ განსაზღვროს ყველა ის აუცილებელი ხარჯი, რომელიც საჭიროა კლიენტებთან ურთიერთობების აქტივის აღსადგენად განვითარების მაღალ სტადიაზე (Maturity Level) მყოფი აქტივის დონემდე. ასეთი დანახარჯების განსხვავება ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო დანახარჯებისგან, რთულია. ამიტომ, საწარმომ შესაძლოა ჩათვალოს, რომ კონკრეტული დანახარჯი კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივის გაუმჯობესების დანახარჯი კი არა, არამედ ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო, სხვა დანახარჯია და არ გაითვალისწინოს ის დანახარჯების მიდგომით არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებისას.

ბაზრის მონაწილეს შესაძლოა ერჩივნოს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი არამატერიალური აქტივისთვის პრემიის გადახდა, აქტივის შექმნისთვის ან მიღებისთვის ლოდინს. თუ პრემიის სიდიდე მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევაში არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შეფასების დროს გასათვალისწინებელი იქნება ალტერნატიული დანახარჯი (სარგებელი, რომელსაც სუბიექტი მიიღებდა, სხვა ეკონომიკური გადაწყვეტილება რომ მიეღო). ალტერნატიული დანახარჯების გამოყენების ან არგამოყენების საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- აქტივის მიღების ან შექმნის სირთულე;

- აქტივის შექმნისთვის ან მიღებისთვის საჭირო დრო;
- აქტივის იშვიათობა;
- აქტივის შედარებითი მნიშვნელობა ბიზნეს ოპერაციებისთვის.

ამრიგად, არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების სამი მეთოდიდან (რეალური ღირებულების მეთოდი; შემოსავლების მეთოდი; დანახარჯების მეთოდი) რეალური ღირებულების მეთოდი გამოიყენება ისეთი არამატერიალური აქტივების მიმართ, რომლებიც მიმოიქცევა აქტიურ ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი არამატერიალური აქტივები საკმაოდ ცოტაა. ისეთი არამატერიალური აქტივების შესაფასებლად, რომლებიც არ კოტირდება, ძირითადად გამოიყენება შემოსავლების მეთოდი, რადგან ის უფრო ობიექტურად და ზუსტად ასახავს ინფორმაციას არამატერიალური აქტივის ღირებულების შესახებ, ვიდრე დანახარჯების მეთოდი.

თავი IV. საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები საქართველოს მაგალითზე

4.1 BGEO Group-ის მიერ სს “Privat Bank”-ის შექმნა

საქართველოს საწარმოები სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვას და ანგარიშგების მომზადებას ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (IFRS), რაც მათ საქართველოს კანონმდებლობითაც, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონით მოეთხოვებათ.

საქართველოში განხორციელებული საწარმოთა გაერთიანებები აღრიცხება ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” მიხედვით. გლობალიზაციამ და ეკონომიკაში მიმდინარე სხვა პროცესებმა გაართულა საწარმოებს შორის სამეურნეო ურთიერთობები, რაც თავისმხრივ, უფრო კომპლექსურს ხდის ამ ურთიერთობების აღრიცხვასაც. სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებს ექმნებათ პრობლემები ამა თუ იმ საკითხების და სამეურნეო მოვლენების სწორი იდენტიფიცირების, მათი შეფასების დროს.

დღეს საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მიერ მომზადებული და წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება იყოს უტყუარი და აღქმადი მისი მომხმარებელთა ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ინვესტორებისთვის. ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ საქართველოში განხორციელებულ რამდენიმე საწარმოთა გაერთიანებას, გავაანალიზებთ ამ საწარმოთა გაერთიანებების შესახებ შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ინფორმაციას. აგრეთვე, განვიხილავთ შემთხვევების საფუძველზე, შევეცდებით გამოვავლინოთ საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის პრობლემური სფეროები და შევაფასოთ, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს საწარმოების მიერ განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებების შესახებ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” და ფასს 10 “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების” მოთხოვნებს, ასევე რამდენად არის ამ ფასს-ის მოთხოვნების რეალური იმპლემენტაციის საშუალებები.

ზემოთ ხსენებული მიზნებისთვის ჩვენ განვიხილეთ ოთხი ქართული ჰოლდინგური კომპანიის - BGEO Group-ის; TBC Group-ის; ვისოლ ჯგუფის და Georgia Healthcare Group-ის მიერ განხორციელებული მსხვილი შეძენები და ამ შეძენების შესახებ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი ინფორმაცია³⁵.

ამონარიდი BGEO Group-ის 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგებიდან³⁶

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საწარმოთა გაერთიანებები

PrivatBank-ის შეძენა

³⁵ ნაშრომში მოყვანილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ის ამონარიდები, რომლებიც ეხება უშუალოდ კვლევის საგანს, ხოლო სრული ანგარიშგებების ვებ მისამართები მოცემულია გამოყენებულ ლიტერატურაში.

³⁶ ყველა მონაცემი მოცემულია ათას ლარში.

2015 წლის 9 იანვარს, ბანკმა შეიძინა სს PrivatBank-ის (შექნილი საწარმო) 100%-იანი წილი, 94 181 ათასი ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ. სს “PrivatBank” წარმოადგენს CB PrivatBank Ukraine-ის ფილიალს, რომელიც საქართველოში ეწევა საქმიანობას.

შექნის თარიღისათვის, შექნილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები იყო:

	შექნის დროს აღიარებული რეალური ღირებულება (ათასი ლარი)
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები	107 553
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებიდან	26 226
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ³⁷	297 387
მისაღები სადაზღვევო პრემიები	2 069
ინვესტირებადი ქონება	705
ქონება და აღჭურვილობა	20 301
არამატერიალური აქტივები	148
საგადასახადო აქტივი	1 785
სხვა აქტივები	14 515
	470 689
კლიენტების დეპოზიტები	340 284
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	38 620
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	1 991
სხვა ვალდებულებები	6 668
	387 563
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	83 126
საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოშობილი გუდვილი	11 055
გადაცემული კომპენსაცია ³⁸	94 181

შექნის შედეგად მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა შეადგინა:

	2015
გადახდილი ნაღდი ფული	(84 933)
მიღებული ნაღდი ფული, რომელსაც ფლობდა შექნილი საწარმო	107 553

³⁷ კლიენტებზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა შეადგენს 335 008 ათას ლარს, საიდანაც 37 621 ათასი ლარის ოდენობის თანხის ამოღება მოსალოდნელია, რომ ვერ მოხერხდება

³⁸ კომპენსაცია შედგება 94 181 ათასი ლარისგან, საიდანაც 84 933 ათასი წარმოადგენს ნაღდი ფულს და 9 248 ათასი ლარი – პირობით კომპენსაციას

სს “PrivatBank”-ის შექმნით, ჯგუფმა გადაწყვიტა გაზარდოს თავისი წილი საქართველოს საბანკო სექტორის სამომხმარებლო სეგმენტში, რითიც ლიდერის პოზიცია დაიკავა ამ სფეროში. მმართველობას მიაჩნია, რომ გარიგება პოზიტიურ გავლენას იქონიებს ჯგუფის ღირებულებაზე.

2015 წლის 31 მაისისთვის, ანუ ხუთი თვის განმავლობაში შექმნილმა საწარმომ აჩვენა 32 130 ათასი ლარის შემოსავალი და 3 546 ათასი მოგება. იმ შემთხვევაში, თუ შექმნა განხორციელდებოდა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, ანუ 2015 წლის 1 იანვარს, გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მიმდინარე პერიოდის შემოსავალი და მოგება არ იქნებოდა არსებითად განსხვავებული. იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულება შეფასდა როგორც არაარსებითი და შესაბამისად, ჯგუფმა ასეთი აქტივები არ აღიარა. 2015 წლის მაისში ბანკმა დაასრულა შექმნილი საწარმოს ინტეგრაცია. 11 055 ათასი ლარის ოდენობის გუდვილი დაემატა სამომხმარებლო ბანკინგის ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს (Cash Generating Unit), რადგან სს “PrivatBank”-ის ოპერაციები იქცა სს “საქართველოს ბანკის” სამომხმარებლო საბანკო ბიზნესის განუყოფელ ნაწილად.

ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა შექმნის შედეგად გუდვილის აღიარება არის დადებითი სინერგია, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ჯგუფის ოპერაციებიდან. ივარაუდება, რომ გუდვილის მთლიანი თანხა გაიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

საწარმოთა გაერთიანებები და გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებები აღირიცხება შექმნის მეთოდის გამოყენებით. შექმნის ღირებულება განისაზღვრება როგორც ჯამი შექმნის თარიღში განსაზღვრული გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულების და შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილისა. თითოეული საწარმოთა გაერთიანებისთვის, ჯგუფი (BGEO Group) ირჩევს როგორ შეაფასოს არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში – რეალური ღირებულებით თუ შექმნის თარიღისთვის განსაზღვრული

იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით. შექმნის დანახარჯები აღიარდება ხარჯად მიმდინარე პერიოდში და მიეკუთვნება ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

შექმნის განხორციელების შემთხვევაში, ჯგუფი შექმნილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს აფასებს შექმნის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო პირობების, ეკონომიკური გარემოებების და სათანადო ფაქტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოთა გაერთიანება განხორციელდა ეტაპობრივად, ყველა ადრე ფლობილი წილი უნდა გადაფასდეს შექმნის თარიღის რეალურ ღირებულებამდე და გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდეს მოგება/ზარალში. ეს შემდგომში განიხილება გუდვილის განსაზღვრისას.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაცია აღიარდება შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით. პირობითი კომპენსაცია, რომელიც ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” შესაბამისად კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება, ფასდება რეალური ღირებულებით ცვლილებების მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. თუ პირობითი კომპენსაცია არ ექცევა ბასს 39-ის რეგულაციაში, ის ფასდება შესაბამისი ფასს-ის საფუძველზე. წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული პირობითი კომპენსაცია გადაფასებას არ ექვემდებარება და მისი შემდგომი დაფარვა აღირიცხება კაპიტალში.

გუდვილი ფასდება როგორც გადაცემული კომპენსაციის, შექმნილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილის და მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი სააქციო წილის რეალური ღირებულებების ნამეტი შექმნილ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებზე. თუ შექმნილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ჯგუფი ადგენს, რამდენად სწორად მოახდინა შექმნილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების იდენტიფიცირება და ახდენს შექმნის თარიღისათვის აღიარებული თანხების შეფასებაში გამოყენებული პროცედურების გადახედვას. თუ განმეორებითი შეფასების შემდეგაც შენარჩუნდება წმინდა აქტივების გადაცემულ კომპენსაციაზე გადამეტება, ჯგუფი აღიარებს შემოსულობას მოგება/ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გუდვილი ფასდება აღიარებულ თანხას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალის პრინციპით. გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი გუდვილი შექმნის თარიღიდან ნაწილდება ჯგუფის თითოეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (Cash-generating Unit), რომლებიც სავარაუდოა, რომ სარგებელს მიიღებენ საწარმოთა გაერთიანებისგან.

გუდვილი

გუდვილში მომხდარი ცვლილებები 2015 წლის 31 დეკემბრისთვის, 2014 წლის 31 დეკემბრისთვის და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის(ათას ლარში):

	2015	2014	2013
ღირებულება			
1 იანვარი	78 083	77 170	74 107
საწარმოთა გაერთიანებები	23 351	913	3 063
31 დეკემბრისთვის	101 434	78 083	77 170
დაგროვილი გაუფასურება			
1 იანვარი	28 450	28 450	28 450
31 დეკემბრისთვის	28 450	28 450	28 450
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი	49 633	48 720	45 657
31 დეკემბრისთვის	72 984	49 633	48 720

გუდვილის გაუფასურების ტესტი

გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, საწარმოთა გაერთიანებების შედეგად შექმნილი გუდვილი განაწილდა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ექვს ერთეულზე. ესენია: კორპორატიული საბანკო მომსახურება; საცალო საბანკო მომსახურება; ქონების და უბედური შემთხვევების დაზღვევა; ჯანმრთელობის დაზღვევა; ჯანდაცვა; “თავისუფალი მომხმარებელი”.

გუდვილი განაწილდა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე შემდეგნაირად (ათასი ლარი):

	2015	2014	2013
ქონების და უბედური შემთხვევების დაზღვევა	16 139	16 139	16 139

საცალო საბანკო მომსახურება ³⁹	23 488	12 433	12 433
კორპორატიული საბანკო მომსახურება	9 965	9 965	9 965
ჯანდაცვა ⁴⁰	16 491	4 195	3 282
ჯანმრთელობის დაზღვევა	3 462	3 462	3 462
“თავისუფალი მომხმარებელი”	3 439	3 439	3 439
	72 984	49 633	48 720

გამოყენების ღირებულების გამოთვლებში გაკეთებული ძირითადი დაშვებები

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები დადგენილია გამოყენების ღირებულების გამოთვლების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ფულადი ნაკადების პროგნოზებს. ეს პროგნოზები კეთდება მაღალი რგოლის მენეჯერების მიერ დამტკიცებული სამწლიანი ფუნანსური ბიუჯეტების გამოყენებით. დისკონტირების განაკვეთები სამწლიანი პერიოდის მანძილზე არ დაკორექტირებულა მუდმივი ან კლებადი ზრდის განაკვეთით, რომელსაც მოიცავს ფინანსური ბიუჯეტი. გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოყენებულმა მუდმივი ზრდის განაკვეთმა შეადგინა 3%.

კორპორატიული საბანკო მომსახურების და სამომხმარებლო საბანკო მომსახურების ერთეულებისთვის ჯგუფის მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი დისკონტირების განაკვეთები:

	კორპორატიული საბანკო მომსახურება			სამომხმარებლო საბანკო მომსახურება		
	2015	2014	2013	2015	2014	2013
დისკონტირების განაკვეთი	5.8 %	6.2 %	8.5 %	6.7 %	6.5 %	8.5 %

ქონების და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევის და ჯანმრთელობის დაზღვევის ერთეულებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი დისკონტირების განაკვეთები:

³⁹ 2015 წელს გუდვილის 11 055 ლარიანი ზრდა გამოწვეულია სს “პრივატ ბანკის” შექმნით, რომელიც დაემატა საცალო საბანკო მომსახურების ერთეულს. გაუფასურების ტესტმა გამოავლინა, რომ 2015 წლის 31 დეკემბრისთვის გაუფასურებას არ ჰქონია ადგილი

⁴⁰ 2015 წელს გუდვილის 12 296 ლარიანი ზრდა გამოწვეულია ჯანდაცვის ობიექტების შექმნით, რომელიც დაემატა ჯანდაცვის ერთეულს. გაუფასურების ტესტმა გამოავლინა, რომ 2015 წლის 31 დეკემბრისთვის გაუფასურებას არ ჰქონია ადგილი

	ქონების და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა			ჯანმრთელობის დაზღვევა		
	2015	2014	2013	2015	2014	2013
დისკონტირების განაკვეთი	10.4 %	10.9 %	13.3 %	11.2 %	11.3 %	14.5 %

ჯანდაცვის და “თავისუფალი მომხმარებლის” ერთეულებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი დისკონტირების განაკვეთები:

	ჯანდაცვა			“თავისუფალი მომხმარებელი”		
	2015	2014	2013	2015	2014	2013
დისკონტირების განაკვეთი	11.6 %	10.5 %	14.5 %	9.4 %	9.0 %	14.5 %

დისკონტირების განაკვეთები

დისკონტირების განაკვეთები ასახავს მმართველობის მოლოდინებს შემოსავლებთან დაკავშირებით. ეს არის კრიტერიუმი, რომელსაც მენეჯმენტი იყენებს საქმიანობის შედეგების და მომავალი საინვესტიციო გეგმების შესაფასებლად. დისკონტირების განაკვეთები გამოითვლება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მანვენების (WACC) გამოყენებით.

ჯანდაცვის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაკეთდა შემდეგი დამატებითი დაშვებები, რომლებიც მოიცავენ ბიზნეს გეგმის სამწლიან პერიოდს:

- ჯანდაცვის ბიზნესის შემდგომი სინერგიები გაზრდის ხარჯების ეფექტურობას და გააუმჯობესებს საოპერაციო ლევერიჯს;
- ჯანდაცვის ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებების ზრდა მოთხოვნის მატების და ეკონომიკური ზრდის ფონზე.

სამომხმარებლო და კორპორატიული საბანკო მომსახურების ერთეულებისთვის გაკეთდა შემდეგი დამატებითი დაშვებები:

- სესხების და დეპოზიტების სტაბილური ზრდა;
- არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება დანახარჯები/შემოსავლები კოეფიციენტში;

- სავაჭრო ფინანსების სტაბილური ზრდა;
- ექსპრეს ბანკინგის შემდგომი განვითარება, რომელიც სამომხმარებლო საბანკო ბიზნესს მეტ უკუგებას მოუტანს.

გაკეთებული დაშვებების ცვლილებების გაგლენა

მმართველობას სჯერა, რომ თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენაში გამოყენებული დაშვებების საგარაუდო ცვლილებები არ გამოიწვევს გუდვილის გაუფასურებას.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილს უტარდება გაუფასურების ტესტირება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ ადგილი აქვს გაუფასურების ინდიკატორების გამოვლენას.

გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, საწარმოთა გაერთიანების პროცესში შექმნილი გუდვილი ნაწილდება საწარმოს თითოეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ერთეულთა ჯგუფზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებისგან. თითოეული ასეთი ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი, რომლებზეც მიკუთვნებულია გუდვილი:

- წარმოადგენს ჯგუფში ყველაზე დაბალ რგოლს, რომელზეც ხორციელდება მონიტორინგი შიდა მმართველობითი მიზნებისთვის;
- არ არის სეგმენტზე მსხვილი, როგორც ეს დადგენილის ფასს 8 “საოპერაციო სეგმენტებში”.

გაუფასურება დგინდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც ეკუთვნის გუდვილი. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აღიარდება გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ზარალი მომავალ პერიოდებში აღდგენას არ ექვემდებარება.

საქმიანობის შედეგები

პრივატ ბანკის ისტორია: სტრატეგიული შექმნა და უნაკლო ინტეგრირება

2014 წლის დეკემბერში BGEO Group-ის საბჭომ მიიღო პრივატ ბანკის შექმნის გადაწყვეტილება, რადგან ეს თანხვედრაში იყო კომპანიის სტრატეგიულ გეგმასთან – სამომხმარებლო სესხების პორტფელის ზრდასთან. პრივატ ბანკი ძირითადად წარმოადგენდა საკრედიტო ბარათების ბიზნესს და სამომხმარებლო კრედიტები მისი საკრედიტო პორტფელის 85%-ს შეადგენდა. ამასთან ერთად, პრივატბანკის სერვის ცენტრების ფართო ქსელი საქართველოს ბანკს საშუალებას მისცემს განავითაროს ბანკის ექსპრეს ფილიალების ფორმატი. ამ გეგმას ასევე ამყარებდა პრივატ ბანკის ძლიერი საგადახდო პლატფორმა.

2015 წლის იანვარში დასრულდა პრივატ ბანკის შექმნის პროცესი. გადაცემულმა კომპენსაციამ შეადგინა 92 მლნ. ლარი ნაღდი ფული 100%-იანი წილის სანაცვლოდ, საიდანაც 9.2 მლნ. ლარი გადახდილი იქნება შექმნიდან ერთი წლის თავზე (2016 წლის იანვარში), საგარანტიო პირობების თანახმად. შექმნიდან ხუთი თვის განმავლობაში BGEO Group-ის საინტეგრაციო ჯგუფი მუშაობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე, დანახარჯების და ფილიალების რაოდენობის ოპტიმიზაციაზე, პრივატ ბანკის პროდუქტების განვითარებაზე და შესაბამის ტრენინგებზე. კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფმა ორი თვე უკრაინაში, დნეპროპეტროვსკში პრივატ ბანკის სათავე ოფისში გაატარა, რათა გადაეტანა პრივატ ბანკის საინფორმაციო სისტემები სს “საქართველოს ბანკის” საბანკო პროგრამულ უზრუნველყოფაში. ყოველივე ეს გუნდმა მოახერხა ისე, რომ პრივატ ბანკის კლიენტებისთვის სერვისი მხოლოდ 24 საათით იყო მიუწვდომელი. ეს საბანკო სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირების უმოკლესი ვადაა. კლიენტებთან და განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ყველა მონაცემი, მათ შორის 800 ათასი კლიენტის მონაცემები (საიდანაც 400 ათასი არის ბანკის სერვისების აქტიური მომხმარებელი), 1.1 მილიონი ბარათი შესაბამისი ტრანზაქციების ისტორიით, 150 ათასი სესხი და 75 ათასი დეპოზიტი, წარმატებით იქნა გადატანილი ჩვენი ბანკის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემაში.

ამ პერიოდის განმავლობაში, BGEO Group-მა მოახდინა პრივატ ბანკის 35 ფილიალის რებრენდინგი და გადააკეთა ისინი თვითმომსახურების ფორმატის მქონე ექსპრეს ფილიალებად. ასევე, დასრულდა პრივატ ბანკის ერთ-ერთი პროდუქტის - უნივერსალური ბარათის (ბარათი, რომელშიც გაერთიანებული იყო სადებეტო და საკრედიტო ბარათების ფუნქციები) თვისებების გაერთიანება საქართველოს ბანკის ექსპრეს ბარათის თვისებებთან (ბარათის ტრანსპორტში და სავაჭრო ობიექტებში გამოყენება). პრივატ ბანკის კლიენტებს არ ესაჭიროებათ თავიანთი ბარათების შეცვლა საქართველოს ბანკის ბარათებზე, ისინი ძველებურად აგრძელებენ თავიანთი ბარათების გამოყენებას, რომლებსაც ამჟამად ემსახურება სს “საქართველოს ბანკის” ბარათების დამუშავების პლატფორმა. პრივატ ბანკის ფილიალების ოპტიმიზაციისთვის ტარდება საცდელი პროგრამა, რომელიც გულისხმობს პრივატ ბანკის კლიენტების მიერ საქართველოს ბანკის ექსპრეს ფეის ტერმინალების გამოყენებას. შედეგებმა აჩვენეს, რომ თვითმომსახურების ტერმინალებმა, რომლებმაც ჩაანაცვლეს ტრადიციული ფილიალები, საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვეს პრივატ ბანკის კლიენტებს შორის. შესაბამისად, BGEO Group-მა დასურა იმაზე მეტი ფილიალი, ვიდრე თავიდან ივარაუდებოდა – 93-დან 58 ფილიალი – და შეამცირა პრივატ ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა 50%-ით, რამაც მყიდველ კომპანიას საშუალება მისცა მნიშვნელოვნად შეემცირებინა პრივატ ბანკის საოპერაციო დანახარჯები. BGEO Group აღრიცხავდა პრივატ ბანკის ინდივიდუალურ მონაცემებს მის სრულ ინტეგრაციამდე.

2015 წლის მაისში BGEO Group-მა განაცხადა პრივატ ბანკის ინტეგრაციის პროცესის დასრულების შესახებ. ინტეგრაცია მოხდა ხუთი თვის განმავლობაში, რისთვისაც თავდაპირველად ივარაუდებოდა თორმეტთვიანი პერიოდი. ინტეგრაციის ხარჯებმა 2015 წლის 30 ივნისისთვის შეადგინა 2.6 მლნ. ლარი, რაც 0.4 მლნ. ლარით ნაკლებია მოსალოდნელ დანახარჯებზე. BGEO Group ელის წლიური საერთო აღმინისტრაციული და დაფინანსების დანახარჯების 29 მლნ. ლარიან სინერგიას, რაც 4 მლნ.-ით აღემატება პროგნოზირებულ მაჩვენებელს, აგრეთვე საოპერაციო დანახარჯების 18.5 მლნ. ლარიან სინერგიას პროგნოზირებულ 15 მილიონთან შედარებით. პრივატ ბანკმა, რომელიც შექმნის მომენტისთვის, იყო საქართველოში მე-9 ადგილზე აქტივების სიდიდის მიხედვით, გაზარდა მყიდველი კომპანიის ბაზრის წილი სამომხმარებლო სესხებში 4.3%-ით, ხოლო დეპოზიტებში – 2.5%-ით. შექმნამ სს

“საქართველოს ბანკს” მოუტანადამატებით 400 ათასი კლიენტი. იგეგმება ამ მომხმარებლებისთვის გაუმჯობესებული საბანკო პროდუქტების და მომსახურების შეთავაზება.

ანალიზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ამონარიდებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ BGEO Group-ისაწარმოთა გაერთიანებების აღსარიცხავად ხელმძღვანელობს ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” სახელმძღვანელო მითითებებით. აღრიცხვის მეთოდად კომპანია იყენებს ფასს 3-ით დაშვებულ ერთადერთ მეთოდს – შექენის მეთოდს, რაც თავის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაშიც, კერძოდ, სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამების ნაწილშიც დეკლარირებული აქვს. ანგარიშგებაში დაცულია ოთხივე პროცედურა, რასაც სტანდარტის თანახმად შექენის მეთოდი ითვალისწინებს: განმარტებითი შენიშვნების მე-5 პუნქტში, საწარმოთა გაერთიანების ნაწილში დგინდება მყიდველი საწარმო (BGEO Group); შექენის თარიღი (2015 წლის 9 იანვარი); აგრეთვე მოცემულია შექენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებების შექენის თარიღის რეალური ღირებულებები; საწარმოთა გაერთიანების შედეგად აღიარებული გუდვილის თანხა.

ანგარიშგებაში აღწერილია საწარმოთა გაერთიანების ძირითადი მოტივები და ის, თუ როგორ აიღო მყიდველმა საწარმომ კონტროლი შექენილ საწარმოზე, რაც ფასს 3-ის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს.

როგორც ანგარიშგებიდან ირკვევა, შექენილი საწარმოსთვის გადაცემული კომპენსაცია შედგება ნაღდი ფულისგან და პირობითი კომპენსაციისგან, რომელიც ჩართულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა ვალდებულებების მუხლში და განმარტებულია შენიშვნების შესაბამის ნაწილში. პირობითი კომპენსაციისთვის სტანდარტში წაყენებული მოთხოვნები⁴¹ შესრულებულია ნაწილობრივ. კერძოდ, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში განმარტებულია შექენის თარიღისათვის აღიარებული პირობითი კომპენსაციის თანხა, მაგრამ არ არის მოცემული შეთანხმების აღწერა და სტანდარტში მოთხოვნილი, გადასახდელი თანხის დადგენის საფუძველი.

⁴¹IFRS 3 Business Combinations; Disclosures; B64

რაც შეეხება შექნილ მოთხოვნებს, ანგარიშგებაში დაცულია მათ მიმართ ფასს 3-ში დადგენილი მოთხოვნების ძირითადი ნაწილი – მოცემულია მოთხოვნების რეალური ღირებულება; მისაღები საერთო (ბრუტო) სახელშეკრულებო თანხები და შექენის თარიღისთვის განსაზღვრული საუკეთესო შეფასება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, რომელთა ამოღებაც, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება. გარდა ამისა, განმარტებით შენიშვნებში განხილული უნდა იყოს მოთხოვნების ძირითადი კატეგორიები, რაც BGEO Group-ის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გაკეთებული.

გარკვეული გარემოებებია იგნორირებული გუდვილის აღიარების დროს. საქმე ისაა, რომ სტანდარტი მოითხოვს, რომ მყიდველმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახოს ხარისხობრივი შეფასება იმ ფაქტორებისა, რომლებმაც განაპირობეს გუდვილის აღიარება. მაგალითად, შექნილი და მყიდველი საწარმოების გაერთიანებული ოპერაციებიდან მოსალოდნელი სინერგიული ეფექტები, არამატერიალური აქტივები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ცალკე აღიარების კრიტერიუმებს ან სხვა ფაქტორები. კომპანიის ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ: *“ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა შექენის შედეგად გუდვილის აღიარება არის დადებითი სინერგია, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ჯგუფის ოპერაციებიდან”*. კომპანიის ანგარიშგების გაცნობის შემდეგ, ჩვენ ვადგენთ, რომ შექენის შემდეგ აღვილი აქვს არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც მართალია ცალკე იდენტიფიცირების კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა გათვალისწინებულ იქნეს გუდვილის შეფასების დროს და გაშუქდეს განმარტებით შენიშვნებში, რაც კომპანიას არ გაუკეთებია. მაგალითად, BGEO Group-ის სტრატეგიული ანგარიშის ამონარიდში ჩვენ ვკითხულობთ, რომ *მყიდველმა საწარმომ შეინარჩუნა შექენილი საწარმოს თანამშრომლების 50%, რაც ნიშნავს იმას, რომ მყიდველი საწარმო ვაღდებულება გარკვეული ღირებულება მიანიჭოს ამ შრომითი რესურსების ნაკრებს და მიაკუთვნოს ის გუდვილს*. ხოლო ამის შედეგად, სათავო კომპანია ვაღდებულები იქნებოდა ეს არამატერიალური აქტივი ეღიარებინა გუდვილის შემადგენელ ნაწილად, რაც შემდგომში გამოიწვევდა მისი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (რომელიც შემდგომში მონაწილეობას იღებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებაში) განაწილების აუცილებლობას. ამრიგად, აღიარებული გუდვილის ღირებულებას განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოთა გაერთიანებისგან

მოსალოდნელი დადებითი სინერგიები, არამედ არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ცალკე აღიარების კრიტერიუმს.

საკმაოდ პრობლემურ სფეროს წარმოადგენს იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები. ნაშრომის წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ, თუ რა პრობლემებთანაა დაკავშირებული საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების გუდვილისგან განცალკევებით აღიარება, კერძოდ, მოითხოვს დიდ დანახარჯებს და კომპეტენტური გარე შემფასებლების მომსახურებას, ასევე საკმაოდ სუბიექტურია. ეს არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც მსოფლიოში ბევრი კომპანია თავს არიდებს მათ აღიარებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პრობლემა ფიქსირდება BGEO Group-ის შემთხვევაშიც. ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აღნიშნულია: *“იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულება შეფასდა როგორც არაარსებითი და შესაბამისად, ჯგუფმა ასეთი აქტივები არ აღიარა.”* ამ დროს, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში დგინდება რამდენიმე ფაქტი, რომელიც უტყუარად მიგვანიშნებს შექმნილი არამატერიალური აქტივების გუდვილისგან განცალკევებით აღიარების აუცილებლობაზე. მაგალითად, სტრატეგიულ ანგარიშში წერია, რომ *საწარმოთა გაერთიანებამ საქართველოს ბანკს მოუტანა 400 ათასი აქტიური კლიენტი*. ეს ნიშნავს, რომ *უნდა აღიარდეს და შეფასდეს კლიენტთა სია, როგორც არამატერიალური აქტივი*. აგრეთვე, არსებობს ისეთი არამატერიალური აქტივები, რომელთა წარმოშობა და აღიარების აუცილებლობა შექმნის შედეგად გარდაუვალია. ესენია: კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; მონაცემთა ბაზები; სხვადასხვა სახის ტექნოლოგიები. არამატერიალურ აქტივს წარმოშობს ხელშეკრულებებიც, რომლებიც შეიძინა მყიდველმა საწარმომ და რომელთა პირობები მისაღებია საბაზრო პირობებთან მიმართებაში. ამრიგად, საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის სრულყოფისთვის აუცილებელია, რომ საქართველოს ჰოლდინგურმა საწარმოებმა შემოიღონ საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი არამატერიალური აქტივების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების პრაქტიკა, რადგან ეს უზრუნველყოფს საწარმოთა გაერთიანების მოტივების საუკეთესო ასხნას.

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” ავალდებულებს კომპანიებს თავიანთი კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახონ შექმნის

თარიღის შემდეგ შექმნილი საწარმოს მიერ მიღებული ამონაგებისა და მოგების/ზარალის თანხები, რომლებიც ასახულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ასევე აღნიშნულია, რომ თუ ამ ქვეპუნქტში მოთხოვნილი რომელიმე ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლებელია, მყიდველმა საწარმომ უნდა აღნიშნოს ამის შესახებ განმარტებით შენიშვნებში და ახსნას, თუ რატომ არის ამის გაკეთება შეუძლებელი. ვინაიდან საქართველოს ბანკმა არ შეინარჩუნა პრივატ ბანკის სერვის ცენტრები და მოახდინა ყველა ობიექტის რეზიდენდინგი, ის განმარტებით შენიშვნებში ვერ აჩვენებდა შექმნილი საწარმოს მიერ შექმნის თარიღის შემდეგ მიღებულ ამონაგებისა და მოგება/ზარალის თანხებს, მაგრამ სტანდარტის მიხედვით ის ვალდებულია ახსნას მიზეზები, თუ რატომ ვერ აფიქსირებს ამ მაჩვენებლებს, რაც მას არ გაუკეთებია.

რაც შეეხება გუდვილის გაუფასურების ტესტს, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უმეტეს წილად დაცულია ფასს-ების მოთხოვნები და დეტალურად არის ჩამოყალიბებული გუდვილის გაუფასურების ტესტის მნიშვნელოვანი ასპექტები. გაკეთებულია დასკვნა, რომ გუდვილის გაუფასურებას ადგილი არ აქვს. თუმცა, განმარტებით შენიშვნებში არ ჩანს, რამდენია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები, ასევე არ არის მოცემული გამოყენების ღირებულების გამოთვლებში მონაწილე ფულადი ნაკადების პროგნოზირებული მაჩვენებლები.

გუდვილის გაუფასურებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (რომლებზეც ნაწილდება შექმნილი გუდვილის ღირებულება) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მათ საბალანსო ღირებულებებზე. როდესაც ანგარიშგებაში ნაჩვენებია მხოლოდ საბალანსო ღირებულებები და არ არის მოყვანილი ანაზღაურებადი ღირებულებები და გაკეთებულია დასკვნა, რომ გუდვილის გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია, ეს დასკვნა ბადებს ეჭვს მისი უტყუარობის შესახებ.

ამრიგად, BGEO Group-ის მიერ მომზადებულ და წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული საწარმოთა გაერთიანებების შესახებ წარდგენილი ინფორმაცია არის უმეტესწილად სრული და

შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური სფერო, რომელთა სრულყოფა საწარმოთა გაერთიანების შესახებ გაშუქებულ ინფორმაციას უფრო უტყუარს და სამართლიანს გახდის.

4.2 TBC Bank Group-ის მიერ სს “ბანკი კონსტანტას” შექენა

ამონარიდი თიბისი ბანკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2011 წლის 13 მაისს ჯგუფმა (TBC Bank Group) შეიძინა ბანკი “კონსტანტას” სააქციო კაპიტალის 80% და აიღო მასზე კონტროლი, აქციონერთა საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობის მოპოვების გზით. შექენილი საწარმო ჯგუფს მიკრო და მცირე სესხების ბაზარზე შეღწევის და მასშტაბის ეკონომიის გზით მოგებიანობის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

შექენის კომპენსაციის და მისი კომპონენტების რეალური ღირებულება შექენის თარიღისათვის შეადგენს:

ათას ლარებში

გადახდილი ნაღდი ფული	13 602
მთლიანად შექენის კომპენსაცია	13 602

შექენასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ჯგუფის მიერ გადახდილი კომპენსაცია ეფუძნება შექენილი საწარმოს შიდა შეფასებას. თუმცა, ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” თანახმად, ჯგუფი ვალდებულია აღრიცხოს შექენები შექენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით. ამ ორ განსხვავებულ მიდგომას შეუძლია გამოიწვიოს

სხვაობები და როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, გუდვილის აღიარება. შექმნილი აქტივების და ვალდებულებების და წარმოშობილი გუდვილის შესახებ ინფორმაცია არის შემდეგი:

ათას ლარებში	საბალანსო ღირებ. ფასს-ების მიხედვით, შექენამდე	რეალური ღირებულება
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები	13 751	13 751
სესხები და გადახდილის ავანსები	76 106	76 106
სხვა აქტივები	9 253	9 253
მომხმარებლების ანგარიშები	(3 457)	(3 457)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(79 117)	(79 117)
სხვა ვალდებულებები	(496)	(496)
წმინდა აქტივების რეალური ღირებულება		16 040
მინუს არამაკონტროლებელი წილი		(3 207)
შექმნილი წილის რეალური ღირებულება		12 833
შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში		
შექმნის შედეგად წარმოშობილი გუდვილი		769
შექმნის კომპენსაცია მთლიანად		13 602
მინუს შექმნილი, შვილობილი საწარმოს ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები		(13 752)
შექმნის შედეგად ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ექვივალენტების შემოღინება		(150)

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შექმნილი საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილს, რომელიც მიკუთვნებულია არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე.

გუდვილის აღიარება განაპირობა გაერთიანების შედეგად მოსალოდნელმა მნიშვნელოვანმა სინერგიებმა და დანახარჯების შემცირებამ. შექმნის კომპენსაციამ

შეადგინა 13 602 ათასი ლარის ოდენობის ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები.

შექენილი საწარმოს მიერ, შექენის თარიღიდან (2011 წლის მაისიდან) 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიღებულმა შემოსავალმა და მოგებამ შეადგინა 3 074 ათასი ლარი და 2 369 ათასი ლარი შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ შექენა მოხდებოდა 2011 წლის 1 იანვარს, შექენილი საწარმოს მიერ მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავალი შეადგენდა 3 774 ათას ლარს, ხოლო მოგება – 2 807 ათას ლარს.

გუდვილი

განსორციელებული შექენების შედეგად გუდვილში მომხდარი ცვლილებები:

ათას ლარებში	2011	2010	2009
საბალანსო ღირებულება 1 იანვრისთვის	1 262	1 958	2 020
მატება შექენის შედეგად	769	-	-
გუდვილის ზრდა ადრე გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების დეკლასიფიცირების შედეგად	695	-	-
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების მატება (გუდვილის შემცირების გზით)	-	(696)	-
გაუფასურების ზარალი	-	-	(62)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისთვის	2 726	1 262	1 958

გუდვილის გაუფასურების ტესტი

გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს ჯგუფში შემავალ უმცირეს ერთეულს, რომელზეც მენეჯმენტი ანაწილებს გუდვილს და რომელიც არ აღემატება სეგმენტს) შემდეგნაირად:

ათას ლარებში	2011	2010	2009
სს “ბანკი კონსტანტა”	769	-	-
სს “გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია”	695	-	696
შპს “თიბისი კრედიტი”	1 262	1 262	1 262
გუდვილის საბალანსო ღირებულება მთლიანად	2 726	1 262	1 958

თითოეული ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დადგინდა გამოყენების ღირებულების გამოთვლებზე დაყრდნობით. ამისათვის გამოიყენება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი ფინანსური ბიუჯეტები, რომლებიც მოიცავენ ფულადი ნაკადების პროგნოზირებულ მაჩვენებლებს.

საერთო მოგების მარჯა მენეჯმენტმა დაადგინა წინა პერიოდების საქმიანობის შედეგებიდან და ეკონომიკური მოლოდინიდან გამომდინარე. გამოყენებული საშუალო შეწონილი ზრდის განაკვეთები შესაბამისობაშია დარგში დადგენილ პროგნოზებთან. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებულ სპეციფიურ რისკებს.

სს “ბანკი კონსტანტას” დისკონტირებული ფულადი ნაკადების დადგენისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი (გადასახადების გადახდამდე) რომ ყოფილიყო 10%-ით მეტი, ვიდრე მენეჯმენტის შეფასებებია, ჯგუფს გუდვილის საბალანსო ღირებულების შემცირება არ დასჭირდებოდა. სს “ბანკი კონსტანტას” ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას 34 711 ათასი ლარით. ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდება მის გამოყენების ღირებულებას წლიური 18.06% დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში.

სს “გაერთიანებული ფინანსური კორპორაციის” დისკონტირებული ფულადი ნაკადების დადგენისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი რომ ყოფილიყო 10%-ით მეტი, ვიდრე მენეჯმენტის შეფასებებია, ჯგუფს გუდვილის საბალანსო ღირებულების 283 ათასი ლარით შემცირება არ დასჭირდებოდა. ეს გაუფასურება რომ აღიარებულიყო, ჯგუფი ვერ აღადგენდა შემდგომ პერიოდებში გუდვილზე აღიარებულ გაუფასურების ზარალს მაშინაც კი, თუ გარემოებები გაუმჯობესდებოდა. სს “გაერთიანებული ფინანსური კორპორაციის” ფულის

წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე 391 ათასი ლარით (2009 წელს აღიარებული 62 ათასიანი გაუფასურების ზარალი დაკავშირებულია სს “გაერთიანებულ ფინანსურ კორპორაციასთან”). ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდება მის გამოყენების ღირებულებას წლიური 14.01% დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში.

შპს “თიბისი კრედიტის” დისკონტირებული ფულადი ნაკადების დადგენისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი რომ ყოფილიყო 10%-ით მეტი, ვიდრე მენეჯმენტის შეფასებებია, ჯგუფს გუდვილის საბალანსო ღირებულების 1 262 ათასი ლარით და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების 1 642 ათასი ლარით შემცირება არ დასჭირდებოდა. გაუფასურება რომ აღიარებულიყო, ჯგუფი ვერ აღადგენდა შემდგომ პერიოდებში გუდვილზე აღიარებულ გაუფასურების ზარალს მაშინაც კი, თუ გარემოებები გაუმჯობესდებოდა. შპს “თიბისი კრედიტის” ფულის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე 2 671 ათასი ლარით. ერთეულის საბალანსო ღირებულება გაუტოლდება მის გამოყენების ღირებულებას წლიური 10.25% დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში.

ანალიზი

TBC Bank Group საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვისთვის იყენებს ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანებას”. 2011 წელს მან შეიძინა ბანკი “კონსტანტა” და თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა ამ შეძენის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია, როგორც ამას სტანდარტი მოითხოვს. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აჩვენა შეძენილი საწარმოს სახელწოდება (ბანკი “კონსტანტა”); შეძენის თარიღი (2011 წლის 13 მაისი); შეძენილი ხმისუფლებიანი აქციების პროცენტული წილი (80%). თუმცა, განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული შეძენილი საწარმოს დახასიათება, რაც ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” ერთ-ერთი მოთხოვნაა⁴².

⁴²IFRS 3 Business Combinations; Disclosures; B64

გადაცემული კომპენსაციის რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 13 602 ათასი ლარი. სტანდარტი მოითხოვს, რომ განმარტებით შენიშვნებში უნდა იყოს ნაჩვენები კომპენსაციის თითოეული ძირითადი კატეგორიის რეალური ღირებულება. TBC Bank Group-ის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ შექმნილი საწარმოსთვის გადაცემული კომპენსაცია შედგებოდა ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ეკვივალენტებისგან⁴³. თუმცა, შემდგომში არ არის მოცემული ამ ორი კატეგორიის რეალური ღირებულებები ცალ-ცალკე.

კომპანიამ დაიცვა სტანდარტით გათვალისწინებული საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის შექმნის მეთოდის ერთ-ერთი მოთხოვნა და მოახდინა შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების აღიარება და შეფასება მათი რეალური ღირებულებით. შექმნილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და რეალური ღირებულებები ერთმანეთს ემთხვევა, რაც თანამედროვე ეკონომიკის პირობებში საკმაოდ საეჭვოა. შესაძლოა, რომ ამ გზით კომპანიამ თავი აარიდა შექმნილი აქტივების და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებების შეფასებას, რაც შექმნის მეთოდის და ზოგადად, საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი პროცედურაა. შექმნილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება მონაწილეობს გუდვილის და არამაკონტროლებელი წილის (იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი საწარმო მას აფასებს შექმნილი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით) მანუვრებლების გაანგარიშებაში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული მონაცემები იყოს ზუსტი.

რაც შეეხება შექმნილ მოთხოვნებს, ანგარიშგებაში არ არის განხილული მოთხოვნების ძირითადი კატეგორიები ანუ არ არის გაკეთებული დეტალიზაცია, რაც სტანდარტით მოითხოვება. გარდა ამისა, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოახდინოს შექმნის თარიღისთვის განსაზღვრული საუკეთესო შეფასება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, რომელთა ამოღებაც, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ შექმნილი საწარმო წარმოადგენს ბანკს, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება წარმოადგენდა სამომხმარებლო სესხები, საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ საწარმოს ექნებოდა მოთხოვნები,

⁴³ნაღდი ფულის ეკვივალენტებია: სახაზინო ვალდებულებები; საბანკო სერტიფიკატები; საბანკო აქცეპტები; კომერციული ფასიანი ქაღალდები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები

რომელთა ამოღებასაც ის არ ვარაუდობდა. ეს მოთხოვნები შექმნის შემდეგ უნდა შეეფასებინამყიდველ საწარმოს და გაეშუქებინა თავის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” მოითხოვს, რომ საწარმოთა გაერთიანების განმარტებითი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შექმნასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რაც ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ არ არის შესრულებული.

ბანკი კონსტანტას შექმნის შედეგად წარმოშობილმა გუდვილმა შეადგინა 769 ათასი ლარი, რაც მყიდველმა საწარმომ მთლიანად დაამატა სს “ბანკი კონსტანტას” ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს (Cash Generating Unit). როგორც უკვე აღინიშნა, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული არის იდენტიფიცირებადი აქტივების ჯგუფის ყველაზე ქვედა დონე, რომელსაც მოაქვს ფულადი შემოდინებები, რომლებიც არ არის კავშირში სხვა აქტივების ჯგუფის მიერ წარმომქმნილ ფულად ნაკადებთან. განმარტებიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბანკი კონსტანტას, როგორც ერთი მთლიანი ჯგუფის, ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად განხილვა არ არის სწორი, რადგან ბანკს გააჩნია ორი ერთეული (აქტივების ჯგუფი) მაინც, რომლებსაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოაქვთ ფულადი ნაკადები, ესენია სამომხმარებლო და კორპორატიული საბანკო მომსახურებების ერთეულები. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების სწორი დადგენა მნიშვნელოვანია, რადგან მათზე შემდგომში ნაწილდება გუდვილის ღირებულება და ისინი განიხილება გუდვილის გაუფასურების ტესტის დროს.

კომპანიამ დააკმაყოფილა სტანდარტის კრიტერიუმი, სადაც მოითხოვება ხარისხობრივი შეფასება იმ ფაქტორებისა, რომლებმაც განაპირობეს გუდვილის აღიარება. აღნიშნულია, რომ გუდვილის აღიარება განპირობებულია გაერთიანების შედეგად წარმომქმნილი სინერგიებით, და უგულებელყოფილია იმ არამატერიალური აქტივების გავლენა, რომლებიც ცალკე აღიარების კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ და უნდა აღიარდნენ გუდვილთან ერთად. აღნიშნული პრობლემა ასევე გამოიკვეთა წინა მაგალითის დროსაც.

აღსანიშნავია ასევე, რომ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის აღიარებული შექმნილი არამატერიალური აქტივები. ამის მიზეზად ჩვენ მივიჩნევთ მათი აღიარების და შეფასების სირთულეებს.

რაც შეეხება გუდვილის გაუფასურების ტესტს, ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების ნაწილში აღწერილია თითოეული ერთეულის შემთხვევაში, თუ როდის, რა გარემოებების შემთხვევაში მოუწევდა კომპანიას საბალანსო ღირებულების კორექტირება (ანუ გაუფასურების ზარალის დაფიქსირება), ასევე რამდენით აღემატება ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსოს და რა შემთხვევაში გაუტოლდებოდა გამოყენების ღირებულება საბალანსოს. გაუფასურების ტესტის პროცედურები დეტალურად და გამჭვირვალედ არ არის ნაჩვენები, არ ჩანს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები. შესაბამისად, დასკვნა, რომ საანგარიშგებო პერიოდში გუდვილის გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია, საეჭვოა.

ამდენად, კომპანია TBC Bank Group-ის მიერ განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების შესახებ თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია შეესაბამება ფასს-ებს, მაგრამ ანგარიშგებაში უგულებელყოფილია რიგი მოთხოვნები. ასევე გამოიკვეთა რამოდენიმე პრობლემური ასპექტი, რაც საერთოა ქართული ჰოლდინგებისთვის და მათი გათვალისწინება აუცილებელია საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის სრულყოფისთვის.

4.3 Wissol Petroleum Georgia–ს მიერ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს შექმნა

ამონარიდი Wissol Petroleum Georgia Group-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა

2010 წლის 13 ივლისს სს "Wissol Petroleum Georgia"-მ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც შეიძინა საფეხბურთო კლუბ "ქუთაისის ტორპედოს" (შემდგომში კლუბი) 100%-იანი წილი. შექმნის სიმბოლური ფასი შეადგენდა 1 ლარს. სს "Wissol Petroleum Georgia"-მ კლუბში მინიმუმ 7 მლნ. ლარის ან მომდევნო 7 წლის განმავლობაში ყოველ წელს მინიმუმ 1 მლნ. ლარის ინვესტირების ვალდებულება აიღო.

შექმნის თარიღისათვის, კლუბის წმინდა აქტივების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 1 096 ათასი ლარი.

შექმნის თარიღისათვის შექმნილმა აქტივებმა და აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა (ათასი ლარი):

მიწა	339
შენობები	760
კრედიტორული დავალიანება	(3)
	<hr/>
	1096
შექმნილი წმინდა აქტივების პროცენტული წილი	100%
შექმნილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	<hr/>
	1096
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა	1096
გადახდილი კომპენსაცია	-

ვალდებულებები

2010 წელს კომპანიამ საქართველოს მთავრობისგან შეისყიდა საფეხბურთო კლუბ “ქუთაისის ტორპედოს” 100%-იანი წილი. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ კომპანია ვალდებულია შექმნილ საწარმოში ჩადოს 7 მლნ. ლარის ოდენობის ინვესტიცია. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3 მლნ. ლარი კომპანიას ჯერ კიდევ გადასახდელი აქვს. საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის ჯგუფს სხვა არსებითი ვალდებულებები არ გააჩნია.

საწარმოთა გაერთიანებები

საწარმოთა შექმნები აღირიცხება შექმნის მეთოდის გამოყენებით. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაცია ფასდება რეალური ღირებულებით და გამოითვლება როგორც შექმნის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შექმნილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. შექმნის დანახარჯები აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები ფასდება შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით.

საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი გუდვილი აღირიცხება შექმნის თარიღში აღიარებულ თანხას მინუს დაგროვილი გაუფასურების ზარალი, თუ ასეთს ადგილი აქვს.

ანალიზი

სს “Wissol Petroleum Georgia” საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვისთვის იყენებს ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანებას”. მის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ნახვენებია შექმნილი საწარმოს დასახელება, შექმნის თარიღი, შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შექმნის თარიღის რეალური ღირებულებები; შექმნილი საწარმოს წილის პროცენტული მაჩვენებელი.

ხელსაყრელ შესყიდვასთან დაკავშირებით ფასს 3-ის თანახმად, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს ნებისმიერი შემოსულობის თანხა და სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი, რომელშიც ეს შემოსულობა არის აღიარებული და ასევე უნდა აღწეროს ის მიზეზები, რის გამოც გარიგების შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა. ანგარიშვალდებულმა საწარმომ თავის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა ხელსაყრელ შესყიდვასთან დაკავშირებული პირველი მოთხოვნა, ხოლო მეორე – არა (არ მიუთითა მიზეზები, რის გამოც მიღებულ იქნა შემოსულობა). გარდა ამისა, გარიგებიდან ირკვევა, რომ სს “Wissol Petroleum Georgia”-ს, როგორც უკვე აღინიშნა, შექმნილ საწარმოში 7 მლნ. ლარის ინვესტირების ვალდებულება აქვს აღებული. ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარიგება არის ჩვეულებრივი შექმნა და მის შედეგად შემოსულობა არ უნდა აღიარდეს. ფაქტობრივად, აღებული ვალდებულება სათავო კომპანიისთვის, შექმნის კომპენსაციას წარმოადგენს.

სტანდარტში აღნიშნულია, რომ ხელსაყრელი შესყიდვით მიღებული შემოსულობის აღიარებამდე, მყიდველმა საწარმომ ხელახლა უნდა განიხილოს, სწორად განსაზღვრა თუ არა ყველა შექმნილი აქტივი და ყველა აღებული ვალდებულება და უნდა აღიაროს ნებისმიერი დამატებითი აქტივი ან ვალდებულება, რომლებიც ამ შემოწმებისას გამოვლინდა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში არ

არის დაფიქსირებული, რომ კომპანიას ამგვარი ხელახალი გადახედვა ჩატარებული აქვს.

ანგარიშვალდებულ საწარმოს არ აქვს განმარტებული საწარმოთა გაერთიანების ძირითადი მოტივები და არ აქვს აღწერილი, თუ როგორ აიღო მან კონტროლი შექმნილ საწარმოზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მყიდველ კომპანიას მომდევნო 7 წლის განმავლობაში შექმნილ საწარმოში გარკვეული ოდენობის ინვესტიციის ჩადების ვალდებულება აქვს და გაურკვეველია, შეუძლია თუ არა მას განახორციელოს შექმნილ საწარმოზე კონტროლი იმ პერიოდში, როცა აღებული ვალდებულება ჯერ შესრულებული არ აქვს.

გარდა ხელსაყრელ შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და თავისებურებებისა, მოცემული საწარმოთა გაერთიანების შესახებ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის ანალიზისას გამოვლინდა ისეთი ნაკლოვანებები, რასაც ადგილი ჰქონდა წინა განხილულ შემთხვევებშიც, კერძოდ, საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარების საკითხები და შექმნილი მოთხოვნების დეტალიზაციის საკითხი.

4.4 Georgia Healthcare Group–ის მიერ განხორციელებული შექმნები

ამონარიდი Georgia Healthcare Group-ის სტრატეგიული ანგარიშიდან:

2015 წლის აგვისტოში ჩვენ შევისყიდეთ GNCo-ს სააქციო წილის 50% და ავიღეთ მასზე კონტროლი. GNCo კოლდინგური კომპანიაა, რომელიც ფლობს HTMC Hospital-ის სააქციო წილის 100%-ს. ეს არის თბილისში მდებარე, მსხვილი და კეთილმოწყობილი საავადმყოფო, რომელიც არის სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებების უზრუნველმყოფი ერთ-ერთი მსხვილი საავადმყოფო საქართველოში. HTMC-ის შექმნამ გაზარდა ჩვენი ბაზრის წილი 22.1%-დან 26.6%-მდე.

2015 წლის ივნისში ჩვენ შევიძინეთ საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კომპანიის - შპს “დეკას” სააქციო წილის 95%. 2017 წლის მაისში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ მისი დატვირთულობა საწოლების მიხედვით გახდება 310.

2014 წლის 31 დეკემბრიდან დაწყებული, ჩვენი თანამშრომლების რაოდენობა გაიზარდა 1659 დასაქმებულთ, საიდანაც 1165 დაგვემატა 2015 წელს განხორციელებული შექმნების შედეგად.⁴⁴ თანამშრომელთა საერთო რაოდენობამ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 9709.

ამონარიდი Georgia Healthcare Group-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები (ათას ლარებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

საწარმოთა გაერთიანებები

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შექმნები

შპს “დეკა”

2015 წლის 30 ივნისს სამედიცინო კორპორაცია ევექსმა (მყიდველი) - ჯგუფის შვილობილმა კომპანიამ – შეიძინა ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კომპანიის, შპს “დეკას” აქციების 95%.

შექმნილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების პირობითი რეალური ღირებულებები შექმნის თარიღისთვის შეადგენს (ათასი ლარი):

	შექმნის აღიარებული ღირებულებები	თარიღისთვის რეალური
აქტივები		
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები		89
ქონება და აღჭურვილობა		43 814
სხვა აქტივები ⁴⁴		219
სულ აქტივები		44 122

⁴⁴ ჯანდაცვის სერვისებისგან მისაღები დებიტორული დავალიანების რეალური ღირებულება შეადგენს 0 ლარს. დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეადგენს 395 ათას ლარს, რომელიც მთლიანად გაუფასურებულია (ამოღება შეუძლებელია)

ვალდებულებები

სესხები	54
კრედიტორული დავალიანება	1 283
ღარიცხული ხელფასი	135
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	483
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	6 198
სულ ვალდებულებები	8 153
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	35 969
არამაკონტროლებელი წილი	1 768
შექმნის შედეგად წარმოშობილი გუდვილი ⁴⁵	-
გადაცემული კომპენსაცია⁴⁶	28 842

შექმნის შედეგად მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა შეადგინა (ათასი ლარი):

გადახდილი ნაღდი ფული	28 280
მიღებული ნაღდი ფული, რომელსაც ფლობდა შექმნილი საწარმო	(89)
ჭმინდა ფულადი ნაკადები	28 191

ჯგუფმა გადაწყვიტა გაზარდოს თავისი წილი თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე შპს “დეკას” შექმნით. მმართველობა თვლის, რომ გარიგება ჯგუფზე დადებით გავლენას იქონიებს.

შექმნის მომენტიდან, შპს “დეკას” მიერ მიღებულმა შემოსავალმა და მოგებამ შეადგინა 1 089 ათასი და 193 ათასი ლარი შესაბამისად. შექმნილი საწარმოს მთელი წლის შემოსავალმა და მოგებამ შეადგინა 2 289 ათასი და 313 ათასი ლარი შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ შექმნა მოხდებოდა წლის დასაწყისში, ჯგუფი აჩვენებდა 240 265 ათას ლარიან და 23 737 ათას ლარიან შემოსავალს და მოგებას შესაბამისად.

⁴⁵ შექმნამდე, შპს “დეკას” მფლობელებს ჰქონდათ გარკვეული ფინანსური სირთულეები, რამაც განაპირობა დაბალი შექმნის ფასი. შედეგად, მიღებულ იქნა შემოსულობა ხელსაყრელი შესყიდვიდან.

⁴⁶ გადაცემული კომპენსაცია შედგება 28 842 ათასი ლარისგან, საიდანაც 28 280 ათასი ნაღდი ფულია, ხოლო 562 ათასი – რეალური ღირებულებით შეფასებული პირობითი კომპენსაცია

ზემოთ წარმოდგენილი წმინდა აქტივები შეფასებულია პირობითად, შექენის თარიღისთვის არსებული მდგომარეობით. ჯგუფი განაგრძობს ამ წმინდა აქტივების სათანადო შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში, შექენიდან 12 თვის განმავლობაში მოახდენს მათი აღიარების და შეფასების კორექტირებას, როგორც ეს დაშვებულია ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანებით.”

ჯგუფი შექენილი საწარმოს არამაკონტროლებელ წილს აფასებს შექენილი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

შპს “კატასტროფული მედიცინის პედიატრიული ცენტრი”

2015 წლის 1 მარტს სს “სამედიცინო კორპორაცია ევექსმა”, ჯგუფის შვილობილმა კომპანიამ, იყიდა შპს “კატასტროფული მედიცინის პედიატრიული ცენტრის” (“EMC”) 100% წილი.

შექენის თარიღისთვის, EMC-ის იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებები იყო (ათასი ლარი):

შექენის თარიღისთვის
აღიარებული რეალური
ღირებულებები

აქტივები	
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები	25
დებიტორული დავალიანება (ჯანდაცვის სერვისები) ⁴⁷	111
ქონება და აღჭურვილობა	104
სხვა აქტივები	7
სულ აქტივები	247
ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	7
დარიცხული ხელფასი	51
სხვა ვალდებულებები	58
სულ ვალდებულებები	116
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	131
არამაკონტროლებელი წილი	-

⁴⁷ დებიტორული დავალიანების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 111 ათასი ლარი. არანაირი გაუფასურება არ მომხდარა

შექენის შედეგად მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა შეადგინა (ათასი ლარი):

გადახდილი ნაღდი ფული	1 000
მიღებული ნაღდი ფული, რომელსაც ფლობდა შექენილი საწარმო	(25)
წმინდა ფულადი ნაკადები	975

ჯგუფმა გადაწყვიტა გაზარდოს თავისი წილი თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე EMC-ის შექენით. მმართველობა თვლის, რომ გარიგება ჯგუფზე დადებით გავლენას იქონიებს.

შექენის შემდეგ, EMC-მ აჩვენა 2 309 ათასი ლარის და 406 ათასი ლარის შემოსავალი და მოგება. შექენილი საწარმოს მთელი წლის შემოსავალმა და მოგებამ შეადგინა 2 769 ათასი და 486 ათასი ლარი შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ შექენა მოხდებოდა წლის დასაწყისში, ჯგუფი აჩვენებდა 239 525 ათას ლარიან და 23 697 ათას ლარიან შემოსავალს და მოგებას შესაბამისად.

ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა საწარმოთა გაერთიანების შედეგად გუდვილის აღიარება არის პოზიტიური სინერგია, რომელიც მოსალოდნელია, რომ მიღებულ იქნეს ჯგუფის ოპერაციებში. საგადასახადო მიზნებისთვის, გუდვილი კომპანიის ბალანსში აღიარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იურიდიული შერწყმა. მანამდე, გუდვილი როგორც ცალკე აქტივი არ არსებობს და მისი მთლიანი თანხა აისახება კომპანიის ბალანსში, ინვესტიციების მუხლში. შერწყმის შემდეგ, საგადასახადო მიზნებისთვის, გუდვილის მთლიანი თანხა აღიარდება არამატერიალურ აქტივად და შემდგომში მას ერიცხება ამორტიზაცია საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთის მიხედვით. საგადასახადო მიზნებისთვის, ამორტიზაცია ირიცხება სრულ გაქვითვამდე.

⁴⁸ კომპენსაციამ შეადგინა 1 000 ათასი ლარი, რომელიც სრულად იქნა გადახდილი ნაღდი ფულის სახით

2015 წლის 5 აგვისტოს სს “სამედიცინო კორპორაცია ევექსმა” (მყიდველი) შეიძინა GNCo-ს აქციების 50% და მოიპოვა მასზე მმართველობითი და საოპერაციო კონტროლი.

შექმნილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებები შექმნის თარიღისთვის (ათასი ლარი):

	შექმნის აღიარებული რეალური ღირებულება	თარიღისთვის პირობითი ღირებულება
აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		427
დებიტორული დავალიანება ⁴⁹		8 209
ავანსები		14
ქონება და აღჭურვილობა		81 395
არამატერიალური აქტივები		16
სხვა აქტივები		4 164
სულ აქტივები		94 225
ვალდებულებები		
სესხები		15 088
კრედიტორული დავალიანება		9 833
დარიცხული ხელფასი		5 372
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		6 257
სხვა ვალდებულებები		2 101
სულ ვალდებულებები		38 651
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები		55 574
არამაკონტროლებელი წილი		28 018
შექმნის შედეგად წარმოშობილი გუდვილი		11 429
გადაცემული კომპენსაცია⁵⁰		38 985

⁴⁹ დებიტორული დავალიანების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 8 209 ათასი ლარი. საბალანსო ღირებულებაა 17 765 ათასი ლარი, საიდანაც 9 556 ათასის ამოღება დიდი ალბათობით ვერ მოხერხდება

⁵⁰ კომპენსაციამ შეადგინა 38 985 ათასი ლარი, რომელიც შედგება 19 346 ათასი ლარი ნაღდი ფულისგან და 21 513 ათასი პირობითი კომპენსაციისგან (ორი ციფრის ჯამი არ ემთხვევა ზემოთ მითითებულ ჯამური კომპენსაციის თანხას, შექმნის და საანგარიშო თარიღებს შორის საკურსო სხვაობის გამო

ჯგუფმა გადაწყვიტა გაზარდოს თავისი წილი თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე GNC-ს შექენით. მმართველობა თვლის, რომ გარიგება ჯგუფზე დადებით გავლენას იქონიებს.

შექენის შემდეგ, GNC-მ აჩვენა 16 584 ათასი ლარის და 2 226 ათასი ლარის შემოსავალი და მოგება. შექენილი საწარმოს მთელი წლის შემოსავალმა და მოგებამ შეადგინა 40 807 ათასი და 5 319 ათასი ლარი შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ შექენა მოხდებოდა წლის დასაწყისში, ჯგუფი აჩვენებდა 263 288 ათას ლარიან და 26 710 ათას ლარიან შემოსავალს და მოგებას შესაბამისად.

ზემოთ წარმოდგენილი წმინდა აქტივები შეფასებულია პირობითად, შექენის თარიღისთვის არსებული მდგომარეობით. ჯგუფი განაგრძობს ამ წმინდა აქტივების სათანადო შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში, შექენიდან 12 თვის განმავლობაში მოახდენს მათი აღიარების და შეფასების კორექტირებას, როგორც ეს დაშვებულია ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანებით.”

ჯგუფი შექენილი საწარმოს არამაკონტროლებელ წილს აფასებს შექენილი წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა საწარმოთა გაერთიანების შედეგად გუდვილის აღიარება არის პოზიტიური სინერგია, რომელიც მოსალოდნელია, რომ მიღებულ იქნეს ჯგუფის ოპერაციებში.

აქციების შექენის შედეგად გადასახდელი თანხები

საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოშობილი გადასახდელი თანხები (პირობითი კომპენსაცია) არის გადაცემული კომპენსაციის ნაწილი, რომელთა გადახდაც გადავადებულია გარკვეული დროით და, როგორც წესი, დამოკიდებულია მყიდველის მიერ წაყენებული გარკვეული მოვლენების ან პირობების დადგომაზე ან არდადგომაზე. ეს პირობებია:

- შექმნის თარიღისთვის, ფასს-ების მიხედვით აუდიტირებული ჯამური კაპიტალი არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს მმართველობით ანგარიშებში მოცემულისგან;
- აღურიცხავი არსებითი ვალდებულებები არ უნდა ფიქსირდებოდეს;
- შექმნილი საწარმოს ან/და დაკავშირებული მხარეების მიყიდველი საწარმოს მიმართ არსებული ნებისმიერი ვალდებულება ან უნდა რჩებოდეს გადაუხდელი შექმნის შემდეგ განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ ჩამოთვლილი პირობები შესრულებულია, ხდება პირობითი კომპენსაციის გადახდა, საწარმოთა გაერთიანების ხელშეკრულებაში დადგენილი წესების თანახმად.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის პირობითი კომპენსაციის ვალდებულებებმა შეადგინა 21 513 ათასი ლარი GNCo-ს შექმნის შედეგად და 562 ათასი ლარი შპს “დეკას” შექმნის შედეგად.

სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შეადგენს:

	2015 წლის დეკემბრისთვის	31 2014 წლის დეკემბრისთვის
ქონების და აღჭურვილობის შესყიდვიდან წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება	5 295	3 747
ანარიცხები მიმდინარე დავებზე	1 533	-
სადაზღვევო მოთხოვნები	2 177	2 745
გადასახდელი გადასახადები	3 881	1 412
პროფესიულ მომსახურებებში გადასახდელი თანხები	232	716
შხვა	1 604	2 886
სულ სხვა ვალდებულებები	14 722	11 506

მიმდინარე დავების ანარიცხები წარმოიშობა შექმნილი კომპანია GNCo-სგან. ანარიცხი შეიქმნა შექმნისთანავე და გათვალისწინებულ იქნა შექმნილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის დადგენისას. შექმნის თარიღიდან არანაირი ცვლილება მოცემულ ანარიცხებში არ მომხდარა.

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილში მომხდარი ცვლილებები:

	გუდვილი
2014 წლის 31 დეკემბრისთვის	8 415
შექმენები საწარმოთა გაერთიანებების შედეგად	12 298
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	20 713

სხვა არამატერიალური აქტივები შედგება ლიცენზიებისა და კომპიუტერული პროგრამებისგან, რომელთა საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 5 074 ათას ლარს (ისტორიული ღირებულება – 6119 ათასი, დაგროვილი ამორტიზაცია – 1 045 ათასი ლარი). საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არამატერიალური აქტივების გაუფასურებას არ ჰქონია ადგილი.

	ეფექტური წლიური განაკვეთი სამწლიანი ფინანსური ბიუჯეტების მიხედვით	გაუფასურების ტესტისთვის გამოყენებული WACC განაკვეთი	2015 წლის 31 დეკემბრისთვ ის	2014 წლის 31 დეკემბრისთვ ის
სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგი”	10.00 %	14.9 %	3 260	3 260
სს “ჩემი ოჯახის კლინიკა”	10.00 %	14.9 %	508	508
სს “სადაზღვევო კომპანია პარტნიორი”	10.00 %	14.9 %	103	103
სს “სადაზღვევო კომპანია იმედი ელ ინთერნეიშენალი”	10.00 %	14.9 %	99	99
კარაფს მედლაინი	10.00 %	14.9 %	3 534	3 534
ტრავმატოლოგია	10.00 %	14.9 %	911	911
GNCo	10.00 %	14.9 %	11 429	-
შპს “კატასტროფული მედიცინის პედიატრიული ცენტრი”	10.00 %	14.9 %	869	-
ჯამი			20 713	8 415

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) გამოთვლებში გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- საშუალოდ, 3%-იანი რეალური მშპ-ის ზრდა;
- დაზღვევასა და ჯანდაცვას შორის შემდგომი სინერგიები გაზრდის ხარჯების ეფექტურობას და გააუმჯობესებს საოპერაციო ლევერიჯს;
- ეკონომიკის და საბაზრო მოთხოვნის ზრდის შედეგად სადაზღვევო ბიზნესის სხვა სახეობების განვითარება.

მმართველობას სჯერა, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულების დადგენაში გამოყენებული დაშვებების შესაძლო ცვლილებებს არ მოჰყვება გუდვილის გაუფასურება.

ჯგუფი ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტს ყოველწლიურად, 31 დეკემბერს. ბოლო გაუფასურების ტესტი ჯგუფმა 2015 წლის 31 დეკემბერს ჩაატარა.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები დადგენილ იქნა გამოყენების ღირებულების გამოთვლების საფუძველზე, უმაღლესი რგოლის მენეჯერების მიერ მომზადებული სამწლიანი ფინანსური ბიუჯეტების საფუძველზე.

ანალიზი

Georgia Healthcare Group განხორციელებულ შექენებს აღრიცხავს ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” მიხედვით. განხილული საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მან განახორციელა 3 შექენა და თითოეული მათგანის აღსარიცხავად გამოიყენა ფასს 3-ით მოთხოვნილი შექენის მეთოდი. კერძოდ, აჩვენა შექენის თარიღი; აღიარა და შეაფასა შექენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და არამაკონტროლებელი წილი; აღიარა და შეაფასა გუდვილი ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ყველა შექენილი საწარმოს სახელწოდება და დახასიათება, აღწერილია საწარმოთა გაერთიანების ძირითადი მოტივები და როგორ აიღო მყიდველმა საწარმომ კონტროლი შექენილ საწარმოზე.

კომპანიამ დააკმაყოფილა გადაცემულ კომპენსაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები – შეაფასა ის შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით და ცალ-ცალკე გამოყო თითოეული ძირითადი კატეგორიის კომპენსაციები და მათი რეალური ღირებულებები. ამდენად, განხორციელებული სამი შექმნიდან ორში გადაცემული კომპენსაცია შედგება პირობითი მუხლისგან, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპენსაციის გარკვეულ ნაწილს მყიდველი საწარმო გადაიხდის მომავალში გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში. პირობითი კომპენსაციისადმი ფასს 3-ში წაყენებულია სამი მოთხოვნა, ორი მყიდველი საწარმოს მიერ შესრულებულია, ხოლო ერთი კი არა. კერძოდ, Georgia Healthcare Group-მა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახა შექმნის თარიღისთვის აღიარებული პირობითი კომპენსაციის თანხა და მოახდინა შეთანხმების აღწერა, მაგრამ არ უჩვენებია გადასახდელი თანხის შეფასების საფუძველი.

კომპანია GNC-ს შექმნის შედეგად, მყიდველმა საწარმომ აღიარა ანარიცხი, პირობითი ვალდებულების სახით, მიმდინარე დავებთან დაკავშირებით 1 533 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ფასს 3-ის თანახმად, მყიდველმა საწარმომ უნდა შეასრულოს ბასს 37-ით – “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები” მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ, უნდა მოახდინოს მოვალეობის არსის მოკლე აღწერა და შედეგად ეკონომიკური სარგებლის გასვლის დრო; ასევე უნდა მიუთითოს ეკონომიკური სარგებლის გადინების მოცულობასა და პერიოდულობასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობათა შესახებ და ნებისმიერი მოსალოდნელი ანაზღაურების თანხა იმ აქტივის თანხის ოდენობის მითითებით, რომლებიც აღიარდა მოსალოდნელი ანაზღაურებისთვის. ფასს 3-ის ეს მოთხოვნა ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ არ იქნა შესრულებული.

შექმნილ მოთხოვნებთან დაკავშირებით მყიდველმა საწარმომ აჩვენა დებიტორული დავალიანების რეალური ღირებულება, მისაღები საერთო სახელშეკრულებო თანხები და შექმნის თარიღისთვის განსაზღვრული საუკეთესო შეფასება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა, რომელთა ამოღებაც, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება. ანგარიშგებაში არ არის გაკეთებული შექმნილი მოთხოვნების ჩაშლა ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

არამაკონტროლებელი წილის შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნები კომპანიის მიერ სრულად არის დაცული – აღიარებულია არამაკონტროლებელი წილის თანხა და მოცემულია ამ თანხის შეფასების საფუძველი.

ერთ-ერთი შექენის შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა 7 127 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულ იქნა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად. ასევე, კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აღწერილ იქნა ის მიზეზები, რის გამოც გარიგების შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა.

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აღნიშნულია, რომ გუდვილის არსებობა განპირობებულია საწარმოთა გაერთიანებისგან მოსალოდნელი სინერგიული ეფექტისგან. ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებს უგულებელყოფილი აქვთ იმ შექენილი არამატერიალური აქტივების გავლენა გუდვილზე, რომელთა განცალკევებით აღიარება შეუძლებელია. ერთ-ერთი ასეთი არამატერიალური აქტივის არსებობა დასტურდება განმარტებითი შენიშვნებიდან. ეს არის შრომითი რესურსების ნაკრები. კერძოდ, სათავო კომპანია თავის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღნიშნავს, რომ *2015 წელს განხორციელებული შექენების შედეგად მისი დასაქმებულების საერთო რაოდენობა გაიზარდა 1165-ით*. ეს ავალდებულებს Georgia Healthcare Group-ს შრომითი რესურსების ნაკრები და სხვა არამატერიალური აქტივები, რომელთა განცალკევებით აღიარება შეუძლებელია, აღიაროს გუდვილის შემადგენელ ნაწილად და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერები კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

რაც შეეხება გუდვილის გაუფასურების ტესტს, ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის ნათლად ჩამოყალიბებული გუდვილის გაუფასურების ტესტის პროცედურები და გაკეთებულია დასკვნა, რომ გუდვილის გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. იმისათვის, რომ გაკეთდეს დასკვნა, რომ გუდვილის გაუფასურება საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე არ მომხდარა, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (რომლებზეც ნაწილდება გუდვილი) ანაზღაურებადი ღირებულებები უნდა იყოს მეტი მათ საბალანსო ღირებულებებზე. Georgia Healthcare Group-ის კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ფულადი ერთეულების საბალანსო ღირებულებები, ხოლო ანაზღაურებადი

ღირებულებები – არა. როგორც უკვე აღინიშნა, ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი ერთეულის წმინდა გასაყიდ ფასსა (გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება) და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

ამრიგად, კომპანია Georgia Healthcare Group-ის მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საწარმოთა გაერთიანებები აღრიცხულია ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანების” მოთხოვნების დაცვით. ხოლო ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მათ შესახებ წარდგენილი ინფორმაცია არის მეტ-ნაკლებად სრული. თუმცა, გამოიკვეთა რამოდენიმე საკითხი, რომელთა ასახვაც სრულყოფს კონსოლიდირებული ანგარიშგების სისრულეს და ზოგადად, ქართული ჰოლდინგების მიერ საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის პროცესს.

4.5 ჩატარებული ანალიზის შედეგები

ნაშრომში განხილულია ოთხი ქართული ჰოლდინგური კომპანიის მიერ განხორციელებული ექვსი შექმნა და ამ საწარმოთა გაერთიანებების შესახებ შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი ინფორმაცია. ჩატარებული ანალიზის შედეგები ცხრილის სახით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ცხრილი 1. კვლევაში მონაწილე სათავო კომპანიების მიერ განხორციელებული შექმნების შესახებ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისობა ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ მოთხოვნებთან

	BGEO Group-ის მიერ სს „პრივატბანკის“ შექმნა	TBC Group-ის მიერ “ბანკი კონსტანტას” შექმნა	Wissol Group-ის მიერ საფეხბურთო კლუბ “ქუთაისის ტორპედოს” შექმნა	Georgia Healthcare Group-ის მიერ GNCo-ს შექმნა	Georgia Healthcare Group-ის მიერ შპს “კატასტროფული მედიცინის პედიატრიული ცენტრის” შექმნა	Georgia Healthcare Group-ის მიერ შპს “დეკას” შექმნა
საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვისთვის გამოყენებულია ფასს 3-ით ნებადართული, შექმნის მეთოდი	კე	კე	კე	კე	კე	კე
აღწერილია გაერთიანების ძირითადი მოტივები	კე	კე	არა	კე	კე	კე
მოცემულია გუდვილის განმაპირობებელი ყველა ხარისხობრივი ფაქტორის შეფასება ან გათვალისწინებულია ხელსაყრელი შესყიდვისადმი სტანდარტში წაყენებული მოთხოვნები	არა	არა	არა	არა	არა	არა
გუდვილისგან განცალკევებით აღიარებულია და შეფასებულია ყველა შექმნილი არამატერიალური აქტივი	არა	არა	არა	არა	არა	არა
მოცემულია შექმნილი საწარმოს მიერ შექმნის თარიღის შემდეგ მიღებული ამონაგებისა და მოგების/ზარალის თანხები	კე	კე	არა	კე	კე	კე
მოცემულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების საბალანსო და ანაზღაურებადი ღირებულებები (რაც აუცილებელია გუდვილის გაუსურების ტესტისთვის)	არა	არა	არა	არა	არა	არა
მოცემულია შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები	კე	არა	არა	კე	კე	კე
მოცემულია საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული მთლიანი კომპენსაციის რეალური ღირებ. და თითოეული ძირითადი კატეგორიის კომპენსაციის რეალური ღირებულება	კე	კე	კე	კე	კე	კე

ამრიგად, ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე საკითხი, რომლებიც საერთოა ყველა განხილული კომპანიებისათვის და რომელთა გათვალისწინება სრულყოფს საქართველოს სათავო კომპანიების მიერ საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვას და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ამისათვის საჭიროა, რომ ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

- უფრო ვრცლად აღწერონ საწარმოთა გაერთიანებების ძირითადი მოტივები, რადგან ეს უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;
- გუდვილის განმაპირობებელი ხარისხობრივი ფაქტორების შეფასებისას, მიუთითონ არა მხოლოდ გაერთიანებისგან მოსალოდნელი სინერგიის ეფექტი, არამედ ის არამატერიალური აქტივები, რომელთა გუდვილისგან განცალკევებით აღიარება შეუძლებელია;
- შეიმუშაონ საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების პროცედურები და აღიარონ ისინი (გუდვილისგან განცალკევებით) ფასს 3-ის და ბასს 38-ის შესაბამისად;
- აღწერონ გუდვილის გაუფასურების ტესტირების დროს, ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებების გამოთვლის ტექნიკა, გამოყენებული დაშვებები და შეფასებები.
- განმარტონ საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებების შეფასების მეთოდი;
- იმ საწარმოთა გაერთიანებებში, სადაც შექმნის შედეგად მიიღება შემოსულობა (ხელსაყრელი შესყიდვა), აღწერონ მიზეზები, რის გამოც გარიგების შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა;
- მიუთითონ შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები და სრული შემოსავლის ანგარიშგების ის მუხლი, რომელშიც ეს ხარჯები არის აღიარებული.

დასკვნა

კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა ქართული ჰოლდინგების მიერ მომზადებულ და წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ მიერ განხორციელებულ შექმნებთან დაკავშირებით გაშუქებული ინფორმაცია. კერძოდ, შესწავლილ იქნა შემდეგი შექმნები: “BGEO Group”-ის მიერ სს “PrivatBank”-ის შექმნა; “TBC Bank Group”-ის მიერ სს “ბანკი კონსტანტას” შექმნა; “Wissol Petroleum Georgia”-ს მიერ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს ყიდვა; “Georgia Healthcare Group”-ის განხორციელებული სამი შექმნა – შპს “დეკას”, შპს “კატასტროფული მედიცინის პედაგოგიური ცენტრის” და კომპანია “GNCo”-ს ყიდვა.

ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ იქნა საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების პრობლემური სფეროები და გაკეთდა შესაბამისი რეკომენდაციები. კვლევის შედეგად ვფიქრობთ, რომ საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულყოფისთვის საჭიროა, რომ ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

- უფრო ვრცლად აღწერონ საწარმოთა გაერთიანებების ძირითადი მოტივები, რადგან ეს უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;
- გუდვილის განმაპირობებელი ხარისხიერი ფაქტორების შეფასებისას, მიუთითონ არა მხოლოდ გაერთიანებისგან მოსალოდნელი სინერჯის ეფექტი, არამედ ის არამატერიალური აქტივები, რომელთა გუდვილისგან განცალკევებით იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია;
- შეიმუშაონ საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების პროცედურები და აღიარონ ისინი (გუდვილისგან განცალკევებით) ფასს 3-ის და ბასს 38-ის მოთხოვნების შესაბამისად;
- აღწერონ გუდვილის გაუფასურების ტესტირების დროს, ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებების გამოთვლის ტექნიკა, გამოყენებული დაშვებები და შეფასებები.

- განმარტონ საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებების შეფასების მეთოდი;
- იმ საწარმოთა გაერთიანებებში, სადაც შექმნის შედეგად მიიღება შემოსულობა (როდესაც წარმოიქმნება ე.წ. ხელსაყრელი შესყიდვა), აღწერონ მიზეზები, რის გამოც გარიგების შედეგად მიღებულ იქნა შემოსულობა;
- მიუთითონ შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები და სრული შემოსავლის ანგარიშგების ის მუხლი, რომელშიც ეს ხარჯები არის აღიარებული.

საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის მარეგულირებელ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 “საწარმოთა გაერთიანებების” სრულყოფასთან დაკავშირებით შეთავაზებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ფასს 3-ში მოცემული განმარტების თანახმად, პროდუქცია არ მოითხოვება იმისათვის, რომ ინტეგრირებული კომპლექსი განიხილებოდეს როგორც საწარმო. ამისათვის საკმარისია მხოლოდ რესურსების და პროცესების არსებობა. საქმე ისაა, რომ საწარმოები, რომლებსაც არ გააჩნიათ პროდუქცია, როგორც წესი, არიან განვითარების სტადიაზე მყოფი საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით, მომავალი პროდუქციისთვის გასაღების ბაზრების მოძიებით, პერსონალის შერჩევით. ასეთი საწარმოების შესყიდვა ინვესტორების მხრიდან სარისკო გადაწყვეტილება იქნება, რადგან არსებობს ისეთი სფეროები (მაგალითად, მაღალტექნოლოგიური სფეროები), სადაც საკმაოდ დიდი რისკია, რომ აქტივობები, რომლებსაც ახლადშექმნილი საწარმო ახორციელებს ბიზნესის დასაწყებად - განსაკუთრებით ეს ეხება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს - წარმატებით ვერ განხორციელდეს, ხოლო ახლადშექმნილ საწარმოს არ ჰქონდეს საკმარისი სახსრები სხვა იდეის განსახორციელებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ფასს 3-ში შევა დამატებითი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც დადგინდება არის თუ არა ინტეგრირებული კომპლექსი საწარმო, როდესაც მას არ გააჩნია პროდუქცია (ანუ გააჩნია მხოლოდ რესურსები და პროცესები).

ასეთი კრიტერიუმები შესაძლოა იყოს:

- დარგის სპეციფიკის შესწავლა (ანუ რამდენად დიდია რისკი, რომ პროექტი “ჩავარდეს” და საწარმომ ვერ გამოუშვას პროდუქცია);
- ჩადებული ინვესტიციის საკმარისობის შესახებ მსჯელობა;
- რამდენად საკმარისია ის პროცესები, რასაც სუბიექტი ფლობს კვლევების წარმატებით ჩასატარებლად;
- აქვს თუ არა სუბიექტს ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგია პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

2. „თანასწორთა შერწყმა“ (Merger of Equals) გულისხმობს ორი დაახლოებით ერთიდაიგივე ზომის სამეურნეო სუბიექტის გაერთიანებას და ერთობლივი კონტროლის დამყარებას გაერთიანებულ სამეურნეო სუბიექტზე. ეს ტერმინი გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ გარიგება წარმოადგენს არა შექენას (როდესაც გარიგების ერთი მხარე წარმოადგენს მყიდველს და მეორე მხარე შექენილ კომპანიას), არამედ ორი თანასწორი სუბიექტის შერწყმას. ასეთი გაერთიანება ექცევა ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ სფეროში.

ერთობლივი საქმიანობები (Joint Arrangement) ფასს 11 “ერთობლივი საქმიანობაში” განმარტებულია შემდეგნაირად: “საწარმოები, სადაც არც ერთ მხარეს არ აქვს კონტროლი სხვა სუბიექტებზე. მასში შემავალი სუბიექტები ერთნაირი წილობრივი მონაწილეობით აკონტროლებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს სტრატეგიულ და ოპერატიულ საკითხებში.”

რადგან “თანასწორთა შერწყმის” და “ერთობლივი საქმიანობების” ფასს 3-ში და ფასს 11-ში მოყვანილი განმარტებები ერთმანეთის მსგავსია, მიზანშეწონილი იქნება, თუ ორივე სტანდარტში გაკეთდება დამატებითი განმარტებები მათი სწორი იდენტიფიცირებისთვის. ეს დაეხმარება დარგის სპეციალისტებს არ დაუშვან შეცდომა საწარმოთა გაერთიანებების ამ ორიდან ერთ-ერთ კატეგორიაში მიკუთვნებისას, ვინაიდან თანასწორთა შერწყმა კლასიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, სადაც გაერთიანებულია სათავო საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ბალანსის მუხლები, საქმიანობის შედეგები და ფულადი

ნაკადები, ხოლო ერთობლივი საქმიანობის შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ სუბიექტთან, რომლებიც ცალ-ცალკე ამზადებენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს და თითოეული მათგანი ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებს და მათ შედეგებს ასახავს დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, ფასს 11 “ერთობლივი საქმიანობის” შესაბამისად.

3. მყიდველმა საწარმომ შექენის თარიღისათვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შექენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. პირობითი კომპენსაცია აღნიშნავს მყიდველი საწარმოს ვალდებულებას, გადასცეს დამატებითი აქტივები ან სააქციო წილი შექენილი საწარმოს ყოფილ მესაკუთრეებს, როგორც შექენილ საწარმოზე კონტროლის აღებისთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილი, თუ მომავალში გარკვეული მოვლენები მოხდება ან გარკვეული პირობები შესრულდება.

შესაძლებელია, რომ მომავალში პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული მოვლენა არ დადგეს და მყიდველ საწარმოს არ მოუწიოს შექენილი საწარმოს ყოფილი აქციონერებისთვის პირობითი კომპენსაციით გათვალისწინებული თანხის გადახდა. შედეგად, მივიღებთ ვითარებას, როდესაც საწარმოთა გაერთიანების დროს, პირობითი კომპენსაციით გათვალისწინებული თანხა ჩაირთო გადაცემულ კომპენსაციაში, ხოლო რეალურად, მყიდველს ეს თანხა არ გადაუხდია. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი იქნება სტანდარტში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმადაც მყიდველმა საწარმომ ზემოთ განხილული შემთხვევის დროს, უნდა დააკორექტიროს კომპენსაციის თანხა.

4. ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” (ან ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტების”, თუ საწარმო გადასულია ამ სტანდარტზე) მიხედვით, პირობითი კომპენსაციის კონტრაქტი, რომელიც პირობის შესრულების შემთხვევაში გამყიდველს ნაღდი ფულის ან სხვა აქტივების მიღების უფლებას აძლევს, აკმაყოფილებს ფინანსური აქტივის განმარტებას. პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობა შესაძლოა

არ შესრულდეს და შექმნილი საწარმო ველარ მიიღებს კომპენსაციის ნაწილს. აღნიშნულიდან და წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი იქნება, პირობითი კომპენსაციის კონტრაქტი გამყიდველის მიერ კლასიფიცირებულ იქნეს პირობით აქტივად და მის მიმართ გამოყენებულ იქნეს ბასს 37-ის “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები” მოთხოვნები. ბასს 37-ში პირობითი აქტივი განმარტებულია როგორც შესაძლო აქტივი (პირობითი კომპენსაციის თანხა), რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენის შედეგად (პირობითი კომპენსაციის კონტრაქტის დადება) და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით (პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობა), რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.

5. არაკონკურენტული შეთანხმებები არის იურიდიული კონტრაქტები, რომლებიც კონკრეტულ პიროვნებას ან ბიზნესს უკრძალავენ კომპანიასთან კონკურენციას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გარკვეულ ბაზარზე. რადგანაც ასეთი შეთანხმება აკმაყოფილებს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს, ის უნდა აღიარდეს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილ არამატერიალურ აქტივად.

საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა შექმნილი საწარმოს ყოფილი თანამშრომლებისთვის გადახდილი შემდგომი ანაზრაურება არაკონკურენტულ გადახდას თუ უბრალოდ დასაქმების შეწყვეტის კომპენსაციაა. ვინაიდან ერთ შემთხვევაში ოპერაცია კვალიფიცირდება საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილ გუდვილისგან განცალკევებულ არამატერიალურ აქტივად, ხოლო მეორე შემთხვევაში ოპერაცია წარმოადგენს გაერთიანების შემდგომი პერიოდის ხარჯს, მიზანშეწონილი იქნება ფასს 3-ში შეტანილ იქნეს დამატებითი მითითებები/კრიტერიუმები იმის თაობაზე, ყოფილი თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები არაკონკურენტულ გადახდებს წარმოედგენს თუ უბრალო კომპენსაციაა. ვფიქრობთ, ასეთი კრიტერიუმები შესაძლოა იყოს:

- წარმოადგენენ თუ არა ყოფილი თანამშრომლები რაიმე სპეციფიური ხასიოთის კვალიფიკაციის მქონე პერსონალს, რამაც შესაძლოა კონკურენტი საწარმოები ჩააყენოს უპირეტეს მდგომარეობაში;
- ითვალისწინებს თუ არა კომპანიის შრომითი ხელშეკრულებები დასაქმების შემდგომ კომპენსაციებს;
- აქვს თუ არა ყოფილ თანამშრომელს გავლილი რაიმე სპეციფიური ტრენინგი კომპანიის დაფინანსებით.

საკვლევი თემის ირგვლივ არსებულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები:

1. საწარმოების მიერ არამაკონტროლებელი წილის შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენება გარკვეულ პრობლემებს ქმნის კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების შესადარისობის კუთხით. თუმცა, ფასს 3-ში ამ ალტერნატივის (არამაკონტროლებელი წილის შეფასების ორი მეთოდის) არსებობა მიზანშეწონილია, რადგან რეალური ღირებულებით არამაკონტროლებელი წილის შეფასება რიგ შემთხვევებში რთულია იმ მიზეზით, რომ კომპანიის აქციები ყოველთვის არ კოტირდება ბაზარზე. ხოლო სტანდარტში წმინდა აქტივების პროპორციული წილის ერთადერთ შეფასების მეთოდად დატოვება უსამართლო იქნებოდა იმ კომპანიების მიმართ, რომლებსაც სურთ საწარმოს ღირებულება რეალური, საბაზრო პრინციპებით ასახონ.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ განხორციელებულ პროექტში სახელწოდებით “ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება - დანერგვის შემდგომი მიმოხილვა” (Post-implementation Review - IFRS 3 Business Combinations) აღნიშნულია, რომ რესპონდენტების თხოვნით, საბჭო განიხილავს შესაძლებლობას შემოიღოს გუდვილის ამორტიზაციის მეთოდი გაუფასურების ტესტირების ნაცვლად ან საწარმოებს მიანოჭოს უფლება თავად აირჩიონ ამ ორი მეთოდიდან ერთ-ერთი. ჩვენი აზრით, გუდვილის გაუფასურების ტესტი (რომელსაც ამჟამად ფასს 3 მოითხოვს) უნდა დარჩეს უცვლელი, რადგან ეს მეთოდი კარგად ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებს და საწარმოს

საშუალებას აძლევს აქტივი რეალური ღირებულებით აღრიცხოს, რაც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

3. პრაქტიკაში, საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი ბევრი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარება სირთულეებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, მოითხოვს დიდ დანახარჯებს (რადგან ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება კომპეტენტური გარე შემფასებლების მომსახურება), საკმაოდ სუბიექტურია და ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს მყიდველი საწარმოს მიერ მონაცემებით მანიპულირება. შესაბამისად, ბასს-ის საბჭოს მიერ ჩატარებული, ფასს 3 საწარმოთა გაერთიანების დანერგვის შემდგომი მიმოხილვის პროექტში მონაწილე გარკვეულმა სუბიექტებმა გამოთქვეს აზრი, რომ უმჯობესი იქნება ის არამატერიალური აქტივები, რომელთა განცალკევებით აღიარება განსაკუთრებით რთულია (კლიენტებთან ურთიერთობა, არასახელშეკრულებო არამატერიალური აქტივები) გუდვილთან ერთად აღიარდეს. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ბასს-ის საბჭომ შეიყვანა ეს წინადადება განსახილველი საკითხების ნუსხაში. ჩვენი აზრით, მიუხედავად დაკავშირებული სირთულეებისა, სასურველია ფასს 3-ის ამჟამინდელი მოთხოვნები ყველა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარებასთან დაკავშირებით, შენარჩუნებულ იქნეს, რადგან ეს პრინციპი უზრუნველყოფს საწარმოთა გაერთიანების მოტივების საუკეთესო ახსნას. სხვა სიტყვებით, თუ საწარმოს გააჩნია კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივი, აქვს ღირებული და ცნობადი ბრენდი ან ფლობს საიდუმლო რეცეპტს, რომელიც მას უნიკალურს ხდის, ეს არის სხვა საწარმოსთვის ერთ-ერთი მთავარი მოტივი შეიძინოს ეს კომპანია. აღნიშნული არამატერიალური აქტივების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში განცალკევებით აღიარება იქნება საუკეთესო გზა განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების მოტივების და, ზოგადად, გამჭვირვალობის დასაფიქსირებლად, რაც გლობალიზაციის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინვესტორებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

4. არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის ერთ-ერთი რთული პროცესია. ამის ძირითადი მიზეზია მათ შესახებ საიმედო და დაკვირვებადი მონაცემების ნაკლებობა, რადგან არამატერიალური აქტივების უმეტესობა არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. გარდა ამისა, მათი უმეტესობა უნიკალურია და ესეც გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს მათი შეფასებისას. განსაკუთრებით რთულია კლიენტებთან ურთიერთობების და არასახელშეკრულებო არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება. გამომდინარე აქედან, მართებული იქნება, ბასს-ის საბჭომ დაიწყოს პროექტი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების ზემოთ დასახელებული პრობლემური სფეროების დარეგულირების გზების შესამუშავებლად და, ასევე, შეფასების მეთოდების დასახვეწად.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებს საშუალებას მისცემს სრულყოფილ მათ მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებები, რაც ინვესტორებს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მისცემს.

კვლევით ნაწილთან ერთად, ნაშრომში მოყვანილია დიდ ოთხეულში შემავალი აუდიტორული კომპანიების პრაქტიკული მაგალითები და სააღრიცხვო მიდგომები საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებით.

აგრეთვე, მიღებული შედეგების საფუძველზე იკვეთება შემდგომი სამეცნიერო კვლევის სავარაუდო მიმართულებები. ესენია:

- საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების გზები და შეფასების საკითხები;
- გუდვილის გაუფასურების ტესტის გამჭვირვალობა;
- საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასების სრულყოფის გზები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ. კორპორაციათა ფინანსები. თბილისი 2016
2. ბასს 32 “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა”, ფასს-ის ფონდი 2014
3. ბასს 37 “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები”, ფასს-ის ფონდი 2014
4. ბასს 38 “არამატერიალური აქტივები”, ფასს-ის ფონდი 2014.
5. ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”, ფასს-ის ფონდი 2014.
6. გაბელაია ა. კორპორაციათა ფინანსები. თბილისი 2013.
7. გაბელაია ა. ფინანსები. თბილისი 2011.
8. კაკულია რ., ბახტაძე ლ., თუთბერიძე გ. კორპორაციის ფინანსები. თბილისი 2009.
9. კვატაშიძე ნ. გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის აღრიცხვა. ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”, აგვისტო-სექტემბერი 2010.
10. კვატაშიძე ნ. კორპორაციული ანგარიშგება. თბილისი 2012.
11. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. თბილისი 2017.
12. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური აღრიცხვა – მეორე დონე. თბილისი 2009.
13. საბაური ლ., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში. თბილისი 2017.
14. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, ქუთაისი 2016.
15. საქართველოს კანონი “კონკურენციის შესახებ”, თბილისი 2012.
16. საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”, თბილისი 1994.
17. ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება”, ფასს-ის ფონდი 2014.
18. ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”, ფასს-ის ფონდი 2014.
19. ფასს 10 “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება”, ფასს-ის ფონდი 2014.
20. ფასს 11 “ერთობლივი საქმიანობა”, ფასს-ის ფონდი 2014.

21. ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასება”, ფასს-ის ფონდი 2014.
22. ხარაბაძე ე. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა. ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”, № 1-2 2007.
23. ხარაბაძე ე. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი 2009.
24. ხარაბაძე ე. ფინანსური აღრიცხვა (II დონე). თბილისი 2011.
25. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი 2017.
26. A Guide to Accounting for Business Combinations. National Professional Standards Group, RSM US LLP. 2016. Retrieved from: http://rsmus.com/pdf_download/rsm_business_combinations_guide_2016.pdf
27. Arlette C. Wilson, Kimberley Key. Revised Accounting for Business Combinations. American Journal of Business Education. Volume 1, 2008.
28. Bamford J., Gomes-Cassares B., Robinson M. Mastering Alliance Strategy: A Comprehensive Guide to Design, Management and Organization. 2009.
29. Benjamin Gomes-Casseres. Making Mergers, Acquisitions and Other Business Combinations Work. August 2016. Retrieved from <https://hbr.org/2015/08/making-mergers-acquisitions-and-other-business-combinations-work>
30. BGEO Group PLC. Annual Report 2015
31. Brigham Eugene F., Houston Joel F. Fundamentals of Financial Management. 2009
32. Deloitte & Touche LLP. Business Combinations and Changes in Ownership Interests. 2008. Retrieved from: <http://www.iasplus.com/en/publications/global/guides/pub2690>
33. Deloitte & Touche LLP. Business Combinations and Changes in Ownership Interests. 2008. Retrieved from: <http://www.iasplus.com/en/publications/global/guides/pub2690>
34. Eugene F. Brigham, Michael C. Ehrhardt. Financial Management. Theory and Practice. 11th edition. 2005
35. Fridson M., Alvarez F. Financial Statement Analysis. A practitioner’s Guide. Third Edition. 2002.
36. Georgia Healthcare Group PLC. Annual Report 2015
37. Gibson Charles H. Financial Reporting & Analysis. 13th Edition. 2013
38. Hartwell H. Business Combinations and International Accounting. 2003.
39. Helfert Erich A. Financial Tools and Techniques. 2001.

40. Hugo Nurnberg. Applying the New Accounting for Business Combinations and Intangible Assets to Partner Admissions. Issues in Accounting Education. November 2014
41. IASB. Business Combinations Phase II. Project Summary and Feedback Statement. January 2008. Retrieved from: http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Business-Combinations/Documents/Business_Combinations_JN2008.pdf
42. IFRS Foundation. Completed Project Consolidation and Disclosure. 2011. Retrieved from: <http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Consolidation/Consolidation-disclosure/Pages/Consol-dis.aspx#>
43. IFRS Foundation. Effect Analysis IFRS 10 Consolidated Financial Statements and IFRS 12 Disclosure of Interests in Other Entities. July 2013. Retrieved from: <http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Consolidation/Consolidation-disclosure/Documents/Effect-Analysis-IFRS%2010-and-IFRS-12-Updated-July-2013.pdf>
44. IFRS Foundation. Post-implementation Review: IFRS 3 Business Combinations. 2015. Retrieved from: <http://www.ifrs.org/Alerts/PressRelease/Pages/IASB-completes-Post-implementation-Review-of-Business-Combinations-Standard.aspx>
45. IFRS Foundation. Research Project Fair Value Measurement. 2011. Retrieved from: <http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Fair-Value-Measurement/Pages/Fair-Value-Measurement.aspx>
46. IFRS Foundation. Research Project Transition Guidance – Amendments to IFRS 10. 2012. Retrieved from: <http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/IFRS-10-Transition-Guidance/Pages/IFRS-10-Transition-Guidance.aspx>
47. IFRS Foundation. Research Project Joint Arrangements. 2011. Retrieved from: <http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Joint-Ventures/Pages/Joint-Ventures.aspx>
48. IFRS Foundation. Research Project Investment Entities. 2012. Retrieved from: <http://archive.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Consolidation/IE/Pages/Investment-entities.aspx>
49. Jae K. Shim. Analysis and Uses of Financial Statements. 2008.
50. James C. Van Horne, John M. Wachowicz. Fundamentals of Financial Management 12th edition. 2005
51. James Keogh. E-mergers: Merging, Acquiring and Partnering E-commerce Businesses. 2002

52. KPMG LLP. Business Combinations. Is IFRS 3 working as intended? June 2015. Retrieved from: <https://assets.kpmg.com/content/dam/kpmg/pdf/2016/02/12Business-combinations.pdf>
53. Madura Jeff. International Financial Management. 11th Edition. 2012.
54. Peterson Drake Pamela, Fabozziy Frank J. Analysis of Financial Statements. Third Edition. 2012.
55. Pricewaterhouse Coopers LLP. Business Combinations and Noncontrolling Interests. 2014. Retrieved from: <https://www.pwc.com/us/en/cfodirect/assets/pdf/accounting-guides/pwc-business-combinations-noncontrolling-interests.pdf>
56. Putra L. Accountin for Business Acquisition Using Purchase Method. Accounting, Financial & Tax.
57. Robert F. Bruner. Applied Mergers and Acquisitions Workbook. 2004
58. Ron Shalev. The Information Content of Business Combination Disclosure Level. The Accounting Review. January 2009.
59. Stephen A. Ross, Randolph W. Westerfield, Jeffrey Jaffe. Corporate Finance. 2002
60. TBC Bank Group PLC. Annual Report 2011
61. Walter T., Harrison Jr. Horngren Charles. Financial Accounting. Seventh Edition. 2008.
62. Wissol Petroleum Georgia Group. Consolidated Financial Statements for the Year Ended 31 December 2010
63. Алиев З. Формирование консолидированной финансовой отчетности холдингов в соответствие с Международными Стандартами Финансовой Отчетности. 2011.
64. Выручаева А. Объединение бизнеса по МСФО. «Актуальная бухгалтерия». Август 2014
65. Гарчук-Иванча Н. Учет и аудит консолидированных финансовых результатов холдинга. 2007.
66. Дешин В. Объединение бизнеса и его отражение в консолидированной финансовой отчетности. «Международный Бухгалтерский Учет». №3, Январь 2012.
67. Коллингс С. Объединение бизнеса и гудвил. «Ассоциация бухгалтерских специалистов». 2016.
68. Ли Р.С., Богданова Е.А. Финансовый учет II: учебно-методическое пособие для студентов специальности «Учет и аудит». 2010
69. Модеров С. Совместимая финансовая отчетность: логика и техника построения. 2014

70. Пятов М., Смирнова И. МСФО 3 «Объединения бизнеса» - методологический базис составления консолидированной финансовой отчетности. 2010.
71. Шишмарева Д. Признание и оценка гудвила в соответствии с Международными Стандартами Финансовой Отчетности. 2015.
72. Яговцева А. Учет приобретения бизнеса. Журнал «Корпоративная финансовая отчетность. Международные стандарты». № 6 за 2012 г.